ნელი დუმბაძე

რაჭდენ გვეტაძე

(ზემოქმედება)

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი—1955

შ ე ს ა ვ ა ლ ი

XIX საუკუნის მიწურულს კაპიტალიზმი შევიდა იმპერიალიზმის სტადიაში, რომელიც დიდმა ლენინმა დააახასიათა როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი და ამავე დროს უკანასკნელი სტადიაც. კაპიტალიზმის განვითარების ეს პერიოდი ხასიათდება წინააღმდეგობათა მძაფრი გამწვავებით ცალკეულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამ დროისათვის მთავარმა კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, რომლებიც შედარებით ადრე დაადგნენ კაპიტალისტური განვითარების გზას, უკვე მოასწრეს მთელი მსოფლიო გაენაწილებინათ თავიანთი ბატონობისა და გავლენის სფეროებად. „ცარიელი ადგილი" თითქმის აღარ დარჩა. ამავე პერიოდში თავი იჩინა კაპიტალიზმის არათანაბარი, ნახტომისებური განვითარების კანონმა, რომელიც ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა. ეს კანონი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით მთელ რიგ შემთხვევებში ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც შედარებით გვიან დაადგნენ კაპიტალიზმის გზას, გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე ძველი კაპიტალისტური სახელმწიფოები. ამ კანონის მოქმედების შედეგად გასული საუკუნის მიწურულს განსაკუთრებით სწრაფად იწყეს დაწინაურება გერმანიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ისინი სულ უფრო და უფრო ავიწროებდნენ

მსოფლიო ბაზარზე ინგლისსა და საფრანგეთს, კაპიტალიზმის ამ „კლასიკურ“ ქვეყნებს და მოითხოვდნენ მსოფლიოს ხელახალ „სამართლიან“ გადანაწილებას. ეს კი შეუძლებელი იყო ძალდატანების გარეშე, ახალი ომების გაუჩაღებლად. ინგლისს, საფრანგეთს, რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს არ სურდათ თავიანთი ბატონობისა და გავლენის სფეროები ნებაყოფლობით დაეთმოთ გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ორივე მხარემ იწყო გამალებული მზადება ომისათვის. განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა წინააღმდეგობა ერთი მხრივ გერმანიასა და მეორე მხრივ ინგლის-საფრანგეთ-რუსეთს შორის, რასაც საბოლოო ანგარიშში მოჰყვა პირველი მსოფლიო ომი.

გამალებული საომარი მზადების მთელი სიმძიმე გაბატონებულმა კლასებმა დააკისრეს მშრომელ მასებს. დღითიდღე ძლიერდებოდა მშრომელთა ექსპლოატაცია, შეუნელებლად ეცემოდა მუშების, გლეხების, ყველა ექსპლოატირებულის ისედაც ძლიერ დაბალი საარსებო დონე. ხალხი ფაქტიურად შიმშილობდა. მაგრამ ამავე დროს მასებში სულ უფრო მწიფდებოდა კაპიტალიზმის, ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ გადამწყვეტი რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობის შეგნება.

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდს, ამ პერიოდში მასების განწყობილებას და მათს ამოცანებს მკაფიოდ გამოხატავს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ გამოშვებული რსდმპ ცენტრალური კომიტეტის პროკლამაცია (1912 წ.), რომელშიც ნათქვამია:

„უნდა გავაჯანსაღოთ ჩვენი ქვეყანა, რომელიც დაავადებულია ქრონიკული შიმშილობით, ბოლო უნდა მოვუღოთ ახლანდელ ვითარებას, რომლის დროსაც მიწის ათეულ მილიონობით მშრომელი იძულებულია პერიოდულად განიცადოს შიმშილობა მთელი მისი საშინელებით: შეუძლებელია გულხელდაკრეფილმა ვუცქიროთ იმას, თუ დამშეული თვალცრემლიანი დედ-მამა როგორ „ასაღებს ჩალის ფასად“ თავის ქალიშვილებსა და ვაჟებს! ძირფესვიანად უნდა მოვსპოთ ახლანდელი მტაცებლური საფინანსო პოლიტიკა, რომელიც აჩანაგებს ღარიბ გლეხურ მეურნეობას და ყოველი მოუსავლობის დროს გარდუვალად აყენებს მილიონობით გლეხს გამანადგურებელი შიმშილობის გზაზე! უნდა ვიხსნათ ქვეყანა სიღატაკისა და დემორალიზაციისაგან! მაგრამ განა შევძლებთ ყოველივე ამას, თუ თავიდან ბოლომდე არ დავამხობთ ცარიზმის მთელ შენობას? და როგორ უნდა დავამხოთ მეფის მთავრობა მთელი ბატონყმური გადანაშთებიანად, თუ არ ფართო სახალხო რევოლუციური მოძრაობის გზით, მოძრაობისა, რომელსაც უხელმძღვანელებს ისტორიის მიერ აღიარებული მისი ბელადი, სოციალისტური პროლეტარიატი?“1

მსოფლიო ომმა, ბუნებრივია, კიდევ უფრო გააუარესა მშრომელთა მდგომარეობა, განსაკუთრებით რუსეთში. მეფის მთავრობა მოუმზადებელი შეხვდა ომს და, მიუხედავად ჯარისკაცთა გმირული ბრძოლისა,

---

1. ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-2, გვ. 227-228.

რუსეთის არმია ზედიზედ მარცხდებოდა. დაქვეითდა ქვეყნის ეკონომიკა, დაიხურა მრავალი საწარმო. შეუნელებლად იზრდებოდა უმუშევრობა, ნადგურდებოდა სოფლის მეურნეობა. ისევე როგორც რუსეთის მთელ იმპერიაში, საქართველოშიც დღითიდღე ძლიერდებოდა შიმშილობა. მენშევიკური გაზეთი „თანამედროვე აზრიც“ კი იძულებული იყო ეღიარებინა: „საქართველოს თავს დასტრიალებს შიმშილის აჩრდილი... დიდი უბედურება ტრიალებს გაჭირვებული გლეხის ოჯახში. ტიტველ-მშიერი ბავშვები დარბიან და მათ მწარე მოთქმას საზღვარი არ აქვს. ოჯახის უფროსს სალსარი-საშუალება ვერ მოუძებნია“.1

რაც დრო გადიოდა, მშრომელთა მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა: „ყოველდღე მსხვერპლი მსხვერპლს ემატება, — წერდა იგივე გაზეთი, — არ არის სოფელი, სადაც ყოველდღე არ ხდებოდეს შემაძრწუნებელი ამბავი... დამშეულს ავიწყდება შვილი, ძმა და მკვიდრნი, რომლებიც ბრძოლის ველზეა გაგზავნილნი... მოთმინების ფიალა აივსო, დაგუბებულმა უკმაყოფილებამ გადმოხეთქა. ხალხი აშკარად გამოდის და მოითხოვს საჭმელს. ან გვაჭამეთ ან დაგვხოცეთო“.2

მიუხედავად ამისა, მეფის მთავრობა, რომელიც ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესს იცავდა, არად აგდებდა ხალხის უბედურებას, ფრონტებზე მიერეკებოდა ათასობით ახალ ჯარისკაცს, ომის მთელ

---

1 გაზეთი „თანამედროვე აზრი“, № 8, 9, 1915 წ.
2 გაზეთი „თანამედროვე აზრი“, № 65, 1915 წ.

სიმძიმეს ხალხს აკისრებდა და აძლიერებდა რეპრესიებს ყოველგვარი რევოლუციური, პროგრესული მოძრაობის წინააღმდეგ.

კონტრრევოლუციის შეტევა მწვავედ იგრძნობოდა იდეოლოგიურ ფრონტზეც. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დამარცხებისთანავე, რეაქციის პერიოდში „გაჩნდა მთელი ხროვა მოდური მწერლებისა, რომლებიც „აკრიტიკებდნენ“ და „აცამტვერებდნენ“ მარქსიზმს, ტალახში სვრიდნენ რევოლუციას, დასცინოდნენ მას, ხოტბას ასხამდნენ გამცემლობას, ხოტბას ასხამდნენ სქესობრივ გარყვნილებას ვითომდა „პიროვნების კულტისათვის“.[1]

ეს მოდური მწერლები ქადაგებდნენ უაღრესად რეაქციულ იდეებს, ცდილობდნენ ხალხის შეგნება მოეწამლათ კაცთმოძულეობისა და შოვინიზმის შხამით. შოვინისტურ-კონტრრევოლუციური იდეების ქადაგება ბურჟუაზიულმა ლიტერატურამ განსაკუთრებით გააძლიერა ომის პერიოდში. ამას შედეგად მოჰყვა ხელოვნებისა და ლიტერატურის არნახული დაკნინება და დაქვეითება, მთელი ბურჟუაზიული კულტურის მარაზმი. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ამ პერიოდში ბურჟუაზიულ ლიტერატურასა და ხელოვნებას არ შეუქმნია ცოტად თუ ბევრად ყურადსაღები ნაწარმოები. ამიტომ სავსებით მართალი იყო დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი, როცა ამბობდა:

---

1 სკპ (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 124.

„...1907—1917 წლები ყველაზე სამარცხვინო ათი წელია რუსი ინტელიგენციის ისტორიაში“.[1] მ. გორკის ეს სიტყვები მშვენივრად ახასიათებს ამ პერიოდის ქართული მხატვრული ლიტერატურის მდგომარეობასაც.

პირველი მსოფლიო ომის წლების ქართულ მხატვრულ მწერლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა რეაქციულ-დეკადენტურმა ლიტერატურულმა მიმართულებამ — სიმბოლიზმმა, რომელიც წარმოადგენდა რუსული და ფრანგული სიმბოლიზმის ერთგვარ ნაგვიანევ ნაირსახეობას, რამდენადაც რუსეთში და განსაკუთრებით საფრანგეთში იგი გაცილებით ადრე განვითარდა. კერძოდ, რუსეთში ყველა ჟურის დეკადენტები და სიმბოლისტები სოკოებივით გამრავლდნენ რეაქციის პერიოდში. მათი ლიტერატურული კრედო იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი უარყოფდნენ ხალხს, ქადაგებდნენ „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, „უიდეობას ლიტერატურაში“, ისინი „თავიანთ იდეურ და მორალურ გახრწნილებას ფარავდნენ უშინაარსო ლამაზი ფორმისადმი გამოდევნებით“.[2]

სიმბოლიზმი წარმოიშვა და განვითარდა გასული საუკუნის 90-იანი წლების საფრანგეთში, ე. ი. იმ დროს, როცა განვითარება იწყო იმპერიალიზმმა. იგი იყო ბურჟუაზიული კულტურისა და იდეოლოგიის დაცემის

---

1 М. Горький, Литературно-критические статьи, М. 1937, стр. 646-647.

2. ა. ა. ჟდანოვი, ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ, 1947 წ., გვ. 14.

მკაფიო გამოხატულება. მის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდა იდეალიზმი. სიმბოლისტების წარმოდგენით, არის ორი ქვეყანა — რეალური და მისტიკური. რეალური ქვეყანა დამახინჯებული გამოკრთომაა მეორე, მისტიკური სამყაროსი. ამით სიმბოლისტებმა ფაქტიურად უარყვეს ობიექტური სინამდვილე, რეალური, კონკრეტული საგნები და მოვლენები გამოაცხადეს პოეტური ფანტაზიის ნაყოფად და ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანად დასახეს სწრაფვა პლატონის „იდეების ქვეყნისაკენ". მისტიკური, არარსებული ქვეყნის შეცნობის ერთადერთ გზად, მეთოდად მათ სიმბოლოები მიიჩნიეს და აქედან წარმოსდგა ამ ლიტერატურული მიმართულების სახელწოდებაც — სიმბოლიზმი.

სიმბოლისტებმა ხელოვნება და ლიტერატურა გამოაცხადეს თვითმიზნურ, ე. ი. ანტისაზოგადოებრივ, ანტიჰუმანურ მოვლენად. ისინი გაემიჯნენ რეალისტურ ლიტერატურას, უარყვეს კლასიკური მემკვიდრეობა და, ჩამოაცილეს რა ხელოვნება რეალური ცხოვრებისა და სინამდვილის ასახვის ძირითად მიზანს, პოეტის დანიშნულებად და მოწოდებად აღიარეს მისწრაფება არაჩვეულებრივის, არარსებულისა და უცნაურისადმი. მათი აზრით, მხატვრული ლიტერატურის ერთადერთი კანონმდებელი თვით პოეტია, ლიტერატურა კი პოეტის თავისუფალი ფანტაზიის, მისი სუბიექტური გამომგონებლობის ნაყოფია. სიმბოლისტებმა გამოაცხა-

დეს, რომ მხატვრული ლიტერატურა ყოველგვარი საზოგადოებრივი ნორმისა და მოთხოვნილების გარეშე დგას, და თავიანთ დევიზად მიიჩნიეს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

პოეტურ ნაწარმოებს სიმბოლისტები მით უფრო მაღალმხატვრულად თვლიდნენ, რაც უფრო ორაზროვანი და მეტაფიზიკური იქნებოდა. ამიტომ წერდა მაქსიმ გორკი ერთ-ერთი სიმბოლისტური ნაწარმოების შესახებ: „ასეთ რამეს შეიძლება წარმატება ჰქონოდა შეშლილებთან, მაგრამ გონიერნი, ალბათ, არ მოიწონებენ მას, რადგან, საეჭვოა, თუნდაც ერთი ფრაზა გაიგონ მასში“.[1]

სიმბოლისტებმა შექმნეს თავიანთი იდეალისტურ-მეტაფიზიკური თეორიის შესაბამისი ბუნდოვანი და გაუგებარი ენა. ფერებსა და ბგერებშიც ისინი ეძიებდნენ რაღაც ირრეალურს, მისტიკურს. ამ მხრივ საყურადღებოა არტურ რემბოს „ფერთა სონეტი“, რომლის შესახებაც მ. გორკი წერდა: „შეიძლება რემბოს ამ სონეტს აქვს ერთგვარი ფსიქიატრიული ნიადაგი. არ უნდა დავივიწყოთ ადამიანის ფანტაზიის უსაზღვროებაც, ფანტაზიისა, რომელსაც ბევრი რამ შეუქმნია გაცილებით უფრო უცნაური, ვიდრე ეს „ფერთა სონეტია“, რომელიც... ქვაკუთხედად დაედო მათ ხელოვნების თეორიას“.[2]

---

1 М. Горький, Несобранные литературно - критические статьи, 1941, стр. 239.

2 იქვე, გვ. 238.

სიმბოლისტური პოეზიის ძირითადი ნიშნები ჩამოაყალიბა ფრანგმა პოეტმა პოლ ვერლენმა თავის ცნობილ ლექსში „პოეტური ხელოვნება“.

პოლ ვერლენმა პოეზიის ძირითად ნიშნად მუსიკა გამოაცხადა. მუსიკამ უნდა გამოხატოსო ზმანებანი, მირაჟები, გაორებული სახეები და არარეალური, აბსტრაქტული მოვლენები, რადგანაც პოეზიის ამოცანაა ასახოს ირრეალური, მისტიკური სამყარო. მაშასადამე, ლექსი — ეს მუსიკალური ერთეულია, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არავითარ რეალისტურ და სოციალურ მოტივებს. ამ თეორიის შესაბამისად პოეტურ ქმნილებებს სიმბოლისტები არქმევდნენ გამებს, ნოტებს, რომანსებს, ისევე როგორც ვერლენმა თავის ლექსთა კრებულს უწოდა „უსიტყვო რომანსები“.

შარლ ბოდლერმა გამოსცა ლექსების კრებული „ბოროტების ყვავილები“, რომლის შესახებაც სენტბევი ავტორს წერდა: „თქვენ აიღეთ ჯოჯოხეთი, თქვენ შექმენით ეშმაკი... სევდა ქრის თქვენს სტრიქონებში, მათში მე ვცნობ ავადმყოფი თაობის უკანასკნელ სიმპტომს“.1

სიმბოლისტების პოეზია სავსეა ნორმალური ადამიანის ფანტაზიისათვის წარმოუდგენელი სიუჟეტებითა და სახეებით, რომლებიც ახლოს დგანან ავადმყოფ სულთან. თვით ბუნებაც კი ისე შემზარავად გამოიყურება სიმბოლისტურ ლექსებში, რომ დედამიწაზე მხოლოდ კაციჭამიებს თუ ეცხოვრებათ, ცის ნიადაგზე მარტო

1 Ш. Бодлер. Цветы зла, 1907, стр. 29.

შხამიანი მცენარეები და ცხოველები თუ გაიხარებენ. ამიტომ სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებას ხშირად „კოშმარებისა და საშინელების“ პოეზიას უწოდებენ. მ. გორკი ამის გამო წერდა:

„...უცნაურ, გაუმართავ ფრაზებში, გაუგებარ ლექსებში, ბუნდოვან სახეებში არის უამრავი მეღერი, მუსიკალური სონეტი, მაგრამ ისინი პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე გამსჭვალულია რაღაც ისეთით, რაც... მიუწვდომელია გონებისათვის. გეგონებათ, რომ მათ სურთ შეაშინონ ან აწყენინონ ადამიანებს. გამაღიზიანებელი ნოტა სევდისა, მარად დაუკმაყოფილებელი სევდისა და რაღაც სურვილისა, აგრეთვე დაუკმაყოფილებლის, დაუცხრომლად ეღერს ამ ლექსებში, ეღერს და საშინლად აბეზრებს თავს საზოგადოებას“.[1]

სიმბოლისტურმა მიმდინარეობამ მოიცვა დასავლეთი ევროპის ყველა ქვეყანა, იგი გავრცელდა რუსეთსა და საქართველოშიც.

რუსეთში სიმბოლიზმი აღმოცენდა XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა კაპიტალიზმი შევიდა თავისი განვითარების იმპერიალისტურ სტადიაში და სულ უფრო ძლიერდებოდა რუსეთის პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ვ. ი. ლენინის მიერ ნაროდნიკების იდეურად გაცამტვერებამ ნიადაგი მოუმზადა მარქსისტული მუშათა პარტიის შექმნას რუსეთში. 1895 წელს ლენინმა პეტერბურგში შექმნა „მუშათა კლასის განთავისუფ-

1 М. Горький, Несобр. лит.—крит. статьи, стр. 241.

ლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელშიც გააერთიანა პეტერბურგის მარქსისტული მუშათა წრეები და მაღლა აღმართა შეგნებული რევოლუციური ბრძოლის დროშა. იწყებოდა მუშათა მოძრაობის შეერთება სოციალ-დემოკრატიასთან. მუშათა კლასი უკვე წარმოადგენდა მძლავრ პოლიტიკურ ძალას. მისი რევოლუციური გამოსვლების ზეგავლენით რუსეთი სულ უფრო იცვლებოდა. „რუსეთი ის დაბეჩავებული და მორჩილი რუსეთი აღარ არის, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომელიც მრავალი წლის განმავლობაში უსიტყვოდ გმინავდა რომანოვების უღელქვეშ. და უწინარეს ყოვლისა — რაც იყო, ის აღარ არის ჩვენი რუსეთის მუშათა კლასი, რომელიც წინ მიუძღვის თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს“.[1]

ბუნებრივია, რომ ამ ახალ კლასს, რომელიც ახალი რუსეთის შექმნისაკენ ისწრაფოდა, თავისი სიტყვა უნდა ეთქვა ლიტერატურაშიც. ამასთან დაკავშირებით საფუძველი ეყრებოდა პროლეტარულ ლიტერატურას. სოციალისტური რეალიზმის მეთოდს, რაც ნამდვილ გადატრიალებას წარმოადგენდა რუსული და მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში და მჭიდროდ არის დაკავშირებული დიდი მხატვრისა და პუბლიცისტის მაქსიმ გორკის სახელთან.

პროლეტარული ლიტერატურა რუსული და მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებზე აღმო-

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-2, გვ. 285.

ცენდა და განვითარდა, მისი მხატვრული მეთოდი კი შეიქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის გრანიტის საფუძველზე.

მუშათა და ყველა ექსპლოატირებულის ძლევამოსილი განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, ლიტერატურისაგან მოითხოვდა ეჩვენებინა მშრომელთა ბრძოლის, მისი ნათელი მომავლის პერსპექტივა. განმათავისუფლებელი მოძრაობის გაქანება, მისი სიდიადე და პერსპექტიულობა მწერალს შესაძლებლობას აძლევდა დღევანდელ დღესთან ერთად ცხადად დაეხატა ხვალინდელი დღე, კარს მომდგარი ახალი ცხოვრება, ნათელი მომავალი, ახალი ადამიანები.

მ. გორკი წერდა: „...იმისათვის, რომ წარსულის შხამიანი, კატორღული სისაძაგლე კარგად იქნეს გაშუქებული და გაგებული, საჭიროა განვავითაროთ იმის უნარი, რომ მას ვუცქერდეთ აწმყოს მიღწევების სიმაღლიდან, მომავლის დიადი მიზნების სიმაღლიდან. ამ მაღალმა თვალსაზრისმა უნდა აღძრას და კიდევაც აღძრავს იმ ამაყ, სასიხარულო პათოსს, რომელიც ჩვენს ლიტერატურას მისცემს ახალ ტონს, დაეხმარება მას შექმნას ახალი მიმართულება — სოციალისტური რეალიზმი“.[1]

სოციალისტური რეალიზმი, როგორც პროლეტარული ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდი, უპირველეს ყოვლისა, ვითარდებოდა თვით მ. გორკის მხატვრულ ქმნილებებში. უკვდავ რომანში „დედა“, რომე-

1 М. Горький. Лит.—крит. статьи, стр. 555.

ლიც მ. გორკიმ 1907 წელს დაწერა, და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში დიდმა პროლეტარულმა მწერალმა ახალი ადამიანების სრულყოფილი მხატვრული სახეები მოგვცა. ანდრია ნახოდკა, პავლე ვლასოვი და სხვები თავდადებული და შეუპოვარი ბრძოლით იკაფავენ გზას, არავითარი საფრთხის წინაშე უკან არ იხევენ, მამაცურად ძლევენ ყოველგვარ დაბრკოლებას და სწამთ, რომ „დადგება დრო, როდესაც ადამიანებს ერთმანეთი ეყვარებათ, როდესაც თვითეული სხვებისათვის... იქნება ვარსკვლავი... დიადნი იქნებიან ამ ცხოვრების ადამიანები".[1] ბრძოლისა და რწმენის ამ პათოსს ლიტერატურაში შეჰქონდა სრულიად ახალი იდეა, სრულიად ახალი შინაარსი.

ჯერ კიდევ 1900 წელს მ. გორკი ა. ჩეხოვს სწერდა: „დადგა გმირულის საჭიროების დრო, კაშკაშა რამ, ისეთი, იცით, რომ არ ჰგავდეს ცხოვრებას, არამედ უფრო დიადი, უკეთესი, უფრო ლამაზი იყოს. აუცილებლად საჭიროა, რომ ახლანდელმა ლიტერატურამ დაიწყოს ცხოვრების შელამაზება, და როგორც კი ამას დაიწყებს, — ცხოვრება შელამაზდება, ე. ი. ადამიანები უფრო სწრაფ, ცხოველ ცხოვრებას დაიწყებენ".[2]

მ. გორკი მწერლებისაგან მოითხოვდა შეექმნათ ისეთი მხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც აამაღლებდნენ ადამიანს, განამტკიცებდნენ მის რწმენას, გაუღვივებდნენ მისწრაფებას უკეთესი მომავლისაკენ. ეს არის

---

1 М. Горький, Мать, 1928, стр. 122—193.
2 Л. И. Тимофеев, Современная литература, 1948, стр. 24.

ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი საბჭოთა ლიტერატურისა, რომლის მხატვრული მეთოდი ი. ბ. სტალინმა მწერლებთან საუბარში განსაზღვრა როგორც სოციალისტური რეალიზმი:

იმ დროს, როცა აღმავალი კლასი — პროლეტარიატი თავის ახალ, იმედითა და სიცოცხლით სავსე რეალისტურ ლიტერატურას ამკვიდრებდა, გაბატონებული კლასების ლიტერატორები, რომლებიც სულ უფრო ჰკარგავდნენ სოციალურ დასაყრდენს ცხოვრებაში, გრძნობდნენ მოახლოებული რევოლუციის ქროლას, ხედავდნენ საკუთარი ბატონობის აღსასრულს, თავიანთ უპერსპექტივობას, ცდილობდნენ გაქცეოდნენ რეალურ სამყაროს, შეექმნათ რაღაც სხვა, არაამქვეყნიური, რეალურის მიღმა, მირაჟებისა და ილუზიების სამყარო. აშკარა გახდა რეაქციულ-ბურჟუაზიული ლიტერატურის მწვავე კრიზისი, მზარდი დეკადანსი.[1] მასში დღითიდღე ძლიერდებოდა ანტირეალიზმი, მისტიციზმი, ინდივიდუალიზმი, ეროტიკა და ა. შ.

რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი თეორეტიკოსი დ. მერეჟკოვსკი 1893 წელს გამოცემულ თავის წიგნში „თანამედროვე რუსული ლიტერატურის დაცემის მიზეზებისა და ახალ მიმდინა-

---

1 რა თქმა უნდა, რუსულ ლიტერატურაში, გარდა ამ ორი — პროლეტარული და რეაქციულ-დეკადენტური — მიმართულებისა, არსებობდა და კვლავ ვითარდებოდა კრიტიკული რეალიზმი. მისი უდიდესი წარმომადგენლები ლ. ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, ვ. კოროლენკო და სხვ. ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ ხალხთან, გამოხატავდნენ მის შეხედულებებს და შორს იდგნენ რეაქციულ-დეკადენტური მწერლობისაგან.

რეობათა შესახებ“ ცდილობდა გაერკვია მისი თანადროული ლიტერატურის კრიზისის მიზეზები და ამ კრიზისიდან გამოსასვლელ საშუალებად მიიჩნია წარსული ლიტერატურული ტრადიციების უარყოფა და რელიგიური ძიებანი. მართლაც, რუსი სიმბოლისტები — ვალერი ბრიუსოვი, ალექსანდრე ბლოკი, ანდრეი ბელი, ზინაიდა გიპიუსი და სხვები მკვეთრად გაემიჯნენ რუსული კლასიკური მწერლობის სახელოვან ტრადიციებს, გამოაცხადეს ხელოვნების ავტონომია, ლიტერატურა მოწყვიტეს რეალურ სინამდვილეს და იგი მწერლის ფანტაზიის ნაყოფად აღიარეს. „ყველა თავის ნაწარმოებს, — წერდა ვ. ბრიუსოვი, — ხელოვანი თავის თავში პოულობს... მხატვრული სკოლა გარეგნულ მაგალითებს ასწავლის, შინაარსი კი საკუთარი სულიდან უნდა აიღო“.[1]

რუსმა სიმბოლისტებმა, ფრანგი სიმბოლისტების მსგავსად, რელიგია გამოაცხადეს ხელოვნების ძირითად არსად, მუსიკა — ძირითად პრინციპად. მათ შემოქმედებაში ფართოდ დამკვიდრდა ინდივიდუალიზმი, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან განდგომა, ბოჰემისა და ეროტიზმის მოტივები.

რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ბალმონტი ქადაგებდა უკიდურეს ინდივიდუალიზმს და მოითხოვდა ცხოვრებიდან გაქცევას. იგი წერდა: „და მე დავტკბები უკანასკნელი ბედნიერებით — ვიყო ადამიანებისაგან შორს, ვიყო

1 Литературное наследство, № 27—28, 1937 г., стр. 56.

განმარტოებით... მე მიყვარს მხოლოდ ერთი უსაზღვროება — ჩემი სული".[1]

პოეტი თავის შთაგონების წყაროდ თვლიდა ლეგენდას სპილოს ძვლის კოშკის შესახებ, რომელიც მას იცავდა, თიშავდა რეალური სამყაროსაგან და საკუთარი ოცნების სამფლობელოში ჰკეტავდა: „მე სამუდამოდ ჩავიკეტე ფერადსარკმლებიან კოშკში, და ეს მხიარული ფერადი სარკმლები განუწყვეტლივ შთამაგონებენ სიზმრებს".[2]

ხალხისა და სამშობლოს ინტერესებისაგან განდგომის, საკუთარ ვიწრო ეგოისტურ არსში ჩაკეტვის, სიზმრებისა და მოჩვენებების სამყაროში გახიზვნის იდეებს ავითარებდა სიმბოლისტური პოეზიის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელი ვ. ბრიუსოვიც:

„მე მეზიზღება კაცობრიობა,
მივილტვი მისგან, შორს მივიჩქარი,
ჩემი სამშობლო ჩემი სულია,
გადარუჯული უდაბნოს დარი."[3]

ვალერი ბრიუსოვი ახალგაზრდებს მოუწოდებდა ეცხოვრათ განმარტოებით, გამოთიშოდნენ საზოგადოებასა და საზოგადოებრივ მოვლენებს, ადამიანის მიმართ ყოფილიყვნენ გულგრილნი და ინდიფერენტულნი, თაყვანი ეცათ წმინდა ხელოვნებისათვის:

„აწმყო ცხოვრება უარყავი, იყავ გულგრილი,
მხოლოდ მყოფადი არის მგოსნის მკვიდრი სამყარო.
გახსოვდეს: ნურვის ნურასოდეს ნუ თანაუგრძნობ,

---

[1] К. Бальмонт, Полное собрание стихов, 1908 г., стр. 98.
[2] იქვე, გვ. 201.
[3] В. Брюсов, Избранные стихотворения, 1945 г., стр. 37.

უსაზღვრო ტრფობის შენშივეა ანკარა წყარო.
თაყვანი ეცი ხელოვნებას წმიდათა წმიდას,
მას ემსახურე შენ უმიზნოდ და უანგაროდ."1

სიმბოლისტური პოეზიის უმიზნობა და უსაგნობა მკაფიოდ ჩანს ალ. ბლოკის შემდეგი სიტყვებიდან: „სიმღერებსა ვთხზავ, მაგრამ არ ვიცი ვისთვის?"2

თავისი შემოქმედებისა და ცხოვრების უაზრობაზე მოთქვამდა ზ. გიპიუსიც:

„უგნური სევდით ვკვდები და ვიწვი,
ვკვდები და ვიწვი,
ვესწრაფვი იმას, რაიც არ ვიცი,
რაიც არ ვიცი...
მე მინდა ქვეყნად არარსებული,
არარსებული..."3

სიმბოლისტები უარყოფდნენ კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებს. მათ ბრძოლა გამოუცხადეს დემოკრატიულ-რეალისტურ ლიტერატურას. დიდი პუშკინის შემოქმედების ნაკლად ისინი თვლიდნენ რეალიზმს, ხალხურ ენას და სისადავეს. ამავე დროს ისინი სასტიკად ებრძოდნენ პროლეტარული ლიტერატურის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით მ. გორკის, ა. სერაფიმოვიჩსა და სხვ. მათი ცდა ჩრდილი მიეყენებინათ დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისათვის, ისევე როგორც მათი ყოველგვარი ლაშქრობა პროგრესულისა და დემოკრატიულის წინააღმდეგ,

1 В. Брюсов, Избранные стихотворения, 1945, стр. 38.
2 А. Фадеев, Столбовая дорога пролетарской литературы, 1929 г., стр. 14.
3 იქვე, გვ. 14-15.

„მოფიქრებული იყო ხოლმე დიდი ხმაურითა და პრეტენციოზულობით და ასეთივე ეფექტით იფუშებოდა“.[1]

* * *

სიმბოლიზმმა დაგვიანებული გამოძახილი ჰპოვა საქართველოშიც. 1916 წელს ქუთაისში გამოიცა ქართველი სიმბოლისტების პირველი კრებული „ცისფერი ყანწები“. მის ირგვლივ შემოკრებილი მწერლები ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, პ. იაშვილი, რ. გვეტაძე, კ. ნადირაძე, ს. ცირეკიძე, შ. აფხაიძე, ს. კლდიაშვილი და სხვები თავს აცხადებდნენ „ახალი ქართული შეგნების მეთაურად“, იცავდნენ დებულებას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და იმეორებდნენ ფრანგი და რუსი სიმბოლისტების მცდარ ესთეტიკურ შეხედულებებს.

ქართველ სიმბოლისტთა ლიტერატურული კრედო გადმოცემულია ჟურნალის წინათქმაში:

„საყვარელმა ნიმფებმა ასწიეს ფარდა ჩვენი სცენისა, და ვგალობთ ოქროთი შემოსილი განახლების აქტიორები უსხივო ხალხის წინაშე. პირველთქმა ჩვენი არის შხამური. იგი ადუღებულ ფოლადივით დასწვავს თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვნების მტერნო, თქვენ, ვისაც არ გწამთ ხელოვნების მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას!.. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გა-

1 ა. ა. ჟდანოვი, ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

დაიქცეს უსაზღვრო მეოცნებე ქვეყნად... ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები, ჩვენს სიმღერაში თქვენ დაინახავთ მრავალ ფერებს, რომელთა ხალისიანი ცეკვა გააგიჟებს თქვენს მიბნედილ თვალთაცქერას. ყოველი სიტყვა ჩვენი ლექსისა ამაყობს თავისი სიცოცხლით ისე, როგორც ამიერიდან ვიამაყებთ ჩვენ ჩვენი „პირველთქმით", ჩვენი გაბედული აღსარებით".[1]

ამ „წინათქმაში" აშკარად ჩანს „ცისფერყანწელთა" დეკადენტურ-ბურჟუაზიული მოსაზრებანი და მისწრაფებანი.

თუ რა პირობებმა განსაზღვრა „ცისფერი ყანწების" წარმოშობა, ამ კითხვაზე ჯერ კიდევ 1916 წელს პასუხი გასცა ფილიპე მახარაძემ. გაზეთ „თანამედროვე აზრში" მან მოათავსა სტატია სათაურით „საბრალონი", რომელშიც ნათქვამია:

„ყოველგვარი სიდუხჭირე და მავნე მოვლენა კერძო თუ საზოგადო ცხოვრებაში ცოტად თუ ბევრად ფართო ნიადაგს პოულობენ ისეთ მომენტში, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფრთებს შლის და ძლიერდება რეაქცია. რეაქცია მარტო პოლიტიკური სფეროთი არ კმაყოფილდება. პოლიტიკიდან იგი გადადის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში და ყველგან არევ-დარევას, საერთო დაცემას და გახრწნას იწვევს, ვინაიდან საზოგადოების ყველა ნაძირალას, ყველა ზნეობითად და გონებრივად მახინჯ ელემენტს რეაქციის მეოხებით საშუალება ეძლევა თავისუფლად ითარეშოს.

1 ჟურნალი „ცისფერი ყანწები", 1916 წ., № 1, გვ. 2-3.

რეაქციის დამღუპველი გავლენა ვერ ასცდა, რა თქმა უნდა, ლიტერატურასაც. ლიტერატურა ხომ საზოგადოებრივი ცხოვრების სარკეა, და აი, რეაქციის ხანის სიტყვა-კაზმული მწერლობა — ბელეტრისტიკა და პოეზია საშინლად დაეცა და გახრწნილების გზას დაადგა... „ცისფერყანწელები“ ბნელი ძალების ღვიძლი შვილებია და ამავე ძალებს ემსახურებიან და გუნდრუკს უკმევენ. მაგრამ იმათი ვაკხანალია და დღესასწაული დიდხანს ვერ გაგრძელდება. მზე კვლავ ამოვა და ნათელი გაიმარჯვებს: მაშინ ისინი იძულებული იქნებიან თავიანთი ბნელი სოროები მოძებნონ და იქ ჩაძვრნენ“.[1]

საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის დამყარების შემდეგ ყველა ჯურის დეკადენტურ მიმდინარეობათა წარმომადგენლებმა და მათ შორის „ცისფერყანწელებმაც“ ფართოდ გაშალეს ფრთები და განვითარების ნოყიერი ნიადაგი ჰპოვეს. თავისი კლასობრივი არსით საქართველოს მენშევიკური მთავრობა იგივე იყო, რაც დროებითი მთავრობა რუსეთში, რომელიც, როგორც დიდი ლენინი წერდა, „ბურჟუაზიისა და გაბურჟუებულ მემამულეთა წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა“.[2] ეს მთავრობა თითქმის არაფერს ცვლიდა ბურჟუაზიულ-მემამულურ რუსეთში და ხალხთა ჩაგვრის ძველ წყობილებას ინარჩუნებდა.

---

1 ფ. მახარაძე, „საბრალონი“, გაზეთი „თანამედროვე აზრი“, 1916 წ., № 56.

2 სკპ (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ. გამოცემა, გვ. 220.

ამიერკავკასიის მდგომარეობას ამ პერიოდში ი. ბ. სტალინი შემდეგნაირად ახასიათებდა:

„თებერვლის რევოლუციას არსებითი ცვლილებები არ შეუტანია მხარის მშრომელი კლასების მდგომარეობაში. ჯარისკაცები, სოფლის ეს ყველაზე რევოლუციური ელემენტები, ჯერ კიდევ ფრონტზე იყვნენ. ხოლო მუშები, საერთოდ სუსტნი, როგორც კლასი, მხარის ეკონომიური ჩამორჩენილობის მიზეზით, და ჯერ კიდევ მოუღონიერებელნი, როგორც ორგანიზებული ერთეული, მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლებებით აღფრთოვანების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და, როგორც ჩანს, უფრო შორს წასვლას აღარ აპირებდნენ. მთელი ძალაუფლება შეძლებული კლასების ხელში რჩებოდა. ეს უკანასკნელნი მაგრად ებღაუჭებოდნენ ძალაუფლებას და მოლოდინში იყვნენ, ხოლო ესერ-მენშევიკ სტრატეგებს ხალისით ანდობდნენ — მიეძინებინათ მუშები და გლეხები ბრძნული სიტყვებით რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ხასიათის, სოციალისტური გადატრიალების განუხორციელებლობის შესახებ და სხვ“.[1]

მენშევიკური მთავრობა უსასტიკესი რეპრესიებით ცდილობდა ჩაეხშო რევოლუციურად განწყობილი მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცთა მოძრაობა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა შეენარჩუნებინა ხელისუფლება. მიუხედავად მხეცური რეპრესიებისა, საქართველოს

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-4, გვ. 56-57.

მშრომელები დღითიდღე აძლიერებდნენ ბრძოლას, მოითხოვდნენ საბჭოთა რუსეთთან კავშირს, საბჭოების ხელისუფლების დამყარებას.

თავიანთი ბატონობის გასამტკიცებლად მენშევიკური მთავრობის ლიდერებმა საქართველო გერმანელ იმპერიალისტებს გადასცეს. 1918 წლის 25 მაისს თბილისში შემოვიდნენ გერმანელთა ჯარები, ხოლო 26 მაისს ეროვნულმა საბჭომ საქართველო „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად გამოაცხადა. ეს იყო ხალხის მოტყუება.

„საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, — სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“,[1] — წერდა ვ. ი. ლენინი ამის გამო.

გერმანელი ოკუპანტები ძარცვავდნენ მოსახლეობას, უკანასკნელ სარჩოს ართმევდნენ გლეხებს. მათი თარეშისაგან საქართველო იხსნა 1918 წლის გერმანიის რევოლუციამ. გერმანელი ინტერვენტების შემდეგ მენშევიკურმა მთავრობამ ინგლისის იმპერიალიზმს შეავედრა „დემოკრატიული სახელმწიფოს“ ტერიტორიის დაცვა და 1918 წლის დეკემბერში ინგლისმა დაიკავა ბათუმი და მთელი აჭარა. ინგლისელებმა განაგრძეს გერმანელი იმპერიალისტების გზა — ჩვენი ქვეყნის ძარცვა-გლეჯა, ადგილობრივი მცხოვრებლების აწიოკება და აბუჩად აგდება.

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28-ე, გვ. 7-8.

მენშევიკური მთავრობა ბურჟუაზიულ ნაციონალისტურ-შოვინისტურ პოლიტიკას ატარებდა. საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობა ხასიათდება დაუმთავრებელი კონფლიქტებით, პროვოკაციებით და სისხლისღვრით. ამის დასადასტურებლად საკმარისია მოვიგონოთ 1918 წლის ქართველ-სომეხთა ომი და სომეხ-თათართა ჟლეტა.

„საკვირველი არ არის, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომ ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა“.[1]

მენშევიკური მთავრობა არ ზრუნავდა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის, ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. იგი მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციისაგან თავის დაღწევაზე ფიქრობდა. წარმოება ძველი, კაპიტალისტური გზით მიედინებოდა, მუშები, გლეხები, მშრომელი ინტელიგენცია შიმშილობდნენ. მენშევიკურ მთავრობას არავითარი ცვლილება არ შეუტანია წარმოების წესში. ეს გასაგებიც იყო, რადგან მენშევიკები მიზნად ისახავდნენ ბურჟუაზიული წესწყობილების განმტკიცებას.

მუშებისა და გლეხების მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. რუსეთში მომხდარი დიდი გარდატეხის გავლენით საქართველო-ამიერკავკასიას მოედო აგრარუ-

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-5, გვ. 105.

ლი რევოლუცია. გლეხობა ძალით ისაკუთრებდა მიწებს, დევნიდა მემამულეებს. მენშევიკური მთავრობა ცდილობდა ყოველი ღონისძიებით დაეცვა ბურჟუაზიულ-მემამულური წესწყობილება, ჩაეხშო მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობა. მაგრამ ეს ცდა ამაო იყო. მენშევიკური საქართველო სულს ღაფავდა.

საუბარში „პრავდის“ თანამშრომლებთან 1920 წლის 30 დეკემბერს, ეხებოდა რა საქართველოს მდგომარეობას, ი. ბ. სტალინი ამბობდა:

„საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო-მდგომარეობა ფაქტია, რასაც ახლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის“.[1]

ცხადია, მენშევიკური უდროობის პერიოდი არა თუ ხელს უწყობდა ქართული მხატვრული ლიტერატურის იდეურ გაჯანსაღებას, მის გამოყვანას დაცემულობიდან, რომელშიც იგი მოექცა, არამედ, პირიქით, მან კიდევ უფრო გააძლიერა დაცემულობის განწყობილება, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, შოვინიზმი. დავიწყებას მიე-

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-4, გვ. 446-447.

ცა ქართული კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციები, და ლიტერატურა მოწყდა ხალხს, მის ცხოვრებას.

მენშევიკური ხანის მწერლობაში შეინიშნებოდა სამი ძირითადი ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული იყვნენ ჟურნალების „ცისარტყელის", „მეოცნებე ნიამორებისა" და „პრომეთეს" გარშემო. სამივე ეს ჯგუფი, მიუხედავად ზოგიერთი სხვაობისა, არსებითად სიმბოლისტურ-დეკადენტური სკოლის სხვადასხვა განშტოებას წარმოადგენდა და იცავდა პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის", ქადაგებდა სინამდვილისაგან მოწყვეტას, მისტიციზმს, უკიდურეს პესიმიზმსა და შოვინიზმს. მაგრამ თავისი რეაქციული იდეებით მაინც გამოირჩეოდა „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული ჯგუფი, რომელსაც საკუთარი ჟურნალები ჰქონდა — „ცისფერი ყანწები" (ქუთაისი, 1916 წელი), „მეოცნებე ნიამორები" (თბილისი, 1919—1924 წლები), „შვილდოსანი" (თბილისი, 1920 წელი) და გაზეთი „ბარიკადი" (თბილისი, 1920, 1922, 1924 წლები).

როგორია „ცისფერყანწელთა" ლიტერატურული შეხედულებანი, მათი იდეოლოგია?

ისინი პირდაპირ მიუთითებდნენ თავიანთ ნათესაობაზე დასავლეთევროპულ და რუსულ სიმბოლიზმთან: „სიმბოლიზმი, როგორც სკოლა, დასავლეთიდან მოდის ჩვენში", — აცხადებდა ერთ-ერთი ცისფერყანწელი.[1]

---

[1] შ. აფხაიძე, ქართული პოეზიის პერსპექტივები, ჟ. „მეოცნებე ნიამორები", 1919 წ., თებერვალი.

და მართლაც, ფრანგ სიმბოლისტებს „ცისფერყანწელები“ უწოდებდნენ ძმებს, ხოლო პარიზს— უწმინდეს ქვეყანას: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი. — ადიდე ხალხო, ეს მრისხანე ქალაქი, სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე — სიტყვის მესაიდუმლე, და არტურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“.[1]

„ცისფერყანწელებმა“ მთლიანად გაიზიარეს სიმბოლიზმის ლიტერატურული კონცეფცია და ხელოვნებას, კერძოდ, პოეტს დააკისრეს არა ხალხისა და სამშობლოს სამსახური წმიდათა-წმიდა იდეებით, არამედ მისტიციზმისა და „მარადიული ხელოვნების“ თაყვანისცემა. „პოეტია ის,— წერდნენ ისინი,— ვინც იგრძნო ფენომენალობა სამყაროსი და აჩრდილი მარადიულობის. პოეტი არ გვიჩვენებს ჭეშმარიტ ორეულს ქვეყნისას. ის მხოლოდ გვაცნობს მის შესაძლებლობას... სოფელს დიდი ხანია გაუჩნდა ორეული და მოჩვენებებით დასახლდა ქვეყანა. გაიცრიცა ფირუზის ცა, აინგრა ზურმუხტის ხმელეთი და მოისმა სუნთქვა ქაოსის. აქ აღარ გამოდგება კოდაკის აპარატი. ორი თვალი ადამიანის დაძველდა. პოეზია და რელიგია იხედებიან მოვლენათა გადაღმა და მათთვის საჭირო შეიქმნა ათვისებისა და გამოთქმის ახალი ფორმები... პოეზია არასოდეს არ

1 „პირველი თქმა“, ჟ. „ცისფერი ყანწები“, 1919 წ., № 1.

იქნება პოზიტიური. იგი მისტიციზმია და კაბალისტიკა ნიშნების“.[1]

ქართველმა სიმბოლისტებმა გვერდი აუარეს ქართული კლასიკური მწერლობის სახელოვან ტრადიციებს და რეალური სინამდვილის ასახვის, ხალხისა და სამშობლოს სამსახურის იდეას, ჰუმანიზმს დაუპირისპირეს ვიწრო ეგოისტური მისწრაფებანი, ცხოვრებიდან განდგომა, ღრმა მისტიციზმი, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვითმიზნობა.

თუკი ილია ჭავჭავაძე თავისი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ საპროგრამო წერილში წერდა: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გაუმჯობესება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოხსნა, მისი ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა“... თუკი იგი ლიტერატურის, ხელოვნების მთავარ ამოცანად სახავდა — „თვალგაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებასა, რათა ყოველ აღმოშობილ ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს...“,[2] „ცისფერყანწელები“ აცხადებდნენ პოეზიის „ავტონომიას“: „პოეზია არაა ნაწილი ხელოვნების... პოეზია არ ეტევა ლიტერატურაში, ხელოვნებას პოეზიასთან არავითარი კავშირი არა აქვს“.[3] თვლიდნენ

---

1 ჟურნალი „მეოცნებე ნიამორები“, წიგნი მეხუთე. 1921 წ., გვ. 11-12.

2 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1.

3 ს. ცირეკიძე, პოეზიის ნაპირები, „მეოცნებე ნიამორები“, წიგნი მე-6, გვ. 10-11.

რა რეალიზმს სინამდვილის უხეშ ანარეკლად, „ცისფერ-ყანწელებმა“ ხელოვნებასა და პოეზიას მიზნად დაუსახეს „შექმნას მაგარი ფონის ილუზია, რომ მიალურსმოს წარსული“.[1]

თუკი ილია ჭავჭავაძეს სწამდა, რომ ხელოვნება და მეცნიერება სინამდვილის, ცხოვრების უშუალო ნაყოფია, რომ „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერა ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოსწევენ სათესლოდ, ისევე ცხოვრებასავე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად...“,[2] ქართველი სიმბოლისტები, ისევე როგორც მათი ევროპელი და რუსი მასწავლებლები, ლიტერატურას პოეტის ფანტაზიის ნაყოფად თვლიდნენ და ცდილობდნენ ხელოვნებაში გაებატონებინათ ფანტასტიკური ორეულები, ბუნდოვანი, მისტიკური სახეები. „ლირიკული პოეზია ენათესავება სიჩუმეს... სიტყვები კარგავენ თავიანთ ძალას და უთმობენ ადგილს შთაგონებას სხვანაირს... აქ აღარ არის რეალობა, აქ მხოლოდ მისტიკაა მსუბუქ აჩრდილების“,— წერდა ვ. გაფრინდაშვილი „მეოცნებე ნიამორების“ 1921 წლის მეხუთე წიგნში.

ასე დაშორდნენ ცისფერყანწელები ნამდვილი ლიტერატურის, ჭეშმარიტი ხელოვნების მიზნებსა და ამოცანებს, ასე ხელაღებით უარყვეს მათ კლასიკური ლიტერატურის დიადი ტრადიციები.

---

1 ს. ცირეკიძე, პარალელები, „მეოცნებე ნიამორები“, წიგნი მე-5, გვ. 11-12.

2 „საქართველოს მოამბე“, 1863 წ., № 1.

პოეზიის საგნად „ცისფერყანწელები“ სიმახინჯეს თვლიდნენ. სიმახინჯე და საშინელება მათ ესმოდათ როგორც სიმბოლო: „სიმახინჯე ჩვენ გვესმის როგორც სიმბოლო და როგორც ირონია. მახინჯს ჩვენ ყოველთვის ვგულისხმობთ როგორც მოვლენის ზედაპირს, როგორც ფანტასტიკურ ნიღაბს. ჩვენ არ გვიტაცებს ის, რაც პირდაპირი სახით გვევლინება — ჩვენ გვინდა ნიღაბი. ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი“.[1]

ქართველი სიმბოლისტები თავიანთი ფრანგი და რუსი მასწავლებლების დარად ავითარებდნენ აგრეთვე ბოჰემას. მათ პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სიგიჟეს, თვითმკვლელობისა და ეროტიზმის აპოლოგიას.

თავიანთ თავს ისინი თვლიდნენ ქართული ენის განმაახლებლებად და ქართული ლექსის ნოვატორებად. „გრიგოლ მერჩულისა და რუსთაველის შემდეგ,— წერდნენ „ცისფერყანწელები“,— ქართული ენა გადაგვარდა და ლექსი გაიტეხა. ჩვენში დღემდე გრძელდება ეს ეროვნული დეკადანსი. ქართული ლექსი და ქართული სიტყვა ცისფერყანწელებს ჩაუვარდათ ხელში როგორც გადამწვარი მუგუზალი. და საჭირო იყო მართლა სასწაული, რომ ლექსი გამართულიყო ლექსად და ამდგარიყო პრიმატი ფორმის და იდეის“.[2]

„ცისფერყანწელებს“ გამბედაობა ეყოთ უპატივცემულოდ მოეხსენებინათ ქართული ლიტერატურის XIX

1 „მეოცნებე ნიამორები“, წიგნი მეხუთე, 1921 წ., გვ. 14.
2 „ცისფერი ყანწები“, 1916 წ., ქუთაისი, ზამთარი.

საუკუნის 60-იანი წლების სახელოვანი მოღვაწენი: „იყო გამარჯვება სრული „თერგდალეულთა“,— წერდა ერთ-ერთი „ცისფერყანწელი“,— მაგრამ ეს იყო დამარცხება მთელი შემდეგი ხელოვნებისა. ამ დღიდან ამოიშალა ქართულ პოეზიაში ძველი სული. ამ „ცრუ რუსთაველებმა და ლიბერალებმა“ მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად. რუსთაველისა და ბესიკის პოეზიის თვითმიზნობას იმათ უპასუხეს ცნობილი ფორმულით. ილია ჭავჭავაძემ სამუდამოდ დასწყევლა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“. აკაკი წერეთელი ათას ხვრელს იტოვებდა პოეტის დანიშნულებაზე... ყველა ლექსი ბანკის ოპერაციებზე... დარჩება, როგორც პოლიტიკური არა ნიჭიერი ნიმუშები.“2

ქართველი სიმბოლისტების ასეთი ნიჰილისტური დამოკიდებულება თერგდალეულთა მოღვაწეობისადმი გასაგებია. თერგდალეულები ეპოქის მოწინავე იდეებს გამოხატავდნენ და ხელოვნებისაგან მოითხოვდნენ ხალხის სამსახურს. „ცისფერყანწელები“ კი იცავდნენ პრინციპს „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რაც ცხადყოფდა მათს განხეთქილებას ჯანსაღ საზოგადოებრივ იდეებთან. ცნობილია, რომ მისწრაფება „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ აღმოცენდება იქ, სადაც არსებობს წინააღმდეგობა ხელოვნებისა და საზოგადოების მოწინავე იდეებს შორის.

---

1 „ცისფერი ყანწები“, 1916 წ., ქუთაისი, ზამთარი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ა. ა. ჟდანოვი, ახასიათებდა რა სიმბოლიზმის სოციალურ საფუძვლებს, წერდა:

„თავისი სოციალური სათავეებით ეს იყო ლიტერატურის თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული მიმდინარეობა იმ პერიოდში, როცა არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის დღეები დათვლილი იყო და როცა გაბატონებული კლასების პოეტები და იდეოლოგები ცდილობდნენ გაქცეოდნენ არასასიამოვნო სინამდვილეს რელიგიური მისტიკის, ღრუბელს მიღმა მწვერვალებსა და ბურუსში, წვრილმან პირად განცდებში და თავის პაწაწკინტელა სულის ჩიჩქნაში“.[1]

ამიტომ იყო, რომ სიმბოლიზმის გამოჩენას მისი კაცთმოძულე არისტოკრატიზმით, მისტიციზმითა და გონების დამამძიმებელი ბურუსიანი სტილით პროგრესული საზოგადოება უაღრესად უარყოფითად შეხვდა.

სიმბოლისტური კრებულის „რუსი სიმბოლისტები“ გამოცემის პირველივე დღეებში ვ. ბრიუსოვი დღიურში წერდა: „ამ რვეულის დასაწყისში (ლაპარაკია კრებულზე „რუსი სიმბოლისტები“ — **ნ. დ.**) მე არავინ მიცნობდა, ახლა კი ყველა ჟურნალი ილანძღება“.[2] საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ ლიტერატურული სკოლის შესახებ ერთ-ერთმა ლიტერატურულმა ჟურნალმა განაცხა-

---

1 ა. ა. ჟდანოვი, ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

2 Л. П. Тимофеев, Современная литература, стр. 167.

და, რომ „სიმბოლიზმი ყოველივე ისაა, რის შესახებაც შეიძლება წამოიძახო: ეშმაკმა იცის რა არის ეს“.[1]

ასევე უარყოფითად შეხვდა ქართველი სიმბოლისტების გამოსვლას 1916 წელს საქართველოს მოწინავე საზოგადოება. ამით განაწყენებული „ცისფერყანწელები“ წერდნენ: „ჩვენი მორიგი გამოსვლა ფილისტერების ლიტერატურამ ნაჩვევი სიჩუმით ჩაატარა... ამ ხალხს არ სჩვევია ბრძოლის მიღება, ჩვენი მხრივაც სისასტიკე იქნებოდა მოგვეთხოვა საგალვანიზაციო ლეშიდან რაიმე ლიტერატურის ღირსი პასუხი“.[2]

მოწინავე საზოგადოების ასეთი ანტიპათია იმ ლიტერატურისა და ლიტერატორებისადმი, რომლებიც ასე შორს იდგნენ ხალხისა და სამშობლოს ინტერესებისაგან, სავსებით ბუნებრივი და სამართლიანია.

დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი თავის სახელგანთქმულ „წერილში გოგოლისადმი“, რომელიც ლენინის თქმით, „ცენზურგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები იყო, რომელმაც დღემდეც უდიდესი, ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა“,[3] შესანიშნავად გადმოგვცემს ხალხის დამოკიდებულებას უიდეო, ანტიხალხური ნაწარმოებისადმი.

მხატვრული ნაწარმოების მთავარ ამოცანად ბელინსკი ხალხისა და სამშობლოს სამსახურს თვლიდა. ამიტომაც გოგოლს „Выбрание места из переписки с дру-

1 Л. И. Тимофеев, Современная литература, стр. 167.
2 „ბარიკადი“, 1922 წ., № 5.
3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29-ე, გვ. 293.

ЗЬЯМИ"-ს გამო წერდა: „თქვენმა წიგნმა დაგამცირათ ხალხის თვალში როგორც მწერალი და კიდევ უფრო როგორც ადამიანი. რომ ხალხი, რომელიც რეს მწერლობაში ხედავს თვითმპყრობელობისაგან თავის ერთადერთ მხსნელსა და დამცველს, არასოდეს არ აპატიებს მას მავნე წიგნს. გულწრფელად უნდა უარყოთ თქვენი უკანასკნელი წიგნი და მისი გამოქვეყნების მძიმე ცოდვა უნდა გამოისყიდოთ ახალი ქმნილებებით".[1]

დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატი ჩერნიშევსკი ლიტერატურას ცხოვრების სახელმძღვანელოს უწოდებდა, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს ხალხს თავისი ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპოპულარესი მოღვაწე და მედროშე ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „პოეტსა ხალხი ჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს, ამ საფუძვლით ამბობენ პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო".[2] და პოეტისაგან მოითხოვდა „...ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია. იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავისი ცხოველი სურათებისათვის."[3]

---

1 ბ. გ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი. 1948 წ., გვ. 806-807.
2 „ცისკარი", 1861 წ., № 6.
3 „საქართველოს მოამბე", 1863 წ., № 1.

* * *

ბურჟუაზიულ-დეკადენტურ ლიტერატურულ მიმდინარეობათა იდეურ განადგურებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ვ. ი. ლენინის წერილებმა ლიტერატურის შესახებ, მათ შორის 1905 წელს ლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთ „Новая Жизнь"-ში დაბეჭდილმა გენიალურმა სტატიამ „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა". ამ სტატიაში მოცემულია „ყველა საფუძველი, რომლებსაც ეყრდნობა ჩვენი საბჭოთა ლიტერატურის განვითარება".[1]

ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი. ლიტერატურა არ შეიძლება იყოს კერძო, ინდივიდუალური საქმე, იგი უნდა იყოს პროლეტარული საქმის განუყოფელი ნაწილი, მისი ინტერესების გამომხატველი. „ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი, გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა".[2]

წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზღაპრისა იმის შესახებ, თითქოს კაპიტალისტურ საზოგადოებაში შეიძლება

---

1 ა. ა. ჟდანოვი, ჟურნალების „ზვეზდისა" და „ლენინგრადის" შესახებ.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. მე-10, გვ. 36.

მწერალი თავისუფალი იყოს. ლენინი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მწერლის აბსოლუტურ თავისუფლებაზე ლაპარაკი „მხოლოდ ფარისევლობაა". ბურჟუაზიული ხელოვნების ყალბ თავისუფლებას ლენინმა დაუპირისპირა ლიტერატურის, ხელოვნების პარტიულობის იდეა. მწერალი, ხელოვანი მოწოდებულია ემსახუროს ხალხს, პარტიას, გამოხატოს ინტერესები პარტიისა, რომელიც წარმოადგენს ხალხის ხელმძღვანელსა და წარმმართველ ძალას.

თავის ამ სახელგანთქმულ სტატიაში ლენინმა მოგვცა სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურის განსაზღვრა: „...ეს იქნება,— წერდა დიდი ლენინი,— თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყირჭებულ „გმირქალს", არა მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს", არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ".[1]

გენიალურმა ლენინმა განსაზღვრა ლიტერატურის, მწერლის საზოგადოებრივი დანიშნულება. ჩამოაყალიბა მოწინავე სოციალისტური ხელოვნების ძირითადი პრინციპები. პროლეტარული მწერლობა არ შეიძლება იყოს აპოლიტიკური, იგი მოწოდებულია მოწინავე როლი

---

1 ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. მე-10, გვ. 40.

შეასრულოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლიტერატურა, ხელოვნება უნდა იყოს საერთო, საზოგადო საქმის განუყოფელი ნაწილი, ეხმარებოდეს პარტიას თავისი დიადი მიზნების განხორციელებაში.

ლევ ტოლსტოის, როგორც სიტყვის მხატვრის, მთავარ ღირსებას ლენინი იმაში ხედავდა, რომ მან „გასაოცარი გამოკვეთილობით განასახიერა — როგორც მხატვარმაც და როგორც მოაზროვნემ და მქადაგებელმაც — რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის ისტორიული თავისებურების ნიშნები, მისი ძალა და მისი სისუსტე.“[1]

დიდი ლენინის ლიტერატურული შეხედულებების საფუძველთა საფუძველია მატერიალისტური ფილოსოფია, ის სახელმძღვანელო დებულება, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას უნდა ასაზრდოებდეს ობიექტური სინამდვილე, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა.

შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“, წინააღმდეგ სიმბოლისტების რეაქციული მოსაზრებებისა, რომელთა თანახმად გაუვალი უფსკრული არსებობდა ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის, ლენინი გვასწავლიდა, რომ საგნები, გარემო, სამყარო არსებობს ჩვენი შეგრძნებების, ჩვენი შეგნების დამოუკიდებლად, რომ „ჩვენი შეგრძნებანი, ჩვენი ცნობიერება მხოლოდ ს ა ხ ე ა გარეგანი სამყაროსი, და თავისთავად გასაგებია, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად.“[2]

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. მე-16, გვ. 402.
2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. მე-14, გვ. 75.

ლენინის სტატია კრებულ „ვეხის“ შესახებ ნიღაბს ხდიდა ყველა ჯურის ანტირეალისტურ, ანტიდემოკრატიულ, რეაქციულ ლიტერატურულ მიმდინარეობას.

„ვეხი“ 1909 წელს გამოსცა კადეტი მწერლების ჯგუფმა.

„ვეხი“,— წერდა ლენინი,— უდიდესი ნიშანსვეტია რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, მის ყველა ძირითად ამოცანასთან, მის ყველა უმთავრეს ტრადიციასთან რუსული კადეტიზმისა და საერთოდ რუსული ლიბერალიზმის ყოველგვარი კავშირის სრული გაწყვეტის გზაზე...

„ვეხი“ მთელი ნიღვარია რეაქციული სიბინძურისა, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს“.[1]

ლენინმა განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება სოციალისტური ესთეტიკის საკითხებზე, განსაზღვრა ლიტერატურისა და ხელოვნების როლი სოციალისტურ საზოგადოებაში, შექმნა მოძღვრება ლიტერატურის პარტიულობის შესახებ.

ლენინის ლიტერატურულმა მოძღვრებამ შემდგომი განვითარება ჰპოვა ი. ბ. სტალინის შრომებში, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ახალ საფეხურს წარმოადგენენ.

ი. ბ. სტალინი გვასწავლიდა, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრება არის წყარო საზოგადოებრივი იდეებისა, რომლებსაც უდიდესი მაორგანიზებელი, დამრაზმავი და გარდამქმნელი მნიშვნელობა აქვთ, რომ

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. მე-16, გვ. 146—153.

ახალი საზოგადოებრივი იდეები წარმოიშვება საზოგადოების განვითარების შედეგად, ხოლო შემდეგ ეს ახალი იდეები ხდება უაღრესად სერიოზულ ძალად, რომელიც აადვილებს საზოგადოების წინსვლას.

ასეთივეა ლიტერატურისა და ხელოვნების წყარო, ასეთივეა მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რეალური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრება არის მხატვრული ნაწარმოების საფუძველი. და იმისთვის, რომ მან შეასრულოს თავისი გარდამქმნელი, მაორგანიზებელი და დამრაზმავი როლი, საჭიროა მწერალი ხელმძღვანელობდეს კომუნიზმის იდეებით, პარტიის პოლიტიკით.

დიდმა სტალინმა დასახა სოციალისტური ლიტერატურის განვითარების გზები, განსაზღვრა მისი შემოქმედებითი მეთოდი. სტალინს ეკუთვნის საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის მხატვრული მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის კლასიკური განსაზღვრა. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ემყარება სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი უნდა ხელმძღვანელობდეს პარტიის პოლიტიკით, იმ იდეებით, რომლებიც ამოძრავებენ ახალი საზოგადოების მშენებელთა არმიას.

სოციალისტური რეალიზმის ძირითადი პრინციპია ცხოვრებასთან, სინამდვილესთან განუყოფელი კავშირი: „...მართალი ასახვა სინამდვილისა მის რევოლუციურ განვითარებაში, ბოლშევიკური პარტიულობა, როგორც ყველაზე უფრო მაღალი იდეურობა, საბჭოთა პატრიო-

ტიზმი, ხალხურობა, ხელოვნების აქტიური გარდამქმნელი როლი, მაღალი მხატვრული ფორმა, საერთო-სახალხო, ეროვნული სალიტერატურო ენა, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების განგრძობა და განვითარება ახალ ისტორიულ საფუძველზე. ერთიანი მთლიანის — სოციალისტური რეალიზმის ყველა ეს და სხვა მხარეები მოწოდებულია ემსახუროს ჩვენს ფართო სოციალისტურ ცხოვრებას, რომელიც კომუნიზმისაკენ მიემართება".[1]

საბჭოთა ლიტერატურის მხატვრული მეთოდი მოითხოვს ცხოვრების არა სტატისტიკურ, სქემატურ გადმოცემას, არამედ მის ასახვას წინსვლასა და განვითარებაში. აწმყოს რეალისტურ გაშუქებასთან ერთად მწერალმა უნდა დაგვანახოს მომავლის პერსპექტივები. მომავლის თვალთახედვა არის რევოლუციური რომანტიკის არსებითი ნიშანი, რომელიც სოციალისტური რეალიზმის შემადგენელი ნაწილია და აშუქებს მომავალსაც, რომელიც ყოველდღიურობაში იჭედება.

ჩვენი ლიტერატურისათვის, — აღნიშნავდა ა. ა. ჟდანოვი,— არ შეიძლება უცხო იყოს რომანტიკა, მაგრამ რომანტიკა ახალი ტიპისა — რომანტიკა რევოლუციური. რევოლუციური რომანტიზმი უნდა შევიდეს ლიტერატურულ შემოქმედებაში როგორც შემადგენელი ნაწილი. საბჭოთა ლიტერატურამ უნდა შეძლოს ჩვენება გმირებისა, უნდა შეძლოს ჩვენს ხვალინდელ

---

1 В. В. Ермилов, Некоторые вопросы теории социалистического реализма. «Вопросы литературоведения в свете трудов И. В. Сталина по языкознанию», М. 1951 г., стр. 146.

დღეში ჩახედვა. „ეს არ იქნება უტოპია, ვინაიდან ჩვენი ხვალიდენლი დღე მზადდება უკვე დღევანდელი გეგმაშეწონილი, შეგნებული მუშაობით.“1

ი. ბ. სტალინმა განავითარა ლენინის მოძღვრება ლიტერატურის პარტიულობაზე. იგი მიუთითებდა, რომ ლიტერატურაში განსახიერება უნდა ჰპოვოს სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულმა სინამდვილემ, ხოლო მწერლის მიერ ასახული სინამდვილე იმ შემთხვევაში იქნება მართალი, თუ კი აღებულია მის რევოლუციურ განვითარებაში, მუდმივი განახლების პროცესში.

„...ჩვენი ვალია — ცხოვრება მის მოძრაობაში განვიხილოთ და ვიკითხოთ: საით მიდის ცხოვრება? ჩვენ ვნახეთ, რომ ცხოვრება მუდმივ ნგრევა-შენებაშია, მაშასადამე, ჩვენი ვალია — ცხოვრება მის ნგრევა-შენებაში განვიხილოთ და ვიკითხოთ: რა ინგრევა და რა შენდება ცხოვრებაში?“2

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ სოციალური საფუძველი გამოაცალა სიმბოლისტურ მიმდინარეობას. მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა ადრევე გაწყვიტეს კავშირი თავიანთ ლიტერატურულ წარსულთან და ჩადგნენ მოწინავე ხელოვანთა რიგებში.

ჰეშმარიტი ხელოვნების პოზიციებზე დაბრუნება ვ. ბრიუსოვმა ასე გამოხატა: „მე მეჩვენებოდა, რომ ახლა,

---

1 ა. ა. ჟდანოვი, „საბჭოთა ლიტერატურა — ყველაზე უფრო იდეური, ყველაზე მოწინავე ლიტერატურაა მსოფლიოში“, 1954 წ., გვ. 11.

2 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1-ლი, გვ. 280.

ჩემი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში, „მამისეულ სახლში“ დაებრუნდი.“1

ისევე როგორც რუსეთში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. წარსულს ჩაბარდნენ ბურჟუაზიული ლიტერატურის ნაძირალები. ხოლო ძველი ლიტერატურის ჯანსაღი, საუკეთესო წარმომადგენლები საბჭოთა ლიტერატურის პოზიციებზე გაბედულად დადგნენ.

„მთელი ეს მოდური მიმდინარეობანი, — აღნიშნავდა ამბ. ჟდანოვი, — წარსულს ჩაბარდნენ იმ კლასებთან ერთად, რომელთა იდეოლოგიასაც ისინი ასახავდნენ. 1917 წლის ოქტომბერში ისტორიის სანაგვე ყუთში გადაყრილი იყვნენ როგორც მმართველი კლასები, ისე მათი იდეოლოგები და მეხოტბენი.“2

ასეთი იყო იდეურ-პოლიტიკური ვითარება, როცა სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი რაჟდენ გვეტაძე. 1915 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე (1952 წელი) მის შემოქმედებაში საკმაოდ მკაფიო ასახვა ჰპოვა როგორც რევოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდგომი პერიოდის ქართულმა სინამდვილემ. ამასთან მწერალი კვალდაკვალ მიჰყვებოდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზას, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

---

1 В. Брюсов, Избранные стихотворения, стр. XXXVI, 1945 г.

2 ა. ა. ჟდანოვი, მოხსენება ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

რაჟდენ გვეტაძის შემოქმედება

რთული და წინააღმდეგობებით სავსე გზა განვლო რაჟდენ გვეტაძემ, ვიდრე სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე დადგებოდა და საბჭოთა მწერალი გახდებოდა.

ღარიბი გლეხის შვილი და თავად სტამბის ყოფილი მუშა რაჟდენ გვეტაძე კარგად ხედავდა კაპიტალისტური ყოფის მთელ საშინელებას, უსამართლობას და უკვე ლექსების პირველ კრებულში „მთვარის ზღაპარი", რომელიც 1915 წელს გამოვიდა ყვირილაში (დღევანდელი ზესტაფონი) და მისი შემოქმედების სათავეს წარმოადგენს, ხმას იმაღლებდა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ.

ამ კრებულში წარმოდგენილი ლექსები და მინიატურები (კრებული შეიცავს სულ შვიდ ლექსსა და სამ მინიატურულ მოთხრობას) გარკვევით ამჟღავნებს რაჟდენ გვეტაძის დამოკიდებულებას მაშინდელი აქტუალური სოციალური პრობლემებისადმი და ამდენად მას სერიოზული მნიშვნელობა აქვს მწერლის მსოფლმხედველობის, მისი შემოქმედების გარკვევისათვის.

კრებულიდან ჩანს, რომ რაჟდენ გვეტაძის შემოქმედების განმსაზღვრელ მოტივს ამ პერიოდში წარმოადგენდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის სისტემის კრიტიკა.

მინიატურაში „ზაფხულის ღამე" და ლექსებში „ისევ მოვა", „ჰოი, მითხარ მთვარევ" პოეტი ცხოვრების მოვლენათა განზოგადებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სოციალურ უთანასწორობაზე დამყარებული წყობილება ადამიანის ყოველგვარი უბედურების მიზეზია, რომ „დაუსრულებელი ტანჯვისაა ეს ქვეყანა".[1] იგი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზმი თიშავს ადამიანებს, ერთიმეორის მტრად აქცევს მათ: „ჩვენ უგუნურნი ერთმანეთს ვჭამთ, ერთიერთმანეთის განძი, მოკლე სიცოცხლე გვშურს, გვეჯავრება, გვეზიზღება ჩვენებრ ადამიანები".[2] პოეტს გულწრფელად აღაშფოთებს უსულგულო ეგოიზმი, რომელიც კაპიტალიზმმა დაამკვიდრა და რომელმაც დაცა ადამიანის ღირსება. „შეხედულებით პირუტყვზე მაღლა ვდგევართ, მაგრამ საქმით კი მისი ფერხთა მტვერის ღირსნიც არა ვართ, მათზე სისაძაგლე-სიუგნურეს ჩავდივართ".[3]

რუსეთში ამ დროს, როგორც ცნობილია, იმპერიალისტური ომის, ხალხთა ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა პროლეტარული ლიტე

---

1 „მთვარის ზღაპარი", გვ. 13.
2 იქვე.
3 იქვე.

რატურის გენიალური ფუძემდებელი მაქსიმ გორკი. „15-16 წლებში (იგულისხმება 1915-1916 წლები — ნ. დ.). გორკი რედაქტორობს მის მიერვე დაარსებულ სამხატვრო-სალიტერატურო და პოლიტიკურ ჟურნალ „ლეტოპისს“, რომელმაც იმპერიალისტური ომის მიმართ დაიკავა შეურიგებელი, ინტერნაციონალისტური პოზიცია, რითაც უდიდესი აღშფოთება და მძულვარება გამოიწვია რეაქციონერთა და ლიტერატურული ობორონცების წრეებში.“[1]

რა თქმა უნდა, რაჟდენ გვეტაძის უარყოფითი დამოკიდებულება იმპერიალისტური ომისადმი არ იყო რევოლუციური და ჩამოყალიბებული, როგორც მაქსიმ გორკისა. იგი არსებითად პაციფისტურ ხასიათს ატარებდა და მიზნად არ ისახავდა იმპერიალისტური ომის გადაქცევას რევოლუციურ ომად. რაჟდენ გვეტაძე მხოლოდ იმის გამო წუხდა, რომ იღვრებოდა ადამიანთა სისხლი. „სისხლის ღვრა...,— წერდა იგი,— გმირთა გულ-მკერდი სისხლში ვალალებს... დაჭრილთ გოდება — მათი კვნესა, მწარე ჩივილი, რა სასაცილო რამ არის კაცის სიცოცხლე, კაცის ცხოვრება...“[2] მწერალმა არ იცოდა რა მიზნით წარმოებდა ომი, მან არ იცოდა არც ის, როგორ და რა გზით შეიძლებოდა ომის ხანძრის ჩაქრობა და ნაღვლიანად კითხულობდა: „ჰო, ღმერთო, ბოლო როდისღა ექნება ამ დაუსრულებელ

1 შ. რადიანი, ქართული პოეზია თერთმეტი წლის თავზე, ჟ. „ვნათობი“, 1933 წ., № 1-2, გვ. 180.
2 „მთვარის ზღაპარი“, გვ. 14.

ბრძოლას? როდისღა გაშრება მჩქეფარე სისხლის ნაკადულით დათალხული უმაძღარი მიწის გული?"[1]

მიუხედავად ამისა, მიუხედავად პაციფისტური სულისკვეთებისა, რაჟდენ გვეტაძის დამოკიდებულება იმპერიალისტური ომისადმი მაინც პროგრესულად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ მხეცური შოვინიზმის ატმოსფეროს, შოვინიზმის აღვირახსნილ პროპაგანდას, რასაც მაშინ ოფიციალური პრესა ეწეოდა. მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ რაჟდენ გვეტაძე არ თანაუგრძნობდა იმპერიალისტურ ომს, არ ეწეოდა მის პროპაგანდას და აშკარად, გადაჭრით გმობდა ადამიანთა ხოცვა-ჟლეტას.

სოციალური უსამართლობის მხილება, კაპიტალისტური ყოფის კრიტიკა, იმპერიალისტური ომის უარყოფა რაჟდენ გვეტაძის ამ პერიოდის შემოქმედების ნათელი მხარე, მისი პროგრესული მოტივია. ამასთან ერთად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მწერალს სწამდა მომავალი, კაცობრიობის, თავისი ხალხის უკეთესი მერმისი. ამ მხრივ საყურადღებოა ლექსი „ისევ მოვა", რომელშიც მკაფიოდ ჩანს პოეტის რწმენა და მებრძოლი სულისკვეთება:

ჰო, გსურს? ვერა, ვერ შემაკრთობ
იდუმალო შენი ზრახვით,
ვერ შემიწყვეტ მომავლისკენ
წინსვლას ჩემის ჩლუნგის ჩანგით...

---

1 „ვთვარის ზღაპარი", გვ. 15.

ოდ! წინ შემხვდეს ავსულთ გუნდი
ბორტ მეფის ჯართა გროვა,
მაინც ვიტყვი — ყველას ვაცნობ:
რომ ის, ოდეს, ლეს ტახჯული ისევ მოვ!1

უსამართლობით აღსავსე უსიხარულო აწმყო ჯერ-ჯერობით ვერ იმონებდა საუკეთესო მომავლის რწმენით გატაცებულ პოეტს, მაგრამ ეს მებრძოლი სულისკვეთება სრული და მყარი არ იყო. მართალია, მას სწამდა მომავალი, დაჟინებით ეძიებდა ბედნიერებასა და სულის სიმშვიდეს, მაგრამ არ იცოდა როგორ და რა გზით შეიძლებოდა მისი მოპოვება. კაპიტალისტური სინამდვილით შეწუხებული ახალგაზრდა პოეტი ხან ბუნების სიდიადეს ეტრფოდა, ხან კიდევ ცის მნათობებს ეკითხებოდა, სად ეპოვნა ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა.

ბუნებას რაჟდენ გვეტაძე ხატავს როგორც ჰარმონიულობის სამყაროს, რომელიც, მისი შეხედულებით, უპირისპირდება ცხოვრებაში გამეფებულ უსამართლობას, დისჰარმონიასა და ანტაგონიზმს. „ოხ! რა მშვენიერია ბუნების სიდიადე...— წერდა იგი.— მან არ იცის არც ფიქრი, არც დარდი, არც სევდა და არც ტანჯვა, არც სიმძულვარე, შურისძიება.“2 ყველა ეს ღირსება პოეტს იზიდავდა ბუნებისაკენ და აქვე ეძებდა პასუხს მტანჯველ კითხვაზე — სად არის, როგორ მოიპოვება ბედნიერება. იგი ცის მნათობებს შესთხოვდა მივთი-

---

1 „მთვარის ზღაპარი“, გვ. 8.
2 იქვე. გვ. 13.

თებინა ამ გზაზე, მოევლინა მისთვის სიხარული და სულიერი სიმშვიდე:

მითხარ მნათობო
ღამის დარაჯო:
სულის სიმშვიდე
სად იპოებაᲐ
სად არის იგი
მუდმივ მებრძოლი
ან, რაში არის
ბედნიერება? 1

ცხოვრების გარდაქმნის ნამდვილი გზის უცოდინარობამ რაოდენ გვეტაძის შემოქმედებაში გზა გაუხსნა მისტიკურ და ინდივიდუალისტურ-პესიმისტურ მოტივებს, მნიშვნელოვნად შეამცირა მისი ზემოქმედების ძალა. თვით კრებულის სათაური „მთვარის ზღაპარი“ იმას ნიშნავდა, რომ მწერალი სოციალურიდან ისწრაფოდა მისტიკურ სამყაროში.

ლექსი „ტანჯვით ვშობილვარ“ გამსჭვალულია იმ აზრით, რომ პოეტს მთელ სიცოცხლეში თავზე დაფრენს და დასჩხავის შავი ყორანი, ამაოა მისი განდევნა. ყორანი პოეტის აუცილებელი თანამგზავრია:

მაგრამ... არ ესმის, კვლავ თავზე დამფრენს უიმედობის
შავი ყორანი...
კვლავ თავზე დამფრენს, თავზე დამჩხავის ჩემი ბედშავის
წინამორბედი.2

---

1 „მთვარის ზღაპარი“, გვ. 4-5.
2 იქვე. გვ. 10.

სიხარულს არ გვრის ახალგაზრდა პოეტს არც ისეთი დიდი ადამიანური გრძნობა, როგორიც სიყვარულია. იგი სიყვარულს ადარებდა ცის მნათობებს, ბუნების მოვლენებს და მას განიხილავდა როგორც უძლეველ ძალას, რომელიც მხოლოდ გულის დაუწერელ კანონებს ემორჩილება და ხან ნეტარებაა, ხან მწუხარება. ამ შემთხვევაში რ. გვეტაძე მცირე ხარკს უხდის ქართველ რომანტიკოსებს და წერს:

სიყვარული — მზის სიბრძნეა,
მზის გულ-მკერდზე დანაფრქვევი:
ვით ვარსკვლავი მოციალე —
მთვარის ტრფობით ანაწური!..
სიყვარული მთის ცრემლია
მთის სილაღე ანაყოლი:
ხან სიცოცხლით მობუტბუტე —
ხან კი მწველი სევდიანი!1

უიმედო სიყვარულის დატირებაა ლექსი „სატრფოს საფლავზე“, რომელშიც პოეტი გადმოგვცემს სატრფოს დაკარგვით გამოწვეულ მწუხარებას. პოეტის სევდა საიდუმლოა. მისი სული აწეწილია და მოშხამული. მწუხარებისა და ნაღველის გასაიდუმლოებით ეს ლექსი გვაგონებს გალაკტიონ ტაბიძის „მე და ღამეს“. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რაჟდენ გვეტაძე განიცდიდა გალაკტიონის პოეზიის საკმაოდ მძლავრ გავლენას, ამასთან იგი მისგან იღებდა არა ჯანსაღსა და რეალისტურ, არამედ სიმბოლისტურ-პესიმისტურ მოტივებს.

1 „მთვარის ზღაპარი“, გვ. 9.

ეს სიმბოლისტურ-პესიმისტური მოტივები აახლოებდა რაჟდენ გვეტაძეს „ცისფერყანწელების“ ჯგუფთან, რომლსაც 1916 წელს მიეკედლა. ამ დროიდან, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოში ძალაუფლება ხელთ იგდეს გარეწარმა მენშევიკებმა, რ. გვეტაძის შემოქმედებაში მკვეთრად გაძლიერდა ინდივიდუალიზმი, მისტიციზმი და ბოჰემა. წვრილ ბურჟუაზიას, რომლის იდეებსა და განწყობილებებსაც გადმოსცემდა რ. გვეტაძე ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, ახასიათებს მერყეობა, უკიდურესობანი, რევოლუციური განწყობილებებიდან გადასვლა დაცემულობის განწყობილებაზე იმის შესაბამისად, იმარჯვებს თუ მარცხდება რევოლუცია. საქართველოში მენშევიკური დიქტატურის დამყარებამ შვება როდი მოუტანა ხალხს, როდი განხორციელდა მწერლის მისწრაფებები ნათელი და ბედნიერი ცხოვრებისაკენ. პირიქით, ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი გახდა. რ. გვეტაძემ განიცადა ილუზიების მსხვრევა. მის სულს დაეუფლა პესიმიზმი, დაცემულობის განწყობილება.

დამახასიათებელია, რომ სიმბოლისტურ-მისტიკური და დაცემულობის განწყობილება რ. გვეტაძის შემოქმედებაში გრძელდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. 1916—1921 წლებში ზედიზედ გამოდის ლექსთა კრებულები „თეთრი წიგნი“ (თბილისი, 1917 წელი), „დაბინდული ქარვები“ (ქუთაისი, 1920 წელი), „ღამეები“ და „ვირების მესია“ (თბილისი, 1921 წელი).

ყველა ამ წიგნს აერთიანებს ერთი საერთო იდეა, ერთი საერთო განწყობილება — ეს არის მარტოობა, ცხოვრების უმიზნობა, სინამდვილიდან გაქცევა მისტიკურ სამყაროში, ბუნებაში, ეროტიზმისა და ბოჰემის კულტი, მისწრაფება თვითმკვლელობისადმი. პოეტი ადგილს ვერ პოულობს საზოგადოებაში, უკმაყოფილოა სინამდვილით, რადგან „ჩემი ფიქრები ნისლიანი ვერ არიჟრაჟდენო“.[1] აქედან მოდის მკვეთრი ინდივიდუალიზმი, მარტოობისა და მიუსაფარობის გრძნობა:

არავის ვუმღერ გატაცებით ჩემს მუხამბაზებს,
ვარ მოწყენილი მარტოობით, როგორც ბერები.[2]

ან კიდევ:

მარტო ვარ, მარტო! ღამეა, წვიმა:
სახლის თავებზე ტირის წვეთები.
ხეებს ფოთლები ცახცახით ცვივა
და ცაზე არ ჩანს მთვარის სვეტები.[3]

მარტოობისა და მიუსაფარობის ამ გრძნობას პოეტი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრება უაზროა, რომ სჯობს გასცილდე მას, უარყო იგი. უაზროა თვით ადამიანის სიცოცხლეც. ასეთი უიმედობის, დაცემულობის, მარტოობის განწყობილება ასულდგმულებს თვითმკვლელობის აპოლოგიას, რომელიც საკმაოდ ძლიერად ჩანს რ. გვეტაძის ამ პერიოდის პოეზიაში. პოეტს ხან მისანი ურჩევს მოიკლას თავი, იგი ხან შიშს აუტანია

1 „ავტოპორტრეტი“, წიგნიდან „დაბინდული ქარვები“, გვ. 7.
2 იქვე.
3 „მარტოობა. შემოდგომის წვიმიან ღამეში“, წიგნიდან „ღამეები“, გვ. 9.

და თვითონვე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბოლო მოუღოს საკუთარ სიცოცხლეს:

მტარვალი ბედი მაწვალებს უღვთოდ,
გავანდო მინდა ფიქრები ვინმეს, —
ნარვალი თვალის ამევსო ცრემლით...
მისნები მირჩევს მოვიკლა თავი.1

...უცებ გაჩნდება ოთახში ყვავი
შიში ამიტანს, ავკანკალდები.
მინდა ქამარით დავიხრჩო თავი.2

მარტოობა, მიუსაფარობით გამოწვეული სევდა და ბედის მდურვა ძლიერად ჩანს აგრეთვე ლექსებში: „რევმაჲ“, „ცრემლები“, „ჰამლეტის მწუხარება“, „ღამე ნათევი ლექსი“ და სხვ. (ლექსთა კრებული „დაბინდული ქარვები“).

სინამდვილით, ცხოვრების უკმაყოფილო პოეტი ისწრაფვის გაექცეს საძულველ აწმყოს, თავშესაფარი ჰპოვოს არარსებულ, მისტიკურ სამყაროში, რელიგიაში.

„ვეძებ ქვეყანას არ ნახულს და ჯერ არ გაგონილს.“3

ბედის მდურვა და სინამდვილით უკმაყოფილება უდევს საფუძვლად აგრეთვე ფეოდალური საქართველოს იდეალიზაციას. აწმყო პოეტს არ აკმაყოფილებს, მომავალი არა ჩანს. დარჩა წარსული, რომელშიც პოეტს შესაძლებლად მიაჩნია სულიერი სიმშვიდე ჰპოვოს. იგი იმედოვნებს, რომ „თამარის სახე გაგვიშუქებს დღეებს

1 „უკუღმართი სონეტი“, წიგნიდან „ღამეები“, გვ. 21.
2 იქვე, გვ. 9.
3 „ტყუპები“, იქვე, გვ. 27.

ბინდიანს“, მის სადიდებლად „თაფლის სანთელი მის ფეხებთან ახლაც გვინთია.“[1]

ფეოდალური საქართველოს დიდების აღდგენა, თამარის მეფობის დაბრუნება პოეტს ხსნად მიაჩნია და ნატრობს:

ნეტავი გვეცვას ისევ ჩოხა და ქალამანი
სკრიპკების ნაცვლად ვატირებდეთ სევდიან თარებს,
ვემალებოდეთ ტარაბელში მხურვალე დარებს —
თამარის დროის მენატრება ქუჩა, ყაფანი.[2]

მაგრამ ვერც მისტიკა, ვერც რელიგია, ვერც წარსულის იდეალიზაცია ვერ აძლევს პოეტს იმ კმაყოფილებასა და თავდავიწყებას, რაც ასე სწყუროდა მის ავადმყოფ სულს. ამიტომ იგი წიგნში „დაბინდული ქარვები“ ავითარებდა ეროტიზმისა და ბოჰემის კულტს. ლექსების უმრავლესობაში (წიგნის მეორე და მესამე განყოფილება — „ყვავილების ყაფანი,“ „ბოზები“) პოეტი გამოხატავს შიშველ ბიოლოგიურ გრძნობებს, ხოტბას ასხამს გარყვნილებს და იძლევა ლოთობის აპოლოგიას:

„მაგიჟებს თარი და მუხამბაზი“,[3] — წერს პოეტი და თავის განწყობილებებს შემდეგნაირად ხატავს:

ველარ ვჩერდები მე ერთ ბინაზე, —
როცა ღვინოს ვსვამ, ვარ უდარდელი
და მომწონს ბოზის ურცხვი სინაზე.
ველარ ვჩერდები მე ერთ ბინაზე

---

1 „საქართველო“, წიგნიდან „ღამეები“, გვ. 17.
2 იქვე, გვ. 19.
3 „დახეულ რვეულიდან“, გვ. 36, „დაბინდული ქარვები“.

სული მაქვს მძიმე უფრო რკინაზე.
როგორც აშოლლანს მიყვარს ბარდელი.
ვეღარ ვჩერდები მე ერთ ბინაზე, —
როცა ღვინოს ვსვამ, ვარ უდარდელი.1

ასეთივე ავადმყოფური, ეროტულ-ბოჰემური მოტივებით არის გაჟღენთილი ლექსები: „სულამიტ“, „ლაბური“, „დატეხილი“ და სხვ. მალე პოეტს მოსწყინდა ეს თემებიც, ვერ ჰპოვა რა მეგობარი, თავს კვლავ ეუღლად და მიუსაფრად გრძნობდა. გაჩნდა „ახალი“ თემა, ინტერესების „ახალი“ სფერო — ვირების ქება. აქ მკაფიოდ გამომჟღავნდა ფრანგი პოეტის ფრანსის ჟამესის გავლენა, რომელმაც, ადამიანებზე გულაღრენილმა, დაწერა „ლოცვა იმაზე, ვირებთან ერთად რომ შევიდე სამოთხეში“.

რაჟდენ გვეტაძის ამ პერიოდში დაწერილი ლექსების სათაურებიც კი „ოცნება სასაფლაოზე მთვარიან ღამეში“, „შემოვიხვიე მწუხარება ვით ჩაბალახი“, „მარტოობა შემოდგომის ავდრიან ღამეში“, „სასაფლაო და ყვავები“ და სხვ. მიუთითებენ ავტორის ავადმყოფურ, პესიმისტურ-მისტიკურ განწყობილებებზე.

მიუხედავად ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მომავლის რწმენა, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის აუცილებლობის მოტივები მთლიანად არ გამქრალა რ. გვეტაძის „ცისფერყანწელობის “პერიოდშიც. მის პოეზიაში კენტი ვარსკვლავივით გამოკრთის ჯანსაღი განწყობილებებიც. ლექსში „ცრემლები“პოეტი წერს:

---

1 „ლოთის სიმღერა“: ღვინო და ბარდელი, გვ. 58.

„ასე ცხოვრება, ვატყობ, მომწყინდა.“1

მას სურს თავი დააღწიოს „მქირდავ სინამდვილეს“, მაგრამ ვერ ახერხებს, დროებით სინამდვილე იმარჯვებს და „წამების გვირგვინს“ ადგამს პოეტს:

შავი პროფილი მსურს მოვხადო ღამის აჩრდილებს,
დავასაჩუქრო მზის სინათლით ბრმა მათხოვარი.
მაგრამ მქირდავი სინამდვილე გულს არ ადილებს,
წამების გვირგვინს თან ვატარებ ვით მაცხოვარი.2

ჯანსაღი სურვილი — იცხოვროს ადამიანურად, შექმნას ბედნიერი და შინაარსიანი ცხოვრება, მოიპოვოს მომავალი, რითაც მოხუცი მშობლების გულს მაინც სცემდა ნუგეშს, ნათლად ჩანს ლექსში „მწუხარე პეიზაჟი“. პოეტი ნატრობს:

ნეტავი ქვეყნად ისე ვივლიდე,
რომ ნუგეში ვცე მოხუცებს მაინც.3

პოეტს სძულდა მისი თანამედროვე ცხოვრება, უსამართლო და ბოროტებით სავსე, უჯანყდება ბედს და ცდილობს თავი დააღწიოს მწუხარებასა და უიმედობას, გულიდან გადაიყაროს სევდა.

დავივიწყო მინდა ბედი,
მუქ ყავისფერ ვწევ ციგარებს,
ხან ვიმღერი, როგორც გედი,
გული სევდას არ იკარებს.

---

1 „ცრემლები“, წიგნიდან „დაბინდული ქარვები“, გვ. 9.
2 იქვე, „უიმედობა“, გვ. 14.
3 „მწუხარე პეიზაჟი“, წიგნიდან „ღამეები“, გვ. 30.

ლექსებში „ჰამლეტის მწუხარება“, „ქარვის კრიალოსანი“ და სხვ. პოეტი თავისთავს ბოროტებისა და მანკიერების წინააღმდეგ მებრძოლ ჰამლეტს ადარებს:

ჩემს სულში ტირის შემოდგომის ნაზი ნადური,
და სიხალისეს გაურკვევი სევდები ყინავს, —
როგორც ჰამლეტი, მე ყველასი ვარ უმადური.1

მეტად საგულისხმოა რაჟდენ გვეტაძის ლექსი „ღამე სოფელში“.

ვარდის სიმორცხვე ნამალი,
წითელი უფრო ინაზე.
ღამე მოწყენილ ამალით,
მთვარის ფერმკრთალი სინაზე.
მამლის ყივილი ულონო,
ძაღლების ყეფა მწუხარე.
ჭოტის ძახილი უგონო,
სოფლის შარაგზა მდუმარე.
ისლით ნახურავ სახლებში —
მიმქრალი კერა და ჭრაქი.
ძველი სიზმრები ახლებში.
ნადუღი ქოთნით და წაქი.
ბაყაყების ხმა უსვენი,
წკნელის ბოსელი და ქართა.
ჭირსა და ლხინში ურცხვენი —
მარნები, ღვინო ძველს გარდა.
სამრეკლო, ქვის ეკლესია,
სიჩუმე სასაფლაოსი.
ხის ჯვრები, როგორც წესია,
დამლონებელი ქაოსი.

---

1 „ჰამლეტის მწუხარება“, წიგნიდან „დაბინდული ქარვები“ გვ. 11.

ახალ საფლავზე ვარდები,
ბზის ტოტი მთვარის სხივებით.
შინ ჭირისუფლის დარდები.
მდინარე დაბმულ ტივებით.
შეშლილი ქალი საბრალო —
ხან ორღობებში იმღერებს,
ხან ამბობს: ვის. დავაბრალო!
ხან ჰკივის, იგლეჯს თმის ღერებს.
ხან სიცილს აიკვიატებს,
ხან თვეებს ითვლის მარტამდე.
ხან თავს კაკლის ხეს მიადებს,
და ტირის განთიადამდე.1

ეს ლექსი, რომელიც დაწერილია 1919 წელს, რეალისტური სტილით და ნათელი პოეტური სახეებით საკმაოდ სრულყოფილად გამოხატავს მენშევიკების დროინდელი სოფლის პრიმიტიული და უსიხარულო ყოფის სურათს. იგი აგრეთვე მიუთითებს რაჟდენ გვეტაძის მსოფლმხედველობის გაჯანსაღების პერსპექტივებზე.

სწორედ ეს ჯანსაღი მოტივები, უკეთესისაკენ სწრაფვა და ხალხის ბედნიერების წადილი გახდა იმ დიდი გარდატეხის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებამ განიცადა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. სინამდვილის ძირფესვიანად შეცვლამ, მისმა გარდაქმნამ ახალ, სამართლიან საწყისებზე, სოციალური უკუღმართობის ამოძირკვამ, სოციალისტურმა სინამდვილემ პოეტის შემოქმედებაზე ძალუმად იმოქმედა და არსებითად შეცვალა მისი მიმართულება, მისი იდეები და

1 „ღამე სოფელში“, წიგნიდან „დაბინდული ქარვები“, გვ. 30.

თემატიკა. ამიერიდან მისი ერთადერთი საზრუნავია ხელი შეუწყოს რევოლუციას, ცხოვრების მიმდინარე გარდაქმნას, ზურგი აქციოს ობივატელშჩინას და ჩადგეს ხალხის სამსახურში, მასთან ერთად იბრძოლოს ახალი ცხოვრებისათვის. პოეტი გადაჭრით გმობს თავის ძველ შემოქმედებით გზას, ძველ მოტივებსა და განწყობილებებს. იგი მიხვდა, რომ უხეში შეცდომა დაუშვა, როცა უშუალოდ არ მონაწილეობდა ხალხის ბრძოლაში ბედნიერი ცხოვრებისათვის, ხალხთან ერთად არ იბრძოდა იმ დროს, როცა ირგვლივ „ცრემლების ღელე“ დიოდა.

მინდა პირველმა ავწიო ფარდა
და გვიან მივხვდი, რომ სისულელეა,
როცა ირგვლივ ცრემლების ღელეა,
დროს მოსაკლავად ცოლს ეთამაშო ყოველდღე
ნარდი.1

პოეტს უკვე აღარ იტაცებს არც მიღმა სამყარო, არც რელიგია და არც წარსული. იგი აღარ ოცნებობს თამარის დღეებსა და თამარისდროინდელ ყოფაზე:

ო, აღარ ვნატრობ დამემთავრებია იყალთოს აკადემია
და მეცხოვრა თამარის კარზე.2

იგი ახლა ანთებულია და შთაგონებული მშრომელი ხალხის ძლევამოსილ განმათავისუფლებელ მოძრაობასა და რევოლუციის გამარჯვებისათვის თავგანწირულ ბრძოლაში მონაწილეობის დაუცხრომელი წადილით.

---

1 „მე ვარ გლადიატორი“, ჟ. „კავკასიონი“, № 3-4, 1924 წ., გვ. 89.

2 იქვე.

პოეტი აცხადებს: „რომ არ დამარცხდეს რევოლუცია ჩემი ლოზუნგია: ყველა მებრძოლი საქართველოში“.1

მომავლის რწმენა, ცხოვრების აზრის — რევოლუციისა და სამშობლოს ინტერესების წმიდათა-წმიდა მოვალეობის შეგნება პოეტს აყენებს ახალი შემოქმედებითი ამოცანების წინაშე.

მე აწი აღარ დავწერ ლექსების წიგნებს,
აღარც სონეტებს მისტიურ კატებზე.
ჩემი შემდეგი ლექსების თემა იქნება:
„პოეტებო ბარიკადებზე.“1

მტკიცე რწმენით განაცხადა პოეტმა და საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ყოველივე ძველთან, დრომოჭმულთან, ძველ იდეებთან და განწყობილებებთან. მის შემოქმედებაში დაისადგურა ახალმა თემებმა, ახალმა იდეებმა, ახალმა განწყობილებებმა.

ამრიგად, პირველ პერიოდში რაჟდენ გვეტაძის შემოქმედება ხასიათდება მძაფრი წინააღმდეგობებით, პროგრესული და ჩამორჩენილი, ავადმყოფური იდეების მწვავე ბრძოლით. საქართველოს ბნელბედობის ხანაში, რეაქციის თარეშის ხანაში რ. გვეტაძის პოეზია უპირატესად იტვირთება სიმბოლისტურ-მისტიკური სახეებით, დაცემულობის იდეებით, თუმცა ხანგამოშვებით, ზოგიერთ ლექსში მაინც იკაფავს გზას ნათელი მომავლის რწმენა. დაცემულობის, უიმედობის განწყობილების საფუძველი რ. გვეტაძის შემოქმედებაში ის იყო, რომ ცხოვრების გარდაქმნის გზა არ იცოდა, არ ესმოდა

1 „მე ვარ გლადიატორი“, ჟ. „კავკასიონი“, № 3-4, 1924 წ., გვ. 89.

მშრომელთა განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა და განზე ედგა მას. მხოლოდ შემდეგ, როცა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიმარჯვა, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რ. გვეტაძემ შეიგნო მისი ძალა, მისი სიდიადე, მიხვდა, რომ ყველა, ვისაც ხალხის ბედნიერება სურს და სამშობლოს აყვავება სწადია, საბჭოთა პოზიციებზე უნდა იდგეს, ხალხთან უნდა იყოს და ხალხს ემსახურებოდეს. ამიერიდან რ. გვეტაძემ ეს დიადი ამოცანა დაისახა მიზნად.

* * *

არსებითი გარდატეხა, რომელიც რაჟდენ გვეტაძის პოეზიაში მოხდა, ასაზრდოვა საბჭოთა სინამდვილემ. სინამდვილის შეცვლამ გამოიწვია შესაბამისი ცვლილებანი პოეტის შემოქმედებაშიც. სინამდვილე ის აღარ იყო, რაც იწვევდა პოეტის წუხილს, სევდას, მდურვას, მის უარყოფას. საქართველოში ფართოდ გაჩაღდა მშენებლობა. ნანგრევებსა და ფერფლზე იზრდებოდა ახალი, მძლავრი ინდუსტრიული საქართველო. ქართველი ხალხი დიდ რუს ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობით დღითიდღე სულ უფრო აჩაღებს სოციალისტურ მშენებლობას. დაიწყო ჰიდროელექტროსადგურების აგება (1922 წელს საფუძველი ჩაეყარა ზემო ავჭალის დიდ ჰიდროელექტროსადგურს), ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა (1924 წელს წარმოებას გადაეცა ქუთაისის მაუ-

დის ფაბრიკა), ახალი გზატკეცილებისა და რკინიგზების გაყვანა (1922 წლის გაზაფხულზე გაჩაღდა ნატანებ-ოზურგეთის რკინიგზის მშენებლობა), სარწყავი არხების გაჭრა (1924 წლის 16 ივლისს ქუთაისის ახლოს გაიხსნა მაშველის არხი) და მრავალი სხვა.

სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარება.

ახალი სინამდვილე მისაღები იყო. იგი ის იყო, რასაც წლების განმავლობაში აშკარად ეძიებდა პოეტი და, მაშასადამე, ცხოვრებიდან გაქცევის ნაცვლად დაისახა ახალი გზა — სინამდვილის მიღებისა და ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის ერთადერთი სწორი გზა. რაჟდენ გვეტაძემაც აღარ დააყოვნა და „ცისფერყანწელების“ ჯგუფიდან პირველი დადგა ახალ პოზიციებზე, საბჭოთა ხელისუფლებასთან, ხალხთან პატიოსანი თანამშრომლობის გზაზე.

ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიგონოთ, რომ ყველა ქართველი მწერალი ერთნაირად როდი შეხვდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას საქართველოში. ცნობილი „ცისფერყანწელი“ ვ. გაფრინდაშვილი, მაგალითად, საქართველოს ინდუსტრიულ ზრდაში ვერაფერს ხედავდა მიმზიდველს, პირიქით, მან გაილაშქრა ახალი ქალაქის წინააღმდეგ და შეაქო ძველი სოფელი, ჩამორჩენილობა. 1926 წელს ვ. გაფრინდაშვილი თავის ერთ-ერთ ლექსში წერდა:

წყეული იყოს დიდი ქალაქი
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქუჩას — ჭალაკი,
ჩემი სამშობლო არის სოფელი!
და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს კოშკებისას — ჭადრის აჩრდილი,
ავტომობილის მჭექავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი.1

მეორე ცნობილი ქართველი პოეტი ალ. აბაშელი ამავე წელს ნოე ჩხიკვაძისადმი მიძღვნილ ლექსში აშკარად გამოთქვამდა თავის უარყოფით შეხედულებებს საბჭოთა ხელოვნებაზე, კერძოდ პოეზიაზე. მისი აზრით, ძველი, კლასიკური შაირი მოკვდა და ახალი კი მხედველობაში მისაღებიც არ იყო, რამდენადაც იგი ყოველდღიური ცხოვრების სამსახურში დგას. ა. აბაშელი პირდაპირ აცხადებდა, რომ საბჭოთა სინამდვილეში ხელოვნება და პოეზია დაეცა.

მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი —
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი,
და ახალს — ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება: ლექსს რად არ ჰშველის, —
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად. —
ცოდან ქუხილი ბარათაშვილის
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა?

1 ვ. გაფრინდაშვილი, ე. „ქართული მწერლობა", 1926 წ., აგვისტო. გვ. 26.

ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან.
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან.1

სულ სხვა პოზიცია დაიკავა ქართველ მწერალთა მეორე დიდმა ნაწილმა, რომელმაც აღიარა საბჭოთა ხელისუფლების უპირატესობა და მტკიცედ დაადგა ხალხთან თანამშრომლობის გზას. მათ შორის, როგორც აღვნიშნეთ, ერთი პირველთაგანი იყო რ. გვეტაძეც.

დამახასიათებელია, რომ რ. გვეტაძე, საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას როგორც მოქალაქე უფრო ადრე დაადგა, ვიდრე როგორც პოეტი. ახალი თემები, ახალი იდეები მის შემოქმედებაში გაჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მწერალმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ახალი ცხოვრების მიმდინარეობა, მისი ტენდენციები და განვითარების პერსპექტივები.

დამახასიათებელია ისიც, რომ რ. გვეტაძე თანდათანობით გადადის პროზაზე, შესაძლოა იმიტომ, რომ პროზის საშუალებით უფრო შესაძლებლად მიაჩნდა მეტი სიღრმით და ყოველმხრივად აესახა ცხოვრება.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში რ. გვეტაძე განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობდა როგორც თეატრალური რეცენზენტი. 1922 წელს იგი დაინიშნა გაზეთ „კომუნისტის“ სპეციალურ რეცენზენტად, სისტემატურად ბეჭდავდა რეცენზიებს

1 ალ. აბაშელი, ჟ. „ქართული მწერლობა“, 1926 წ., აგვისტო, გვ. 21.

ახალჩამოყალიბებული ქართული თეატრის (რუსთაველის სახელობის ქართული დრამა) დადგმებზე. რ. გვეტაძე თეატრის სასარგებლო პროპაგანდას ეწეოდა. მის დადებით და წამახალისებელ რეცენზიებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროს. ცნობილია, რომ ქართული თეატრის საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე წლებში საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა და დიდ ინტერესს იწვევდა როგორც ხელოვანთა შორის, ისე საზოგადოების ფართო წრეებში.

საკითხი ეხებოდა ქართული თეატრის თვით არსებობას. მენშევიკების ბატონობის წლებში ქართული თეატრი დაკნინდა და გადაგვარების გზას დაადგა. ამიტომ ბევრი იზიარებდა აზრს თეატრის „დროებითი ლიკვიდაციის" შესახებ. ამ აზრის მომხრენი შეუძლებლად თვლიდნენ ქართული დრამის არსებობას და უმთავრეს მოტივად ქართველი მსახიობების არაპროფესიონალობას და სათანადოდ მოუმზადებლობას ასახელებდნენ. მოითხოვდნენ ორი წლით შეჩერებულიყო თბილისში ქართული დრამის აღდგენა და ამ ხნის განმავლობაში გაეწვრთნათ და მოემზადებინათ მსახიობები.

ცნობილმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა, რომელიც ის-ის იყო საბჭოთა რუსეთიდან ჩამოვიდა და მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრში, სადაც კარგად გაეცნო ქართველ მსახიობებს, სასტიკად გაილაშქრა თეატრის „დროებითი ლიკვიდაციის" წინააღმდეგ. იგი ეყრდნობოდა ქართველი მსახიობების ნიჭსა

და უნარს: „მცირე ხნით მათთან მუშაობამ, — წერდა კ. მარჯანიშვილი,—მე სავსებით დამარწმუნა, რომ ქართველი მსახიობების ცხოველი ნიჭი, ძალა და ტემპერამენტი სრულიად საკმარისია თეატრის სათანადო დონეზე დასაყენებლად“.[1]

რუსთაველის სახელობის ქართული თეატრის პირველმა დადგმამ („ცხვრის წყარო“, 25 ნოემბერი, 1922 წელი) უტყუარ ფაქტად აქცია კ. მარჯანიშვილის იმედები.

ამ მაღალნიჭიერი რეჟისორის მეცადინეობამ და ქართველ მსახიობთა შემოქმედებითმა ენერგიამ დადებითად გადაწყვიტა დავა ქართული თეატრის არსებობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მაინც უნდობლად უყურებდა თეატრს. მათი უნდობლობის გაფანტვისა და თეატრის ავტორიტეტის მოპოვების საქმეში რ. გვეტაძის დადებით რეცენზიებს გარკვეული მნიშვნელობა უდავოდ ჰქონდა. რეცენზენტი მოუწოდებდა საზოგადოებას დასწრებოდა მაღალნიჭიერად დადგმულ სპექტაკლებს: „აღსანიშნავია კიდევ ერთხელ, — წერდა რ. გვეტაძე სენკევიჩის „ვიდრე ხვალ“ დადგმის განხილვაში,— რომ წარმოდგენებს ხალხი სრულიად არ ესწრება... საჭიროა საზოგადოებამ გული მოიბრუნოს თეატრზე და ასეთ კარგ წარმოდგენებს დაესწროს.“[2]

---

1 გაზ. „კომუნისტი, № 23, 29 იანვარი, 1925 წ.
2 გაზ. „კომუნისტი“, № 267, 21 ნოემბერი, 1922 წ.

რ. გვეტაძის რეცენზიები საინტერესოა თეატრალური ხელოვნების ზოგიერთი საკითხის გაშუქების მხრივაც.

„თეატრი, — წერდა რეცენზენტი,—უსათუოდ არის სხვა ქვეყანა, სადაც თავისებურად ლაგდება ყველაფერი და სადაც დაცული უნდა იყოს უმთავრესად პროპორციონალური სიმეტრია და ინტუიცია მოვლენათა შორის. **მსახიობი უნდა იყოს შემოქმედი და იცნობდეს როლს... თეატრი სიყალბეს ვერ ითმენს.** მსახიობმა ყურადღება უნდა მიაქციოს საღ ჟესტიკულაციას და უფრო დიქციას...“[1]

აქ, როგორც ვხედავთ, რეცენზენტი მიუთითებს აქტიორული ხელოვნების რეალისტური სტილის უპირატესობაზე და ამავე დროს თეატრის როლის განსაზღვრისას უახლოვდება დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის ცნობილ მოსაზრებას თეატრის დანიშნულების შესახებ.

ცნობილია, რომ ბ. ბელინსკი თეატრს ხელოვნების ჭეშმარიტ ტაძარს უწოდებდა და აქტიორისაგან როლის შემოქმედებითად განსახიერებას მოითხოვდა: „მაშ რაღაა-მეთქი ეს თეატრი? — აყენებდა კითხვას ბ. ბელინსკი და უპასუხებდა: — ეს არის ხელოვნების ჭეშმარიტი ტაძარი, სადაც შესვლისთანავე თქვენ მყისვე გამოეყოფით დედამიწას, თავისუფლდებით ყოველდღიური ურთიერთობისაგან... თქვენ აქ ცხოვრობთ არა

---

1 ვაზ. „კომუნისტი“, № 156, 11 ივლისი, 1922 წ., (ხაზგასმა ჩემი — ნ. დ.).

საკუთარი. ცხოვრებით, იტანჯებით არა თქვენი მწუხარებით, ხარობთ არა თქვენი ნეტარებით, ძრწით არა თქვენი საშიშროებისათვის."[1]

მსახიობის ხელოვნებაში რ. გვეტაძე გულისხმობდა სისადავეს, მოქმედების დამაჯერებლობას და ბუნებრივ დიქციას, რაც უპასუხებდა რეალისტური თეატრალური კულტურის მოთხოვნებს.

თეატრის მუშაობაში, მის წარმატებაში დიდ როლს ასრულებს რეჟისორი. იგი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის წამყვანი ფიგურაა, ხელმძღვანელია. კოტე მარჯანიშვილმა არა მარტო ჩამოაყალიბა ქართული საბჭოთა თეატრი, არამედ ამასთან ერთად აღმოაჩინა და აღზარდა ნიჭიერ მსახიობთა მთელი პლეადა. „ოცდაორი წლის მიწურულში გამოირკვა, რომ ქართულ სცენას ჰყოლია მესხიშვილ-ჩხეიძენი. და „ცხვრის წყაროს" დადგმამ ეს სავსებით ნათელჰყო, რომ ამიერიდან ქართველი მსახიობი ამაყი იქნება. დიახ, ჩვენს მსახიობს არ ჰყავდა გამოცდილი მასწავლებელი, გამოცდილი რეჟისორი, მომზადებული გამწვრთნელი, ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი თეატრის დაქვეითებისა."[2] — წერდა რაჟდენ გვეტაძე.

საყურადღებოა კიდევ ერთი თვალსაჩინო მოვენტი. რეჟისორთან და მსახიობთან ერთად რ. გვეტაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა დრამატურგიას, რეპერტუარს, რომლის გარეშეც არავითარი თეატრის

---

1 ბ. ბელინსკი, რჩეული თხზულებანი, ტ. 1-ლი, გვ. 80-81.
2 გაზ. „კომუნისტი", № 280, 6 დეკემბერი, 1922 წ.

არსებობა არ შეიძლება. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ქართული საბჭოთა დრამატურგიის შექმნისა და განვითარების აუცილებლობას. როგორც ქართული თეატრის შემდგომი წინსვლის უთუო პირობას. რ. გვეტაძე ქართველი მწერლებისაგან მოითხოვდა მეტ ორიგინალურ, თანამედროვეობის ამსახველ პიესებს. თეატრსო. წერდა იგი, სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის „რეპერტუარის სიღარიბე, ორიგინალური პიესების უქონლობა. დრამატურგიამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო ერთსხეულიანი სულის და ვერც თანამედროვე ცხოვრების პულსის ჩვენებაო.“[1]

ამრიგად, რ. გვეტაძის თეატრალური რეცენზიები გამსჭვალულია ქართული თეატრის აღორძინებისათვის. მისი სწრაფი განვითარებისათვის ზრუნვით და მათში მკაფიოდ ჩანს მწერლის რეალისტური სულისკვეთება. მისი ცოცხალი, უშუალო კავშირი საბჭოთა სინამდვილესთან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პოეტის მსოფლმხედველობის, მისი შემოქმედების ძირეულ გარდატეხაში.

ახალი თემებისა და იდეების შეჭრა რ. გვეტაძის პოეზიაში დაკავშირებულია დიდი ლენინის სახელთან. 1925 წლის 21 იანვარს პოეტმა გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა ლექსი „ლენინ“. ეს ლექსი საყურადღებოა უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მან გზა გაუხსნა სრულიად ახალ, წინათ უცნობ თემას რ. გვეტაძის შემოქმედებაში და ვ. ი. ლენინისადმი თავისი დამოკიდებუ-

1 გაზ. „კომუნისტი“ № 245, 25 ოქტომბერი. 1922 წ.

ლებით პოეტი მკაფიოდ, ცხადად გვიჩვენებს ახალი სინამდვილისადმი, ახალი ცხოვრებისადმი თავის განწყობილებებს, იმ ცხოვრებისადმი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა უკვდავმა ბელადმა.

მსოფლიო პროლეტარიატის გენიალურ ბელადს ვ. ი. ლენინს პოეტი უწოდებს „ოქროპირს“, თავისუფლებისა და ბედნიერების მომტანს მშრომელი ხალხისათვის. პოეტი შთაგონებულია მისი უდიდესი ღვაწლით კაცობრიობის წინაშე და მტკიცედ სჯერა, რომ მშრომელების მიერ მოპოვებული ბედნიერი ცხოვრება მარადიულია, რომ მას ვეღარ შეეხება მტრის მზაკვრული ხელი, რადგანაც დიდმა ლენინმა ხალხს ასწავლა მოპოვებული თავისუფლების დაცვაც:

აწი მონობას ქედ-მაღალნი აღარ მოველით:
თავისუფლება ყველას გულში მაგრად ჩაკირე.1

მთელი კაცობრიობა მტკიცედ ინახავს თავისი დიდი მოამაგის ვ. ი. ლენინის უკვდავ ხსოვნას. რ. გვეტაძე მილიონობით უბრალო ადამიანის სახელით ფიცს აძლევდა ბელადს, რომ მარად მისი საქმის დამცველი და ერთგული იქნებოდა:

მეამბოხეებს შენ ასწავლე ცეცხლის გალობა
და სასოებით გიგალობენ ამიტომ ლენინ!
რომ არ დავკარგოთ სიხარული, — შენი წყალობა
ბარიკადებზე ბრძოლისათვის ვართ მოვალენი.2

---

1 „ლენინ“. გაზ. „კომუნისტი“, № 17, 21 იანვარი, 1925 წ.
2 იქვე.

ასე დაიწყო ლექსით „ლენინ“ სრულიად ახალი პერიოდი რ. გვეტაძის შემოქმედებაში, ასე გათავისუფლა პოეტი საბჭოთა სინამდვილემ მტანჯავი ფიქრებისა და წინააღმდეგობებისაგან და მისცა იმის შესაძლებლობა, რომ ფართოდ განევითარებინა თავისი ნიჭი და მთლიანად მოეხმარებინა იგი მშრომელი ხალხისათვის.

* * *

უდიდესი ამოცანები იდგა ჩვენი ქვეყნის წინაშე 1925—1932 წლებში. ეს ის დაუვიწყარი პერიოდია, როცა სსრ კავშირში ძირითადად დამთავრდა აღდგენითი პერიოდი და კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელება.

1925 წლის დეკემბერში შეიკრიბა ჩვენი პარტიის XIV ყრილობა, რომელიც ცნობილია როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ყრილობა. განიხილა რა საკითხი ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების გზების შესახებ, ყრილობამ დასახა გრანდიოზული ამოცანა: გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა აგრარულიდან ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომელსაც შეეძლება თავისი საკუთარი ძალებით აწარმოოს საჭირო მოწყობილობა,— აი, რაშია ჩვენი გენერალური ხაზის დედაარსი, საფუძველი.[1]

1 საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში, 1926 წ., გვ. 488.

ყველა მშრომელი, როგორც ერთი კაცი, მტკიცედ დაირაზმა კომუნისტური პარტიის მიერ თავისი ქვეყნის წინაშე დასახული. ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანის შესასრულებლად და შრომითი გმირობის მანამდე არნახული მაგალითები გვიჩვენა. ყველგან აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა, რაშიც კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა თავისუფალი მასების უზარმაზარმა შემოქმედებითმა ენერგიამ, რომელსაც წინათ კაპიტალიზმი ულმობლად ახშობდა და გასაქანს არ აძლევდა. ახლა ეს უზარმაზარი ენერგია მთელი ძალით ამოქმედდა. იგი სახეს უცვლიდა ჩვენს ქვეყანას და ამავე დროს ცვლიდა თვით საბჭოთა ადამიანებსაც, ამდიდრებდა მათს სულიერ სამყაროს.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში მოპოვებული უდიდესი წარმატებების საფუძველზე პარტიის XV ყრილობამ, რომელიც 1927 წელს გაიმართა და ცნობილია როგორც კოლექტივიზაციის ყრილობა, დასახა ახალი გრანდიოზული ამოცანა — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია ნამდვილი რევოლუცია იყო ჩვენი გლეხობის ცხოვრებაში. პირველად კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა. ამასთან დაკავშირებით ძირეული ცვლილება მოხდა თვით გლეხების ფსიქოლოგიაში, მათ ხასიათში, მათს შეხედულებებში. გლეხობამ დატოვა კერძომესაკუთრული დროშა და

კოლექტივიზმის დროშის ქვეშ დადგა. ამ დროიდან სოფლის ცხოვრება, გლეხობის ცხოვრება სრულიად ახალი გზით წარიმართა.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელებ• ნიშნავდა სოციალიზმის ეკონომიური საფუძვლის აშენებას, სოციალისტური ყოფის დამკვიდრებას, ძირეულ ცვლილებებს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

„ჩვენ,— წერდა ამხანაგი სტალინი,— 1929 წელს თავის ცნობილ სტატიაში „დიადი გარდატეხის წელი", — მთელი სისწრაფით მივეშურებით ინდუსტრიალიზაციის გზით — სოციალიზმისაკენ და უკან ვიტოვებთ ჩვენს საუკუნეობრივ „რუსეთულ" ჩამორჩენილობას.

ჩვენ ვხდებით ლითონის ქვეყანა, ავტომობილიზაციის ქვეყანა, ტრაქტორიზაციის ქვეყანა.

და როცა სსრ კავშირს დავსვამთ ავტომობილზე, ხოლო გლეხს ტრაქტორზე, — მაშინ სცადონ და დაგვეწიონ პატივცემული კაპიტალისტები, რომლებიც ყოყოჩობენ თავიანთი „ცივილიზაციით". მაშინ ვნახოთ, რომელი ქვეყნები შეიძლება „განვსაზღვროთ" ჩამორჩენილებად და რომელი მოწინავეებად."[1]

სოციალისტური წყობილების გამარჯვებამ და განმტკიცებამ განსაზღვრა მწერალთა იდეოლოგიური ერთიანობის ძლიერება.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების საქმეში, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატუ-

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-12, გვ. 149.

რის განვითარებაში, დიდი როლი შეასრულა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1925 წლის რეზოლუციამ, რომლის მიხედვით დასაშვები იყო სხვადასხვა ლიტერატურული ორგანიზაციების არსებობა. რეზოლუციაში ხაზგასმით იყო აღნიშნული პროლეტარული მწერლობის განვითარების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ. მწერლების ერთმანეთთან იდეურად და შემოქმედებითად დაახლოება, მათი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში — აი, იდეა ამ რეზოლუციისა.

თანადროულობასთან, ცხოველმყოფელ სოციალისტურ სინამდვილესთან მჭიდრო კავშირისაკენ, საზოგადოებლოსა და ხალხის ინტერესებისადმი ერთგულებისა და თავდადებისაკენ მოუწოდებდა ხელოვნების მუშაკებს კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყველა ღონისძიება.

სოციალისტური მშენებლობის უდიდესმა წარმატებებმა, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის აყვავებამ, განთავისუფლებული მშრომელი ხალხის მძლავრმა შრომითმა საქმიანობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაშიც.

1926 წელს რ. გვეტაძემ ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა ლექსი „პირველი მაისი“, რომელშიც პოეტი გადმოგვცემს თავის აღფრთოვანებას ახალი ცხოვრებით, სოციალისტურ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებით:

ვხედავ მომავალ ხალხს და მაყრიონს
არეს ატოკებს მათი გუგუნი, —

უჩვევ სიხარულს პეშვით მაყრიან
და გული მღერის, როგორც გუგული.1

პოეტმა ორგანულად განიცადა უდიდესი ცვლილებები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა. იგი მკაფიოდ ხედავდა ძველისა და ახლის ჭიდილს, ახლის დამკვიდრებას. მისი პოეზიის მთავარი თემა გახდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და საკოლმეურნეო მშენებლობა. ლექსში „ქვიშხეთი" რ. გვეტაძემ ძველთან დაპირისპირებით დახატა განახლებული სოფლის სურათი.

მთაწმინდამ მთვარე გადაიბირა
და დაიხურა ვით ფაფანაკი...
ნაბატანარის სახლში, ტყის პირას
პიონერების ცხოვრობს ბანაკი.
ბულბულის ციხეს და ტაშის ხევებს,
სადაც ომები იყო ნიადაგ. —
დღეს ქარი აყრის ნისლის ნახევებს
და ტრაქტორებით ხნავენ ნიადაგს.2

ლექსში „მუშათა ახალი სახლი ჭონქაძის ქუჩაზე" რაჟდენ გვეტაძე კონტრასტების, ძველისა და ახლის შეპირისპირების ხერხით გადმოგვცემს მშრომელთა ცხოვრებაში მომხდარ უდიდეს გარდატეხას. წინათ, რევოლუციამდე, მშრომელი ხალხი სიდუხჭირესა და სიბნელეში ცხოვრობდა, მისი ნაშრომი „ქარს მიჰქონდა":

---

1 „პირველი მაისი", ჟ. „მნათობი", № 11-12, 1926 წ., გვ. 13.
2 „ქვიშხეთი", ჟ. „ქართული მწერლობა", № 6-7, 1929 წ., გვ. 9.

სადაც გუშინ
ცა პირქუში,
ცა მწვიმარე
თავს ეხურა
არე-მარეს...1

ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს:

წელში მოხრილს, —
გაუნათეს
წელს ზაჰესით
ბნელი ქოხი;2

განთავისუფლებული მშრომელი ხალხი წარმატებით, თავდადებით აშენებს ახალ სოციალისტურ ცხოვრებას:

წერაქვს ცემენ,
რომ ამართონ
ხვალ ცემენტის
ტალავერი...3

მშრომელთა ნაშენი მყარი და ფოლადივით მაგარია:

უცებ, მარდად
აიმართა
სახლი თუჯის
მაღალ თაღით.4

პოეტი სიხარულით აცხადებს, რომ ახალ ნაგებობათა „ყოველ ყურეს აივნები გადაჰყურებს და ღია კარი ალხენს მნახველს“.

---

1 „მუშათა ახალი სახლი ჭონქაძის ქუჩაზე“, ე. „მნათობი“, № 7. 1929 წ., გვ. 37.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.

ასე დინამიკურად გადმოგვცემს რ. გვეტაძე სოციალისტური მშენებლობის მძლავრ ტემპს და მის დადებით შედეგს — მშრომელთა ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.

რაჟდენ გვეტაძის ეს ლექსი არა მარტო ეხმაურება და ასახავს სოციალისტურ მშენებლობას, საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომას, არამედ ამავე დროს საბჭოთა ადამიანებს ზრდის სოციალისტური სულისკვეთებით, უჩვენებს მათ საბჭოთა სინამდვილის უპირატესობას, მის პერსპექტივებს და, ამგვარად. წარმოადგენს მძლავრ მატერიალურ ძალას.

სოციალისტური ყოფის დამკვიდრების ასახვასთან ერთად რ. გვეტაძე დიდ ინტერესს იჩენდა განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიისადმი. ეს ინტერესი შემთხვევითი როდია. მეფისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ყველა ექსპლოატატორის წინააღმდეგ მებრძოლთა მხატვრულ სახეებს, პოეტის განზრახვით, სოციალიზმის ახალგაზრდა მშენებლები უნდა შთაეგონებინა ახალი წარმატებებისათვის. ეს სახეები მოაგონებდა მათ, თუ ბრძოლის რა სახელოვანი გზა განვლეს ჩვენმა წინაპრებმა, რათა ჩვენ შესაძლებლობა გვქონოდა ჯვეშენებინა სოციალიზმი, ახალი ცხოვრება. ამდენად, ის ლექსებიც, რომლებიც რ. გვეტაძემ განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირებს მიუძღვნა, თანადროულობით სუნთქავს და თანადროულობას ემსახურება.

ამ ციკლიდან განსაკუთრებით საგულისხმოა ორი ლექსი — „წითელრაზმელი ქალი“ და „მერკვილაძის დები“. ორივე ეს ლექსი ასახავს 1905 წლის რევოლუციაში მშრომელთა მასობრივ მონაწილეობას და ორივეს გმირი ქალია. პოეტი ამით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რევოლუცია — ეს ყველა მშრომელის — კაცისა და ქალის, მოხუცისა და ახალგაზრდის საქმე იყო და არა ერთეულებისა. დიადი მიზანი, რომელსაც რევოლუცია ისახავდა, თანაბრად მიმზიდველი იყო კაცისთვისაც და ქალისთვისაც. წითელრაზმელი გლეხი ქალი არავითარ საფრთხეს არ უშინდება და საკუთარი ხელით ჰკლავს ჩაფარს — მეფის მთავრობის დამჭაშს, ხალხისა და რევოლუციის მტერს:

შეირხა, სიომ დაჰბერა
ააღაღანა ბაღები.
რაზმელმა მოლზე გაფერა
ხანჯალი სისხლში ნაღები
და როცა მთვარე განაზდა
პირბადე ჩამონაფარი, —
ხევში მწყემსებმა ანაზდად:
ნახეს მოკლული ჩაფარი.1

ქართული კლასიკური და ხალხური ლიტერატურა ბევრ გმირ ქართველ ქალს იცნობს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლეც კი ხალხსა და სამშობლოს შესწირეს. მაგრამ რ. გვეტაძის რაზმელი ქალი და მერკვილაძის ტერორისტი დები რადიკალურად განსხვავდებიან

1 ე. „ქართული მწერლობა“, № 10. 1927 წ., გვ. 23.

მათგან. ამ განსხვავებას, უპირველეს ყოვლისა, ქმნის მიზანთა სხვაობა. თამარ ვაშლოვნელი იბრძოდა ურჯულო დამპყრობთა წინააღმდეგ, ამასთან სამშობლოსადმი მისი სიყვარული არ გულისხმობდა მაშინდელი სოციალური წყობილებისადმი სიყვარულს. სულ სხვაა წითელრაზმელი ქალი ან მერკვილაძის დები. ისინი იბრძვიან სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ და სამშობლოსადმი, ხალხისადმი მათი სიყვარული გარდუვალად გულისხმობს ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის ბრძოლას, ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობას. ამდენად, მათი სულიერი ინტერესები გაცილებით უფრო ფართოა და მდიდარი, ხოლო მიზანი გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე თამარ ვაშლოვნელისა თუ მაია წყნეთელისა.

„მერკვილაძის დები"[1] თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებისათვის სახელოვანი ბრძოლის მრავალ საინტერესო ეპიზოდს აღადგენს მკითხველის ცნობიერებაში. ლექსის სიუჟეტურ განვითარებაში პოეტმა ოსტატურად გვიჩვენა არა მარტო სოციალური უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლთა საინტერესო მხატვრული სახეები, არამედ გამარჯვების ღრმა რწმენა. მაღალი მიზნის დიადი აღმაფრთოვანებელი ძალა, ხალხის უკვდავება. მერკვილაძე გმირულად დაეცა მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში,

---

1 ეს ლექსი პირველად დაიბეჭდა 1925 წლის ჟ. „მნათობში" (№ 4. გვ. 3) სათაურით „მერკვილაძის ტყვია". შემდეგ განახლებული ვარიანტები დაბეჭდილია 1926 წელს ჟურნალებში „ქართული მწერლობა" (№ 2-3) და „მნათობი" (№ 2-3).

მაგრამ ბრძოლა ამით როდი შეწყვეტილა. იგი განაგრძეს მისმა დებმა. და მკითხველი ლოგიკურად მიდის დასკვნამდე — მერკვილაძის დებიც რომ დაიღუპონ, მათ ადგილს სხვები დაიჭერენ, ვიდრე გამარჯვება არ მოვა. ხალხის მოსპობა შეუძლებელია, მისი გამარჯვება გარდუვალია.

ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებული წარსულის გმირები ჩვენი თანამედროვეები არიან. ისინი ჩვენში იწვევენ მიბაძვის წადილს, მათი გმირობის გამეორების სურვილს. სწორედ ეს შთამაგონებელი ძალა ჰქონდა პოეტს მხედველობაში, როცა ამბობდა: „ნეტავ მომკვდარვიყავ, როგორც მერკვილაძეო“. იცხოვრონ და იბრძოლონ ისე, როგორც მერკვილაძე და მისი დები იბრძოდნენ, თვითეული საბჭოთა მოქალაქის კეთილშობილური ოცნებაა. ასე ერწყმის და ავსებს ერთმანეთს წარსული და თანამედროვეობა. წარსული, უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა იმით, რამდენადაც გვეხმარება თანადროულობის ამოცანების გადაწყვეტაში. რ. გვეტაძის „მერკვილაძის დებს“ სწორედ წარსულისა და თანამედროვეობის ურღვევი კავშირი უდევს საფუძვლად და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც განაპირობა ამ ნაწარმოების დიდი წარმატება.

თანამედროვეობასთან მჭიდრო კავშირი იყო ის ძალა, რომელმაც რაჟდენ გვეტაძეს შეაძლებინა გამსჭვალულიყო შემოქმედებითი სოციალისტური შრომის პათოსით, რევოლუციურად აეთვისებინა სინამდვილე და გამხდარიყო ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქ-

მნის აქტიური მონაწილე. იგი არა მარტო თვითონ ჩაება სოციალისტური შრომის ფერხულში, არამედ თანამოკალმეებსაც მოუწოდებდა განეცადათ და ღრმად აეთვისებინათ ახალი ცხოვრება.

ეჰ, პოეტებო,
თუ ხართ რაინდები,
და ჩემსავით გიყვართ
ს ს რ
ჩამოიგლიჯეთ თვალზე ბინდები
და მზიანი სურვილი გქონდეთ ბილიკად
თორემ თქვენს ლექსებს ხავსი მოედებათ.1

რაჟდენ გვეტაძემ მთლიანად გაიზიარა დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის რჩევა, რომელიც მან ქართველ მწერლებს მისცა ერთ-ერთ საუბარში: „ეს ცხოვრება ახლა სხვაგვარია, ვიდრე წინათ იყო. ამ ახალ ცხოვრებას ქმნის საბჭოთა კავშირი და ზრდის საბჭოთა ადამიანებს. როგორც მე, ისე თქვენ, ქართველ მწერლებს, ვალად გვაწევს ხელი შევუწყოთ ახალი ცხოვრების განმტკიცებას და ახალი ადამიანის სავსებით ჩამოყალიბებას.“2

და მართლაც, რაჟდენ გვეტაძემ თავისი ღირსების საქმედ მიიჩნია აქტიური მონაწილეობა მიეღო ახალი ცხოვრების განმტკიცებასა და ახალი ადამიანის სავსე-

1 „მერკვილაძის დები“, ჟ. „მნათობი“, № 2-3, 1931 წ., გვ. 14.
2 მ. გორკის შეხვედრა ქართველ მწერლებთან, გაზ. „კომუნისტი“, № 131, 1928 წ. 1928 წლის 23 ივნისს მ. გორკი მეოთხედ ესტუმრა საქართველოს. პირველად იგი ყოფილა საქართველოში 1892 წელს. მეორედ — 1901 წელს ანტონ ჩეხოვთან და მხატვარ ვასნეცოვთან ერთად, მესამედ — 1903 წელს.

ბით ჩამოყალიბებაში. „დროა,— წერდა იგი თავის ნარკვევების კრებულში „გადამწყვეტი წელი“,— საბჭოთა თვითეული მწერალი უშუალოდ ჩაებას სოციალისტურ მშენებლობაში და მისი გულითადი მონაწილე გახდეს.“[1]

ამ პოეტური დეკლარაციის პრაქტიკული განხორციელება იყო ნარკვევების კრებული „გადამწყვეტი წელი“, რომელიც პირველად ცალკე თავებად იბეჭდებოდა, 1931 წელს კი წიგნად გამოიცა.

ნარკვევმა, როგორც ჟანრმა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც განსაკუთრებით სწრაფად იწყო განვითარება პირველი სოციალისტური ხუთწლედის პერიოდში. კერძოდ, ოცდაათიან წლებში დაიწერა და გამოქვეყნდა ელ. ზედგინიძის (პოლუმორდვინოვის) ნარკვევი „ჭიათურა“, ს. ჩიქოვანის „ერთი თვე სვანეთში“, კ. ლორთქიფანიძის „ახალი გლეხები“, რ. გვეტაძის „გადამწყვეტი წელი“ და სხვ. ნარკვევით ასეთი გატაცება იმით აიხსნება, რომ ეს ჟანრი საშუალებას აძლევს მწერალს დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს ამა თუ იმ მოვლენას, გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, დაეხმაროს მკითხველს უკეთ შეიცნოს მისი არსი, მისი განვითარების პერსპექტივა. ამასთან ერთად ნარკვევში მწერალს შეუძლია ორგანულად შეაერთოს პუბლიცისტურ-პოლიტიკური სიმახვილე და მხატვრული სისადავე, სწრაფად მიიტანოს მკითხველამდე თავისი შეხედულებანი.

---

1 რ. გვეტაძე. „გადამწყვეტი წელი“, 1931 წ., გვ. 29.

ნარკვევი იგივე მოთხრობაა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნარკვევის გმირი არ შეიძლება იყოს მოგონილი პიროვნება, იგი არ შეიძლება აიგოს გამოგონილ ფაქტზე. მისი სიუჟეტი ნამდვილ ამბავს უნდა ეყრდნობოდეს და მასში ნამდვილი, ე. ი. ცხოვრებაში არსებული ადამიანები უნდა მოქმედებდნენ. რა თქმა უნდა, ნარკვევი ზოგიერთ გამოგონილსაც შეიცავს, მაგრამ მხოლოდ აქსესუარების სახით. ფაქტი, მოვლენა მწერალმა ზუსტად უნდა ასახოს, ისე როგორც იგი სინამდვილეში არის. ამავე დროს ნარკვევი მით უფრო კარგია, რამდენადაც კონკრეტული გმირების მოქმედებაში ჩვენებისას მწერალი არ ემწყვდევა ფაქტების გროვაში და აღწევს ფართო, ღრმა განზოგადებას. კონკრეტულში გვიჩვენოს ზოგადის გამოვლინება — ეს არის ნარკვევის მიზანი.

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ნარკვევის კიდევ ერთი დიდი ღირსება. იგი საშუალებას გვაძლევს მთელ ქვეყანას გავაცნოთ შრომის გმირები, განვაზოგადოთ და გავავრცელოთ მათი გამოცდილება, რასაც ცოტა მნიშვნელობა როდი აქვს სოციალისტური მშენებლობის წარმატებაში. პარტიის XV კონფერენციის მოწოდებაში ნათქვამია, რომ საუკეთესო მუშების, საუკეთესო სპეციალისტების, საუკეთესო სამეურნეო მუშაკების, საუკეთესო აგრონომების, საუკეთესო ქარხნებისა და მაღაროების, საუკეთესო საბჭოთა მეურნეო-

ბის და კოლმეურნეობების სახელი მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდესო.

რაჟდენ გვეტაძის ნარკვევების კრებულში „გადამწყვეტი წელი“ სულ შვიდი ნარკვევია: „საბჭოები“, „წითელი არმია“, „ინდუსტრია“, „ენტუზიასტები“, „ახალი სოფელი“, „ბრიგადელის დღიური“ და „წყალდიდობა“. ყველა ეს ნარკვევი ერთნაირი ღირსებისა როდია — ზოგი უკეთ და ზოგიც შედარებით მკრთალად ასახავს ოცდაათიანი წლების საქართველოში გაჩაღებულ შემოქმედებით შრომას.

კრებულიდან მხატვრული ოსტატობისა და განზოგადების ძალით მკვეთრად გამოირჩევა ნარკვევი „წითელი არმია“, რომელიც ასახავს ჩვენი სახელოვანი არმიელების ცხოვრებასა და შრომას.

ოცდაათიან წლებში, როგორც ცნობილია, მწერლებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს. პროლეტარული მწერლობის ასოციაციასთან შეიქმნა ე. წ. ლოკაფის (წითელი არმიისა და ფლოტის ლიტერატურული გაერთიანება) ჯგუფი, რომელიც ამოცანად ისახავდა მხატვრული სიტყვის საშუალებით გაეჩაღებინა აღმზრდელობითი მუშაობა წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში, ხელი შეეწყო სამშობლოს მამაცი დამცველების ცხოვრებისა და შრომის რეალისტური ასახვისათვის ლიტერატურაში. ამ პერიოდში მრავალი ლექ-

სი, პოემა, მოთხრობა და ნარკვევი დაიწერა. მათგან აღსანიშნავია გ. კაჭახიძის ლექსები „საღამო ტილოს კარავში“, „ბანაკად გასულ არმიასთან“, „წითელი ყაზარმა“, ვ. დარასელის პოემა „ბუდიონის ლურჯა“, ს. ერთაწმინდელის მოთხრობები „ჩაჩულა“ და „შვებული“, დ. შენგელაიას ნარკვევი „რამდენიმე დღე მანევრებზე“ და სხვ.

რ. გვეტაძის ნარკვევი „წითელი არმია“ გვაცნობს ავჭალაში დაბანაკებულ წითელარმიელებთან, ანუ როგორც მათ მწერალი უწოდებს, „ფოლადის ბიჭებთან“ ერთ-ერთ შეხვედრას. ნარკვევის სიუჟეტურ ქარგას ქმნის ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ამბავი, მაგრამ ამ უბრალო, თითქოს ყოველდღიურ ფაქტში მწერალმა შეძლო დაენახა „თოფიანი კაცის“ ახალი მორალური სახე, მისი ახალი, ძველისაგან არსებითად განსხვავებული მორალური თვისებები.

წითელარმიელმა პაპიაშვილმა მოულოდნელად მიღო დეპეშა: „მამაშენი გარდაიცვალა, დედა უკანასკნელ დღეშია“. შეწუხებული არმიელები ამშვიდებენ მეგობარს, ცდილობენ შეუმსუბუქონ მძიმე ხვედრი და გამამხნევებელი სიტყვებით ისტუმრებენ პაპიაშვილს. არმიელი დაღონებული ჩადის სოფელში. აი სახლიც. ცრემლით ავსებული თვალები პაპიაშვილს ერთბაშად უშრება და უფართოვდება: ჭიშკართან შვილს გამოეგება დედა... მამაც. გაოცებული არმიელი მალე გამოერკვა, იგი მიხვდა, თუ რისთვის გაუგზავნეს დეპეშა, მოახლოებულ მშობლებს სალამიც არ უთხრა, ზურგი უჩ-

ვენა მათ და სწრაფად გატრიალდა. „ამ საქციელით, წერს ავტორი, პაპიაშვილმა დიდი პატივი დაიმსახურა მთელ ბანაკში“.[1]

აი, ასეთია საბჭოთა არმიელის მორალური სახე, აი, ასე გვიჩვენა მწერალმა კონკრეტულში ზოგადი, არმიელის ფსიქოლოგიის ძირეული გარდაქმნა.

კონკრეტული ფაქტებით გვიჩვენებს მწერალი საქართველოს ინდუსტრიის შეუნელებელ განვითარებას, მშენებლობის უდიდეს გაქანებას. წარმოების პროცესში სულ უფრო ფართოდ იყენებენ ახალ ტექნიკას, რის შედეგადაც იზრდება შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდება მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. შრომა სახალისო და მიმზიდველი გახდა. „ყოველი მუშა აკეთებს განსაზღვრულ საქმეს, მაგრამ ისეთი სიმარდით და მონდომებით, რომ გრცხვენია უბრალო მაყურებლად ყოფნა და გინდა შენც ჩაება ამ იშვიათ გარჯის ფერხულში“,[2] გადმოგვცემს მწერალი თავის შთაბეჭდილებას ფეხსაცმელის ფაბრიკის შესახებ. რ. გვეტაძე ყურადღებას ამახვილებს არა მარტო შრომის ეგრეთწოდებულ ტექნიკურ პროცესებზე, არამედ თვით მშრომელი ადამიანის დამოკიდებულებაზე შრომისადმი, ხაზს უსვამს მის გმირულ, პატრიოტულ სულისკვეთებას. „შენც გინდა ჩაება ამ იშვიათ გარჯის ფერხულში“, — ლიტონი სიტყვები როდია, იგი ყოველი საბჭოთა ადამიანის მისწრაფებაა. მწერალი გვაცნობს ახალი ადამიანების განც-

1 რ. გვეტაძე. „გადამწყვეტი წელი“, გვ. 16.
2 იქვე, გვ. 20.

დებს, დიად პროცესს, თუ როგორ ხდება შრომა მათ ღვიძლ, საკუთარ საქმედ, რაც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციისა და შრომის განთავისუფლების პირდაპირი შედეგია.

ნარკვევებში „შაქრის ქარხანა“, „შირაქის ნავთი“ და „შავი ოქრო“ რაჟდენ გვეტაძე დამაჯერებლად ასახავს საბჭოთა ადამიანების თავდადებულ პატრიოტულ შრომას, ახალი გიგანტების მშენებლობას. განსაკუთრებით საინტერესოა ნარკვევი „შირაქის ნავთი“. საგულისხმოა, რომ შირაქის ნავთობიან ადგილებს ჭაბურღილებით თხრიან უმთავრესად კომკავშირელთა დამკვრელი ბრიგადები. „კომკავშირელებმა შეადგინეს დამკვრელი ბრიგადები... მათი თაოსნობით მუშებმა ერთხმად დაადგინეს ჩამორჩენის გამოსწორებამდე ყოველდღე იმუშაონ სამი საათი ზედმეტად“.[1] ნარკვევი კარგად გვიჩვენებს კომკავშირული დამკვრელი ბრიგადების სოციალისტური შეჯიბრების ძალას, იმ ფაქტს, რომ „მუშათა მასები შეჯიბრების საქმეს **თავიანთ საკუთარ, ღვიძლ საქმედ** თვლიან“[2] სოციალისტური შეჯიბრების ზოგადი დახასიათება, როგორც მშენებლობის ახალი მეთოდისა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ, როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლის, ამასთან ერთად აუცილებელია ვაჩვენოთ, თუ როგორ გარდაქმნის ადამიანებს შეჯიბრება, როგორ ატარებენ შეჯიბრებას თვით მასები. „ამ ბოლო დროს,— წერდა ი. ბ. სტალინი 1929 წელს,—ჩვენს პრესაში გახ-

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 49.
2 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. მე-12, გვ. 123.

შირდა სტატიები და შენიშვნები შეჯიბრებაზე. წერენ შეჯიბრების ფილოსოფიაზე, შეჯიბრების ფესვებზე, შეჯიბრების შესაძლო შედეგებზე და სხვ. მაგრამ იშვიათად შეხვდებით ისეთ შენიშვნებს, რომლებიც რამდენადმე დალაგებულად გვიხატავდნენ იმის სურათს, თუ **როგორ** ატარებენ შეჯიბრებას **თვით მასები**"...[1]

რ. გვეტაძის ნარკვევების კრებული ნაწილობრივ ავსებს ამ ნაკლს. ყოველ შემთხვევაში, მწერალი ცდილობს გვიჩვენოს ახალი ადამიანების სულიერ სამყაროში მიმდინარე დიადი პროცესები.

კრებულში „გადამწყვეტი წელი" საკმაოდ ფართო ასახვა ჰპოვა აგრეთვე საკოლმეურნეო მშენებლობის პირველმა ნაბიჯებმა საქართველოს სოფელში. ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის გატარებისას საქართველოში, ისევე როგორც სსრ კავშირის ბევრ სხვა ადგილას, დაშვებულ იქნა პარტიის ხაზის სერიოზული დამახინჯება და შეცდომები, რომლებიც უმთავრესად გამოიხატა მისწრაფებაში — „უმოკლეს ვადაში" დაემთავრებინათ გლეხური მეურნეობის გაერთიანება. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 15 მარტის დადგენილება — „საკოლმეურნეო მოძრაობაში პარტიული ხაზის გამრუდებათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" მოითხოვდა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომების დაუყოვნებლად აღმოფხვრას. ამავე საკითხს მიუძღვნა ი. ბ. სტალინმა თავისი ცნობი-

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. მე-12, გვ. 123.

ლი სტატიები: „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“ (1930 წლის 2 მარტი) და „პასუხი ამხანაგ კოლმეურნეებს“ (1930 წელი 3 აპრილი).

თავის ნარკვევში რაჟდენ გვეტაძე ამხილებს საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ დამახინჯებებსა და შეცდომებს. ნარკვევში „ახალი სოფელი“ მწერალს მოჰყავს ასეთი ფაქტი.

„მთელ რიგ რაიონებში კოლექტივიზაციამ სტიქიური ხასიათი მიიღო...

ერთ სოფელში კოლექტივიზატორებმა თავი მოუყარეს მუშასაქონელს და დაამწყვდიეს სახელდახელოდ გაკეთებულ ქართაში. სამი დღე-ღამე სუსხიან ამინდში, ცის ქვეშ, უსმელ-უჭმელი ეყარენ ხარ-კამეჩები, რომლებმაც რქენის დროს ერთმანეთს რქები დაალეწეს. მოუვლელობისაგან რამდენიმე სული კიდეც დაიღუპა“.[1]

„ბრიგადელის დღიურში“ მწერალი მომეტებულად ჩერდება ნაკლოვანებებზე, მკაცრად ამხილებს სოფლის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის ბიუროკრატობას, მათს მოუქნელ მუშაობას. აქვე მხილებულია სოფლის მცხოვრებთა შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ბურჟუაზიული გადმონაშთები და მთელი რიგი საყოფაცხოვრებო მანკიერებანი.

თავის კრებულს მწერალი საყურადღებო მოსაზრებით ამთავრებს. ბოლოსიტყვაში იგი წერს: „ჩემს „ბრიგადელის დღიურში“ უფრო მეტად ლაპარაკია ნაკ-

---

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 194.

ლოვანებებზე, მაგრამ ეს იმ მოსაზრებით, რომ შემდეგში მათ ადგილი აღარ ექნეთ.

და რომ მათ ადგილი აღარ ექნეთ, ყოველი პატიოსანი მოქალაქის, მით უმეტეს საბჭოთა მწერლის ვალია ფხიზლად იდგეს მშრომელი ხალხის სადარაჯოზე და გაუადვილოს ხელისუფლებას როგორც ამგვარ უმსგავსოებასთან ბრძოლა, ისე ქვეყნის გარდაქმნისათვის წარმოებული მუშაობა.“[1]

ამ ამონაწერიდან ცხადია, თუ რისთვის ამხილებდა რ. გვეტაძე არსებულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს. იგი ბოროტად კი არ ხითხითებდა ამ ნაკლოვანებათა და შეცდომათა გამო, ან ცხოვრების გულგრილი მჭვრეტელი კი არ იყო, რომ უარყოფითი მოვლენების კოლექცია ეგროვებინა. იგი აკრიტიკებდა იმისთვის, რომ გადაგველახა სიძნელენი, იგი ამხილებდა იმისათვის, რომ გამოგვესწორებინა ნაკლოვანებანი, შეცდომები, ჩავარდნები. მისი კრიტიკის მიზანი იყო საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცება.

საინტერესოა აგრეთვე რაჟდენ გვეტაძის ლიტერატურული შეხედულებანი, რომლებსაც მწერალი თავისი ნარკვევების კრებულში ავითარებს.

უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა რაჟდენ გვეტაძის მოსაზრება მწერლობის დანიშნულებისა და მწერლის ამოცანების შესახებ. იგი თვლის, რომ მწერალი თავისი ხალხის ღვიძლი შვილი უნდა იყოს და მხარში ედგეს ხალხს, აკეთებდეს ხალხის სასარგებლო საქმეს,

---

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 151.

მით უმეტეს ახლა, როცა ხალხი სრულუფლებიანია და წარმართავს მთელ ცხოვრებას.

„დღეს, როცა ძირფესვიანად იცვლება ძველი ყოფა, პირწმინდად იწალდება ძველი, დახავსებული ცხოვრება და მშრომელი ხალხი დღე და ღამე იბრძვის, ქმნის და აშენებს ახალ სოციალისტურ ქვეყანას, — მწერალს უფრო მეტი მოეთხოვება, ვიდრე ოდესმე“.[1]

მაგრამ რა არის ეს „უფრო მეტი“, რომელსაც საბჭოთა სინამდვილე მწერლისაგან მოითხოვდა? „ფაქტია ის, — წერდა რ. გვეტაძე, — რომ არც ერთი უნარიანი, არც ერთი ცოტა თუ ბევრად ტალანტის მქონე მწერალი არ შეიძლება იყოს თავისი დროისა და გარემოს შორიდან მაცქერალი.“[2] ეს იმას ნიშნავს, რომ მწერლის შემოქმედება გამსჭვალული უნდა იყოს თანამედროვეობის სულისკვეთებით, რეალისტურად ასახავდეს სინამდვილეს და აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ცნობილია, რომ წინათ მოწინავე, პროგრესული შემოქმედი უთუოდ ოპოზიციურად იყო განწყობილი და ებრძოდა თანადროულ სოციალურ წესწყობილებას. რამდენადაც ძლიერი იყო მასში ოპოზიციური სულისკვეთება, იმდენად უფრო სრულად და ღრმად გამოხატავდა ხალხის მისწრაფებებს. მაგრამ რევოლუციის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ხელისუფლება უკვე ხელთ აიღო ხალხმა და მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა. მთავრობისა და ხალხის

---

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 25.
2 იქვე.

ინტერესები ერთიანი, განუყოფელი შეიქმნა. ეს კი მწერალს ახალ, განსხვავებულ ამოცანას უყენებს — გულწრფელად ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან, კი არ უარყოს, არამედ მიიღოს სინამდვილე და აქტიურად მონაწილეობდეს ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მხოლოდ ხალხთან კავშირი, მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა გამოიყვანს ახლა მწერალს შემოქმედების ფართო გზაზე და გამსჭვალავს მის ნაწარმოებებს ეპოქის მოწინავე, პროგრესული იდეებით. ამიტომ სავსებით სამართლიანად წერდა რაჟდენ გვეტაძე: „დღეს დაზგის კაცებთან გვერდით დგომა, საწარმოო პროცესების გაცნობა და გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მწერალს მოეთხოვება არა მარტო იმიტომ, რომ ეს მისი მოქალაქეობრივი ვალია, არამედ იმიტომ უფრო, რომ მან შეძლოს განცდილის და ნახულის სწორად ასახვა, რომ გაიმსჭვალოს დამკვრელი მუშისა და კოლმეურნის სურვილებით. დროა საბჭოთა თვითეული მწერალი უშუალოდ ჩაებას სოციალისტურ მშენებლობაში და მისი გულითადი მონაწილე გახდეს.“[1]

მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებს, რომ ლიტერატურა და ხელოვნება სინამდვილის პასიური ასახვა, მჭვრეტელობა როდია. ასახავს რა ცხოვრებას, ლიტერატურა ამავე დროს ზეგავლენას ახდენს მის მიმდინარეობაზე და ამდენად გარდამქმნელ ძალასაც წარმოადგენს. მაგ-

---

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 25.

რამ მხატვრულ ნაწარმოებს მხოლოდ მაშინ ექნება ცხოვრების გარდამქმნელი ძალა, როცა იგი გამოხატავს საბჭოთა ხალხის მებრძოლ სულისკვეთებას, უდრეკ ნებისყოფას, ნათელ რწმენას, საბჭოთა სინამდვილეს, აწმყოსა და მომავალს. „საბჭოთა ლიტერატურის ძალა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისეთი ლიტერატურაა, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა.“[1]

ხელოვნებისა და ლიტერატურის აღმზრდელობითი დანიშნულების შესახებ უდიდესი თეორიული მნიშვნელობის მითითება მოგვცა ვ. ი. ლენინმა ცნობილ საუბარში კლარა ცეტკინასთან: „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, — ამბობდა დიდი ლენინი, — იგი თავისი ულრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულში უნდა მიდიოდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაგზნებდეს მათ.“[2]

მწერლობის საზოგადოებრივი როლის მაღალი შეფასება მოგვცა აგრეთვე დიდმა სტალინმა თავის კლასიკურ ფორმულაში: „მწერლები — ადამიანის სულის ინჟინრები არიან“. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს ჩვენი ლიტერატურის მაღალი იდეურობისა და პარტიულობის პრინციპი.

---

1 საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილება.

2 „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 223.

ლიტერატურის იდეურობა, მისი აუცილებელი ტენდენციურობა, მისი განუყრელი კავშირი ეპოქის პროგრესულ მამოძრავებელ იდეებთან წარმოადგენს სოციალისტური ესთეტიკის ერთ-ერთ ძირითად დებულებას.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა ურყევად ატარებს თანადროულობასთან, სოციალისტურ სინამდვილესთან მხატვრის, შემოქმედის განუყრელი კავშირის პრინციპს. საბჭოთა მწერლების ისტორიული უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უშუალო მოწმენი და მონაწილენი არიან ჩვენი ეპოქის შეუდარებლად დიდი საქმეებისა. საბჭოთა მწერლობას მოეთხოვება შუქურასავით გაუნათოს ხალხებს მომავლის გზა. „მწერალი არ შეიძლება უკან მისჩანჩალებდეს მოვლენებს, იგი ვალდებულია ხალხის მოწინავე რიგებში იყოს და უჩვენებდეს ხალხს მისი განვითარების გზას“.[1]

ხელმძღვანელობდა რა ამ პრინციპებით, ჯერ კიდევ 1931 წელს რაჟდენ გვეტაძე აღნიშნავდა მხატვრული ლიტერატურის ჩამორჩენილობას და მოითხოვდა მაღალიდეური და მხატვრულად გამართული ნაწარმოებების შექმნას: „უნდა ვაღიაროთ, — წერდა იგი, — რომ მწერლობა სამარცხვინოთ ჩამორჩა სოციალისტური მშენებლობის ტემპებს და ამის წინააღმდეგ ისეთივე ბრძოლაა საჭირო, როგორსაც აწარმოებენ დამკვრელი მუშები გარღვევების გამოსასწორებლად.“[2] ამ ნაკლო-

---

1 ა. ა. ჟდანოვის მოხსენება, ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ.

2 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 25.

ვანების გამოსწორებას, რ. გვეტაძის აზრით, მწერალი შეძლებს მაშინ, როცა იგი თავს დააღწევს კარჩაკეტილობას და წუწუნს, როცა თავის შემოქმედებაში კარს გაუღებს სინამდვილეს და დაინახავს როგორც მიღწევებს, ისე ნაკლოვანებებს.

რაჟდენ გვეტაძე სამართლიანად თვლიდა, რომ მწერლის ამოცანაა არა მარტო მიღწევები ასახოს, არამედ გაბედულად ამხილოს ნაკლოვანებები, ჩამორჩენილობა.

ნაკლის, ჩამორჩენილობის დაფარვა, მათდამი შემარიგებლური დამოკიდებულება ნიშნავს წყლის მიშვებას მტრის წისქვილზე: „ნურავის გაუკვირდება, — წერდა რაჟდენ გვეტაძე, — თუ ყოველი ფანდი და უხეში შეცდომა სასტიკად იქნება მხილებული. კლასთა ბრძოლის გამწვავების პირობებში ეს აუცილებელია და აქ დაზოგვა დანაშაულს უდრის. ქრისტიანული მოპყრობის და გულჩვილობის დრო საკმაოდ ხანგრძლივი იყო. ასე, რომ ახლა, ოქტომბრის რევოლუციის 14 წლის თავზე „არჩევან-არადანით“ თავის შექცევა აღარავის ეპატიება“.[1]

რაჟდენ გვეტაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, როგორც მასების აღზრდის, განვითარებისა და წინსვლის ბასრ იარაღს. ვისაც ნაკლის მხილების ეშინია, ვინც ერიდება ჯანსაღ კრიტიკას და თვითკრიტიკას, ის წინ ვერ წაიწევს, ვინც იბრძვის უკეთესის მოპოვებისათვის, ვინც საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას ეწევა, მას არც აშინებს ნაკლოვანე-

---

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 26.

ბების მხილება. საბჭოთა მწერალი, ისე როგორც ყველა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე, ვალდებულია ამხილოს ნაკლი, ამხილოს მანკიერი და მავნე ჩვენს ცხოვრებაში.

კრიტიკის გაჩაღება ლიტერატურაში, რ. გვეტაძის აზრით, მით უფრო საჭირო იყო ოცდაათიან წლებში, როცა გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებდა ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც, მართალია, ამ დროისათვის დაშლის პროცესში იმყოფებოდნენ, მაგრამ აქა-იქ მაინც აღინიშნებოდა მავნე იდეოლოგიური შეხედულებების გაპარების ცდა. ამის თაობაზე რაჟდენ გვეტაძე ამბობდა: „რა თქმა უნდა, მე არ მოვითხოვ ლიტერატურულ ზავს, არც იმას, რომ მარქსისტულ-ლენინურმა კრიტიკამ საბჭოთა მწერლებისადმი აწარმოოს თავზე ხელის მოსმის პოლიტიკა და შეცდომებზე თვალი დახუჭოს. პირიქით, კლასთა ბრძოლის გამწვავების პერიოდში, რასაც ამჟამად აქვს ადგილი, საჭიროა კრიტიკის კიდევ უფრო გამახვილება და მწერლის შემოქმედებაში ყოველ რეაქციონურ, ანტირევოლუციონურ, მავნე გადახრის დაუნდობლად გამოაშკარავება.“[1]

კრიტიკა უნდა იყოს საღი და მიზნად ისახავდეს ნაკლის გამოსწორებას. მხოლოდ ასეთი კრიტიკა აღწევს მიზანს და გვეხმარება ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, წინსვლაში. რ. გვეტაძის აზრით, ლიტერატურული კრიტიკის ამოცანა ის არის, რომ „მან კონკრეტული მხი-

---

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 29.

ლებით, მხატვრული ნაწარმოების კონკრეტული ანალიზით მწერალს აჩვენოს ჩადენილი შეცდომები და მოახლოებულ საფრთხისაგან თავის დაღწევის გზა.“[1]

ამასთან ლიტერატურული კრიტიკა ყურადღებას უნდა აქცევდეს მხატვრული ნაწარმოების როგორც იდეურ. ისე მხატვრულ მხარეს. „ნაწილობრივ კრიტიკის სისუსტით აიხსნება ის გარემოება,— შენიშნავს რ. გვეტაძე,— რომ ამ მხრივ მწერლების ნაწილში დღეს მიუტევებელ ზერელობას და სამწერლო კვალიფიკაციის დაქვეითების ხშირ შემთხვევას აქვს ადგილი“.[2]

სინამდვილის რევოლუციურად გაგებისა და გარდაქმნისათვის, ნაწარმოების იდეური და მხატვრული დონის ამაღლების მთავარ პირობად რაჟდენ გვეტაძე სამართლიანად მოითხოვს, რომ მწერალი ღრმად დაეუფლოს მარქსიზმ-ლენინიზმს, აღიჭურვოს მარქსისტულ-ლენინური თეორიით. თუ „არ იცნობ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ძირითად საყრდენებს,— წერდა რ. გვეტაძე,— ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი მერყეობა და მახინჯი გამოვლინებანი მწერლის აზროვნებაში ნოყიერ ნიადაგს პოულობენ.“[3]

ასეთია რაჟდენ გვეტაძის ნარკვევების კრებული „გადამწყვეტი წელი“. იგი, როგორც სწორად შენიშნავდა კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, მაჩვენებელი იყო „მწერლის ორგანიული დაახლოებისა სოციალისტური მშენებლობის პროცესებთან, მათი უშუალო შესწავ-

---

1 რ. გვეტაძე, „გადამწყვეტი წელი“, გვ. 30.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 27.

ლის და მათს ნიადაგზე ნაყოფიერი სოციალურად სასარგებლო ლიტერატურული მუშაობის გაშლის.“[1]

ამრიგად, 1925—1932 წლებში რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში დაისახა ახალი გენერალური ხაზი — ხალხთან მჭიდრო კავშირის, ხალხისადმი სამსახურის, საბჭოთა ხელისუფლებასთან გულწრფელი თანამშრომლობის ხაზი. როგორც მწერლის მსოფლმხედველობაში, ისე მის მხატვრულ მეთოდში მთავრდება ძირეული გარდაქმნა. თანადროულობა, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა, მათი გმირული ცხოვრება გახდა მწერლის ძირითადი და წამყვანი თემა. თანადროულობასთან მჭიდრო კავშირი ცხადად იგრძნობა იმ ნაწარმოებებშიც, რომლებიც წარსულს ასახავენ. მწერლის წინაშე გადაიშალა ცხოვრება მთელი თავისი მრავალფეროვნებითა და მიმზიდველობით, მისი უშრეტი შემოქმედებითი პათოსით. ძველი დეკადენტურ-ინდივიდუალისტური მოტივები ქრება, ადგილს უთმობს სიცოცხლის სიხარულით, შენების პათოსით აღსავსე ჯანსაღ მოტივებს. იდეურ გადახალისებას არ შეიძლება არ მოჰყოლოდა მხატვრული ოსტატობის დონის ამაღლებაც. ოცდაათიან წლებში რაჟდენ გვეტაძე სიტყვის ერთ-ერთი თვალსაჩინო ოსტატია, რომელსაც აქვს წერის საკუთარი, ინდივიდუალური სტილი.

---

1 ბ. ჟღენტი, „გადამწყვეტი წელი ქართულ ლიტერატურაში“, ჟ. „მნათობი“, № 1-2, 1932, გვ. 263.

* * *

ოცდაათიან წლებში რაჟდენ გვეტაძე მუშაობას იწყებს პროზაში. მისი პირველი ბელეტრისტული ნაწარმოები „თეო“ ცალკე წიგნად გამოვიდა 1930 წელს.[1]

„ამ მოთხრობით დაამტკიცა რაჟდენ გვეტაძემ თავის შემოქმედებაში მტკიცე გარდატეხა“,[2]—წერდა კრიტიკოსი ალ. სულავა. და მართლაც, ეს იყო ძირეული გარდატეხა რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში, რასაც ისევე, როგორც სხვა თანამგზავრი მწერლის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების გარდაქმნას, საფუძვლად ედო ძირეული გარდატეხა თვით ცხოვრებაში.

„სოციალიზმის პერიოდში შესვლა ძირფესვიანად აყენებდა ძველი იდეოლოგიის აღმოფხვრის საკითხს, სპობდა ყოველგვარ ანტიპროლეტარულ მსოფლმხედველობას. გამწვავებული კლასთა ბრძოლის შედეგად თანამგზავრებში ხდება დიფერენციაცია. მათი ერთი ნაწილი, უფრო სუსტი და არაჯანსაღი, წავიდა „მარჯვნივ“ — რეაქციისაკენ, მეორე კი — აქტიურად ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში და შემოქმედებითი პრაქტიკით დაამტკიცა, ან ყოველ შემთხვევაში სცადა დაემტკიცებია, მტკიცე მოკავშირეობა ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი“.[3]

---

1 „თეოს“ ბეჭდვა დაიწყო 1929 წ., ჟ. „მნათობში“ № 8-9, № 10, № 11-12.

2 ჟ. „მნათობი“, № 3. გვ. 241, 1931 წ.

3 შ. რადიანი, „თანამგზავრობა და მოკავშირეობა“, ჟ. „მნათობი“, 1932 წ., № 1-2, გვ. 195.

რ. გვეტაძე მწერალთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელიც გულწრფელად და მტკიცედ დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და თავისი მხატვრული შემოქმედების უმაღლეს მიზნად ხალხისა და სამშობლოს სამსახური დაისახა.

ხალხი, სამშობლო კი ლიტერატურისაგან, ისევე როგორც ხელოვნების ყველა დარგისაგან, მოითხოვდა მხატვრულ სახეებში მოეცა სინამდვილე თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით, განესაზღვრა მომავლის ტენდენციები, აესახა სოციალიზმის მშენებლის სრულყოფილი მხატვრული სახე, ემხილებინა ის ადამიანები, რომელთა შეგნებაში კიდევ ცოცხლობდა მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები. კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით მაშინ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანთა შეგნებაში ბურჟუაზიული გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას.

„ადამიანთა შეგნება თავის განვითარებაში ჩამორჩება მათ ეკონომიურ მდგომარეობას. ამიტომ ბურჟუაზიულ შეხედულებათა ნაშთები ადამიანთა თავებში რჩებიან და კიდევ დარჩებიან, თუმცა კაპიტალიზმი ეკონომიკაში უკვე ლიკვიდირებულია. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ კაპიტალისტური გარემოცვა, რომლის წინააღმდეგ თოფის წამალი ყოველთვის მშრა-

ლად უნდა გვქონდეს შენახული, ცდილობს გამოაცოცხლოს ეს ნაშთები და ხელი შეუწყოს მათ".[1]

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი მოითხოვდა და მოითხოვს, რომ მწერალმა თავის მხატვრულ ნაწარმოებში ასახოს ეპოქის სასიცოცხლო ინტერესები მუშათა კლასის — ამ ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასის იდეების შუქზე და გვიჩვენოს ამ იდეების ცხოვრებაში გამარჯვების დადებითი შედეგები. ამასთანავე მწერალმა უნდა ასახოს ექსპლოატატორული კლასის დაშლის პროცესი და მათი მოსპობის გარდუვალობა. ამ ამოცანის განხორციელება მწერალს არ შეუძლია ისე, თუ ღრმად არ დაეუფლა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს.

თავისი პირველი ბელეტრისტული თხზულებებით რაჟდენ გვეტაძე სოციალისტური რეალიზმის სათავეებთან იდგა. რა თქმა უნდა, ბურჟუაზიულ-დეკადენტური პოზიციებიდან სოციალისტური რეალიზმის პოზიციებზე გადასვლა ერთბაშად შეუძლებელი იყო. ვიდრე საბჭოთა მწერლის შემოქმედებით მეთოდს— სოციალისტურ რეალიზმს დაეუფლებოდა, რ. გვეტაძემ განვლო წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ამ წინააღმდეგობებმა თავი იჩინა მის პირველ ბელეტრისტულ თხზულებაშიც.

მოთხრობა „თეო" მოიცავს პერიოდს მსოფლიო ომიდან საბჭოების გამარჯვებამდე საქართველოში. ამრიგად, მწერალი ასახავს ეპოქის ისეთ მნიშვნელოვან

---

1 საკ. კპ (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 397, 1950 წ. გამოცემა.

სოციალურ მოვლენებს, როგორიცაა რეაქციის თარეში, თებერვლის რევოლუცია, მენშევიკების ბატონობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. ეპოქის ყველა ეს ძირითადი სოციალური მოვლენა გაშუქებულია საბჭოთა მწერლის თვალთახედვით. სხვადასხვა სოციალური ფენის, წოდებისა და კლასის წარმომადგენელი ნაჩვენებია თვითეულისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიით, ამასთან მწერალი ძირითადად მიჰყვება რეალისტურ ხაზს.

მოთხრობის მთავარ სიუჟეტურ ხაზს ქმნის მემამულე ყაფლან სუმბათაშვილის დაცემისა და განადგურების ისტორია, რასაც განსაზღვრავს ცხოვრების საზოგადოებრივი განვითარება.

იყო დრო, როცა თავად ყაფლან სუმბათაშვილს ბორჯომის ხეობის ნახევარი ეკუთვნოდა და, როგორც მებატონეს შეეფერებოდა, უშრომლად და ნებიერად ცხოვრობდა. მართალია, რუსეთში სწავლის დროს მას ჰქონდა ზოგიერთი კეთილშობილური ოცნება, მაგრამ ეს ოცნებანი საპნის ბუშტივით გაქრა. იგი „რუსეთიდან დაბრუნდა იმ იმედით, რომ სოფელს დახმარებოდა თავისი ცოდნით. მოეწყო კულტურული მეურნეობა და ამით წაექეზებინა გლეხები, რომლებიც ჯაფას უდოვლათოდ ეწეოდნენ, მაგრამ იმდენად ვრცელი იყო მისი მამული და ჭირნახული უხვი, რომ განზრახვა ნაადრევად მიიჩნია, ხოლო თინათინის შეუღლების შემდეგ მთლად დაავიწყდა წინათ ნაოცნებარი“.[1]

---

1 „თეო“, გვ. 11, ციტირებულია წიგნიდან რაჟდენ გვეტაძე, პროზა, 1946 წ.

ხალხის სასარგებლო საქმიანობის ნაცვლად ყაფლანმა ხელი მიჰყო ფუქსავატურ და მტაცებლურ ცხოვრებას. იგი ხშირად მართავდა წვეულებებს, ატარებდა აღვირახსნილ ცხოვრებას, თავშესაქცევად ხან ცხოველებზე და ხან ადამიანებზე ნადირობდა. თავგასული მებატონე გლეხებს ადამიანებად არც კი თვლიდა და მხეცურად ეპყრობოდა მათ.

ყაფლანის ეს ექსპლოატატორული, მხეცური ბუნება მშვენივრად გადმოგვცა მწერალმა ერთ-ერთ უაღრესად მამხილებელ ეპიზოდში: თეოს ნათლობის მეორე დღეს ყაფლანმა ნამდვილი ღრეობა მოაწყო მთაწმინდაზე, ქვიშხეთში. ღვინით გაგიჟდა თავადი, ხმალი იშიშვლა და ველად გაიჭრა. ნიშანში ამოიღო ჭრელი მოზვერი, დაჰკრა ხმალი კეფაზე და ცხოველი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, რომ თავი ძირს ეგდო. „თავადი უდიდეს სიხარულს გრძნობდა იმის გამო, რომ მკლავმა არ უმტყუნა და გასახედნავ მოზვერს ხმლის ერთი დარტყმით წაჰკვეთა თავი. მისი აზრით ეს ვაჟკაცობაზე მეტი იყო. ამიტომაც თავმომწონედ იდგა და იღიმებოდა“.[1] მებატონე იღიმებოდა, მაგრამ მოჯამაგირე გიორგას, რომელსაც ეს მოზვერი ეკუთვნოდა, როდი ეღიმებოდა. მას წარტაცეს სიხარული და იმედი. გაუგონარი უსამართლობით აღშფოთებულმა გიორგამ წალდი მოიმარჯვა და სცადა შური ეძია, მაგრამ თავადი მზად აღმოჩნდა და გიორგასაც თავი წააგდებინა — „ტანმა მა-

---

1 „თეო“, გვ. 11.

ინც, ინერციით განაგრძო მოძრაობა... თავი თვალებს კიდევ ახელდა".[1]

ყაფლანი გამონაკლისი როდია. ასეთივე მხეცური ინსტინქტები ამოძრავებდათ სხვა მებატონეებსაც. ყაფლანის მამას ყურღანს, აჭარის მფლობელ ეფენდი ხიმშიაშვილს და სხვ. მეფის თვითმპყრობელობა, მისი ბიუროკრატიული აპარატი კი მფარველობდა მათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ზემოაღწერილი შემთხვევის გამო ყაფლანი სასამართლოში დაიბარეს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ მისი „უდანაშაულობა" დაემტკიცებინათ. ასე იყო არა მარტო ქართლში, არამედ აჭარაშიც, საქართველოს სხვა კუთხეებშიც. მირზას თავგადასავალთან დაკავშირებით მწერალი განაზოგადებს აჭარელი გლეხების დუხჭირ, უუფლებო ცხოვრებას. შირზას მამა „ალი ბადრიძე წინათ ეფენდი ხიმშიაშვილს ედგა მოჯამაგირედ. ერთ წელიწადს ალის მკაცრმა ზამთარმა მთაში მოუსწრო და ჯოგი სანახევროდ გაუწყვიტა, რის გამოც ბეგმა მთლად წაართვა სოფელში რაც რამ ებადა. გამწარებულმა ალიმ ამის შემდეგ დაიწყო ხეტიალი. ჯერ ბათუმის ნავსადგურში მუშაობდა მტვირთველად, მერე თბილისში სცადა ბედი. აქ შემთხვევით გაეცნო მამუკას და წაჰყვა მცველად".[2] მემამულე-თავადები აუბედურებდნენ გლეხ ქალებს. მათს გარყვნილებას საზღვარი არ ჰქონდა. მწერალი გვაცნობს რამდენიმე ტიპურ მაგალითს. ყაფლანის მამამ ყურღანმა,

---

1 „თეო", გვ. 21.
2 იქვე, გვ. 26.

მაგალითად. გააუბედურა მოახლე ქალი თებრო. ასევე გაუბედურებას უპირებდა ყაფლანი მოახლე თუთიას, რომელიც შემთხვევით გადაურჩა გარყვნილ თავადს.

ყაფლან სუმბათაშვილის ცხოვრებაში რაიმე თვალსაჩინო ცვლილება არ მომხდარა არც მენშევიკთა ბატონობის პერიოდში. აკი ამიტომაც გასდია განდეგილ მენშევიკებს ყაფლანმა ბათუმამდე. მწერალი დამაჯერებლად გვიჩვენებს მენშევიზმის კონტრრევოლუციურ არსს, თუმცა არ იძლევა მენშევიკთა კონკრეტულ მხატვრულ სახეებს. იგი მენშევიკთა ბატონობის პერიოდის ზოგადი დახასიათებით კმაყოფილდება, მაგრამ იმდენად მახვილია ეს დახასიათება, რომ მკითხველს ნათელ წარმოდგენას აძლევს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა მენშევიკური საქართველო. ვის ინტერესებს იცავდნენ ქართველი ხალხის ეს უბოროტესი მტრები, კონტრრევოლუციის ნაძირალები.

აი, მენშევიკური თბილისი თავისი აღვირახსნილობით, კაფეებში ემიგრანტების ღრეობით, გვარდიელების პარპაშით მშვენივრად გამოხატავს მიკიტნური დემოკრატიის „სამოთხეს", სადაც ინტერვენტი ინგლისელები და დამფუძნებელი კრების მონაწილენი ერთმანეთს ღვინის სმაში ეჯიბრებიან. მშრომელი ხალხი კი „ტყავიდან ძვრებოდა, მუშებს სოფელში მიჰქონდათ რაც კი გააჩნდათ და ერთ ფუთ ხორბალზე ან სიმინდზე ცვლიდნენ... ხორბალი და ღვინო ისევ ბობოლებისა და შემამულეების ხელში იყო, რევოლუციას არაფერი დაუკლია მათთვის... ტყუილი გამოდგა ყაფლანის შიში.

მისი მყუდრო ცხოვრება ოდნავ არ შერყეულა".[1] ვისიც მას ეშინოდა, ვისაც ის მტრად თვლიდა, მისი მეგობარი აღმოჩნდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ მოუღო ბოლო ექსპლოატატორული კლასებისა და მათი დამქაშების თარეშს, რაც დამაჯერებლად ჩანს მოთხრობაში.

საბჭოთა სოფელმა ახლოსაც არ მიიკარა ნაბატონარი. ყაფლანი და თეო ისევ თბილისში წავიდნენ და სარდაფში დაბინავდნენ. ვინაიდან პატიოსანი შრომა არც ერთს არ სურდა, აქ მათ შიმშილითა და სიცივით სიკვდილი მოელოდათ, რომ „მხსნელად" ყასაბი ტიგრანა არ მოვლინებოდათ. ტიგრანა მათ ეკონომიურად ეხმარება, მაგრამ არა იმიტომ, რომ კეთილშობილური მიზანი ამოქმედებს, არამედ იმისათვის, რომ სურდა ლამაზი თეო ხასად გაეხადა. ყაფლანმა კარგად იცოდა ეს, მაგრამ საკუთარი კეთილდღეობისათვის შვილიც კი გასწირა.

ყასაბ ტიგრანასთან ყაფლანის დამოკიდებულებაში ჩანს ექსპლოატატორის ნამდვილი ბუნება, მხილებულია მისი ავაზაკური სახე და განწირულება. საბჭოთა სინამდვილეში ადგილი აღარ არის ყაფლანის მსგავსი ხორცმეტი ადამიანებისათვის. ისინი ნაკაცარები არიან. ყაფლანმა მათხოვრობა დაიწყო. შემდეგ ბედმა „გაუღიმა" და ბალდახინის გამყოლად მოეწყო მეკუბოვე როსტომოვთან, ყაფლანისეულ მამულში კი „დაარსდა უღარი-

1 „თეო", გვ. 57.

ბეს გლეხთა დიდი კოლექტივი. უფრო ადრე მისეულ სახლში გახსნეს კლუბი, სამკითხველო და ჭრა-კერვის სკოლა, ხოლო ქვედა სართულში მოაწყვეს კოოპერატივი. დანარჩენი საჯალაბო ხის სახლები სოფელმა გადასცა ულახლკაროებს."[1]

ასეთია ყაფლან სუმბათაშვილის ცხოვრების გზა. მწერალი რეალისტურად გვიჩვენებს ფეოდალური კლასის ისტორიულ განწირულებას, „მოგვითხრობს იმის შესახებ თუ ამ განახლების დიად ეპოქაში როგორის გარდუვალი განწირულებით დაქანებულა უფსკრულისაკენ რეაქციული სამყარო (პერსონიფიცირებული ყოფილი მემამულის ყაფლანის სახეში)".[2]

ცხოვრების პირობებმა განსაზღვრა ყაფლანის ფსიქოლოგია. ყაფლანი ტიპური თავადია. იგი აბუჩად იგდებს ხალხს. მას შეუძლია ხმლით კიდევ უფრო მაგრად წაკვეთოს თავი გლეხს, ვიდრე ცხოველს. იგი არ ინდობს არა მარტო მის წინააღმდეგ ამხედრებულ გიორგას, არამედ ყურმოჭრილ და ძაღლივით ერთგულ მსახურს ფიდოსაც კი. ყაფლანმა ცხენი არ გაიმეტა, რომ ფიდოსათვის ექიმი მოეყვანათ და მისი დაკრძალვის დღეს სანადიროდ წავიდა. მას ერთადერთი შვილის სიყვარული ჰქონდა, მაგრამ როცა გაუჭირდა, მზად იყო მისი სხეულით ევაჭრა. საგულისხმოა ისიც, რომ მიუხედავად სასტიკი მარცხისა, ყაფლანში შემორჩენილია ძველი პატივმოყვარეობა. იგი ტოვებს ის სახლს. მაგრამ მალე

---

1 „თეო", გვ. 98.

2 ბ. ჟღენტი, „რაჟდენ გვეტაძის მხატვრული პროზა", „მნათობი", № 10, 1947 წ., გვ. 110.

იძულებული ხდება ტიგრანას შემწეობა მიიღოს, რადგან არ შეუძლია რაიმე შექმნას ცხოვრებაში. არ უნდა და არც შეუძლია პატიოსნად იცხოვროს.

ყაფლანი იძულებულია ცხოვრების კიდევ ერთ მძიმე და უკანასკნელ დარტყმას შეურიგდეს. მისი თეო ნამოჯამაგირალ მირზაზე თხოვდება. „მეფეც რომ იყოს, არ მინდა ჩემი თეო ჩემსავე ნამოჯამაგირალს მივათხოვო“,[1]— გაცხარდა პირველად იგი, მაგრამ ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ ძალა მის ხელთ აღარ იყო, დათმო თავადური ამპარტავნობა, რომელიც სიახლეში და ხორცში ჰქონდა გამჯდარი.

ასე დააძაბუნა, ასე მოდრიკა ეს ზვიადი მემამულე ახალმა ცხოვრებამ.

„— მამული მქონდა, აღარ მაქვს, სახლში ვცხოვრობდი, ახლა ქოხი მენატრება, კაცი ვიყავი, მათხოვრად ვიქეცი...“[2],— ამბობს ყაფლანი.

ასეთი მკაცრი და სამართლიანი იყო ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული განაჩენი ექსპლოატატორული კლასების მიმართ. მწერლის გამარჯვება ის იყო, რომ მან ექსპლოატატორული კლასის ტიპური წარმომადგენლის ყაფლან სუმბათაშვილის ცხოვრება ტიპურ გარემოში დახატა. „თეოში“ მკაფიოდ და ნათლად ჩანს ძველი, რეაქციული სამყაროს განწირულება.

კიდევ უფრო საყურადღებოა „თეო“ იმით, რომ იგი გამსჭვალულია ახალი ქვეყნის, ახალი ცხოვრების

---

1 „თეო“, გვ. 95.
2 იქვე.

და მის შემოქმედ ადამიანთა ძლევამოსილების იდეით. ამასთან დაკავშირებით მწერალი ფართოდ, დამაჯერებლად გადმოგვცემს გლეხებისა და მემამულე-თავადების ინტერესთა წინააღმდეგობას, მათი ინტერესების შეუერიგებლობას. ის, რაც ერთისათვის წამალია, მეორისათვის საწამლავია. ეს კონტრასტის სახით განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს მოზვრის მკვლელობით. მოზვრის მოკვლა ყაფლანის სიამოვნება იყო, ხოლო გიორგასათვის — დაღუპვა. თავადის სიამოვნებას გარდუვლად თან ახლდა გლეხის მწუხარება. თავადი და გლეხი, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა, „ორი სხვადასხვა ქვეყანაა... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია...“[1]

სწორედ ინტერესების ამ შეუერიგებლობამ აღამართვინა გიორგას წალდი ბატონის წინააღმდეგ. მაგრამ იგი მარტო შეეცადა უსამართლობის აღმოფხვრას და დაიღუპა. გიორგა არ მონაწილეობდა რევოლუციურ ბრძოლაში, არაფერი იცოდა ამ ბრძოლის შესახებ. იგი გამსჭვალული იყო ილუზიით და ეგონა პატიოსანი შრომით გაიმარჯვებდა ცხოვრებაში. „თუ რამე გავაწყვე, მინდა ყანა გამოვართვა საღალოდ სუმბათაანთ და **ჩემი ჯანი ჩემსავე ოჯახს მოვახმარო.** სულ ხომ მოჯამაგირეობაში არ გავატარებ ჯეელობას“,[2]—ამბობს თანდილასთან საუბარში გიორგა. როცა მან დაინახა ამ ილუზიების მსხვრევა, აფეთქდა, გადაწყვიტა ერთს გაემართა ბრძოლა. ეს იყო გიორგას საბედისწერო შეცდომა. ყაფლანის

---

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. 11, 1950 წ., გვ. 313.
2 „თეო“, გვ. 16, (ხაზგასმა ჩემია — ნ. დ.).

გამარჯვება (თავს მოჰკვეთს გიორგას) შემთხვევითი კი არ არის, არამედ კანონზომიერი. ერთ ამბოხებულს არ შეუძლია ყაფლანის დამარცხება, ე. ი. ცხოვრების შეცვლა. გიორგას მოქმედება წვრილბურჟუაზიული კლასისათვის დამახასიათებელი წუთიერი აფეთქებაა, რასაც შემდეგ ცვლის მოდუნება, ბედთან შეგუება.

მეორე მხრივ, ეს ეპიზოდი საყურადღებოა იმითაც, რომ გვიჩვენებს წვრილი მეურნის ყოველგვარი ილუზიის განწირულებას კაპიტალიზმის პირობებში. პატიოსანი შრომით გლეხს არ შეეძლო გაეწალდა ცხოვრების ჯაგნარი და კმაყოფილებით ეცხოვრა მაშინაც კი, როცა თითქმის ბედნიერება ახლო იყო (გიორგამ სახლის მშენებლობა დაიწყო, საუღლე ხარი გამოზარდა, ურემი გააკეთა. საცოლეც არჩეული ჰყავდა, ერთი სიტყვით გლეხი კაცის ყველა სანატრელი უსრულდებოდა), იგი სრულიად „შემთხვევითმა“ მოვლენამ კვლავ შორს გადატყორცნა და ბედნიერების ცისფერი ჩიტი ისევ გაფრინდა. გიორგას დამარცხებით, მისი ილუზიების მსხვრევით მწერალი ხაზს უსვამს ყოველგვარი ინდივიდუალური ბრძოლის განწირულებას კაპიტალიზმის პირობებში.

გლეხისათვის ბედნიერება არ მოჰქონდა არც ფიდოს გზას. ფიდო ცდილობდა ბატონის გულის მოგებით გაემარჯვა ცხოვრებაში და თავის თანამოძმეთა ინტერესებს ფეხქვეშ თელავდა: „აქაო და მოურავი ვარო, ხულს გვხდიდა. მუდამ იმის ცდაში იყო, რა წაეგლიჯა

ჩვენთვის და ბატონისათვის შეეძინა",[1] საყვედურობ-დნენ გლეხები ფიდოზე. მიუხედავად ასეთი ერთგულებისა, ბედნიერი ვერც ფიდო გახდა. კიდევ მეტი — ბატონმა ცხენიც არ გაიმეტა ფიდოსათვის ექიმის მოსაყვანად და იგი „ძაღლივით გადაათრიეს".

ფიდო არა თუ რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობს. არამედ იბრძვის კიდეც მის წინააღმდეგ. რევოლუციის მონაწილე მირზასათვის ბატონი და მოურავი (ყაფლანი და ფიდო) ერთნაირად საშიშია. აკი გააფრთხილა თუთიამ თეო მირზას საიდუმლო მოღვაწეობის შესახებ მოურავს და ბატონს არაფერი გაეგოთ: „თქვენი ჭირიმე, ბატონს არ გადაცე, ფიდომაც არ გაიგოს. თორემ რაღაცას აუტეხს, მაინც გადაკიდებულია ჩასზე."[2]

ფიდო შეუგნებელია, კერძო საკუთრებით დაბრმავებული იგი თავისი კლასის წინააღმდეგ მიდის, თავისი კლასის ინტერესებს ღალატობს, სხვების ხარჯზე საკუთარი ბედნიერების მოპოვება სურს. ყველაფერი ეს ხდის მას იჭვიან, შურიან, წვრილმან და სულიერად ღატაკ ადამიანად, რაც, უპირველეს ყოვლისა, ჩანს მირზასთან მის დამოკიდებულებაში. მირზაში ფიდო თავის მეტოქეს ხედავს და ცდილობს გზიდან ჩამოიცილოს. „ვიცი, რაც გიძევს გულში, შე მურტალო. მამაშენის ხერხებს ხმარობ, რომ ჩემი ადგილი გეღირსოს. ფრთხილად, თორემ, თუ ფიდო ვყოფილვარ, მამაშენივით და-

---

1 „თეო", გვ. 48.
2 იქვე, გვ. 39.

გიბნელებ მზეს (მირზას მამა ბატონ ყურღანის მოურავი იყო და გლეხებმა მოჰკლეს—**ნ. დ.**). არა, კაცი დავბერებულვარ ამ ოჯახში და ახლა ვიღაც გადამთიელმა ღლაჰმა უნდა ამიკრას ბარგი? ვაი დედასა!"[1] — ბრაზობდა ფიდო. მაგრამ იგი სასტიკად ცდებოდა. მირზას სულ სხვა ინტერესი ჰქონდა. იგი მომავალი დიდი ბრძოლისათვის ემზადებოდა.

ასე დააწვრილმანა, დაიმონა, სულიერად გააღარიბა კერძო საკუთრების სიყვარულმა ფიდო და წაიყვანა იგი თავის თანამოძმეთა წინააღმდეგ. მწერალი გადაჭრით გმობს ფიდოს გზასაც და გვიჩვენებს მის სრულ უსაფუძვლობას.

ერთადერთ სწორ გზად მწერალს მიაჩნია მირზას მიერ არჩეული რევოლუციური ბრძოლის გზა, რომელსაც ერთადერთს მოაქვს ბედნიერება.

რევოლუციურ მოძრაობაში მირზა ჩააბა მეისრე თანდილამ, რომელმაც იგი ხაშურის ორგანიზაციის ფარულ კრებაზე წაიყვანა. „მირზამ აქ გაიგონა პირველად მარქსის სახელი და გაიგო, რომ თავისუფლებისათვის ბევრი მებრძოლი ციმბირში გადაესახლებინათ... ამ დღიდან მოკიდებული მირზა გამოიცვალა, თითქო გაიზარდა,— „მირზა მოკვდეს, თუ არ გაამართლოს იმედი",[2] — მტკიცედ გადაწყვიტა მან და აქტიურად ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

---

1 „თეო", გვ. 28.
2 იქვე, გვ. 34.

გარდა თანდილასი, სოფლად რევოლუციურ მუშაობას ეწევიან და რევოლუციურ იდეებს ავრცელებენ სხვა რკინიგზელი მუშები, მათ შორის ახალგაზრდა ზეინკალი გაიოზი და სხვ. ამით მწერალი ხაზს უსვამს მუშათა კლასის წამყვან როლს რევოლუციურ მოძრაობაში. მუშები იყვნენ რევოლუციის ჰეგემონი. საბუნაროდ, მუშა რევოლუციონერთა სახეები ნაწარმოებში მეტად მკრთალი და სქემატურია.

მოწინავე მუშების ხელმძღვანელობით მირზა აქტიურად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, ბეჯითად მოჰკიდა ხელი სწავლას. რეაქციის მძვინვარების პერიოდში, ხაშურის ორგანიზაციის დავალებით, იგი მოსახლეობაში ავრცელებდა პროკლამაციებს. „მისთვის ასეთი დავალება პირველი არ იყო და ამიტომ არც გაჰკვირებია, როცა პროკლამაციების დასტა გადასცეს.“[1]

ერთხელაც, როცა მსოფლიო ომში გაწვეულ თანშეზრდილებს აცილებდა, ხაშურის სადგურში სალამურზე „მარსელიოზა“ დაუკრა და პოლიცია ააფორიაქა. აი, როგორ გადმოგვცემს ამ ეპოზიდს მწერალი.

„სალამურმა ქვითინი დაიწყო. ჟრჟოლის მომგვრელმა ხმებმა მირზასთან ახალგაზრდები სწრაფად შეაჯგუფა...

სალამური ადამიანივით მოთქვამდა ომში წასულების დარდს, შინ დარჩენილთა მწუხარებას, ხალხის სიბეჩავეს და ვალალს... სალამური კიდევ ერთხელ ატირდა, უკანასკნელი გმინვა შიგ გულში ჩაძვრა. უეცრ-

1 „თეო“, გვ. 44.

რად უსასოო ხმები იმედიანმა თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწოდების ჰანგმა შეცვალა.

ხალხი შეიშმუშნა. სახეზე სიხარულის შუქმა გადაურბინათ. თანდათან თვალები აენთოთ.

სალამური ახლა აღარ გოდებდა, ის მღელვარე ხმით ეძახდა ჩაგრულებს მეფის ტახტის იავარსაყოფად. და ამ უჩვეულო ჰანგებში თითქოს წითელი დროშების შრიალიც ისმოდა".[1]

მირზამ აქტიური მონაწილეობა მიიღო თვითმპყრობელობის დახშობაში, საპყრობილედან რევოლუციონერთა განთავისუფლებაში.

„ვიღაცამ ნაგანი კბილებით დაიჭირა და ჭიშკარზე აცოცდა... მირზა ჭიშკარს თავზე მოექცა, ხელში მომარჯვებული რევოლვერით ციხის ეზოში გადახტა... გაისმა კლიტეების ჩხარუნი და ჭიშკარი ზემოწოლილმა ხალხმა სწრაფად შეაღო".[2]

კიდევ უფრო ფართო და სერიოზული ხასიათი მიიღო მირზას რევოლუციურმა მუშაობამ მენშევიკების ბატონობის წლებში. იგი პირნათლად ასრულებდა ბაქოს ბოლშევიკური კომიტეტის დავალებებს. მან იგემა ციხე, გადასახლება, ბევრი წვალება გამოიარა. მაგრამ ბოლოს მაინც გაიმარჯვა. ბედნიერებისაკენ, მაშასადამე, ერთადერთი გზა — შეუდრეკელი რევოლუციური ბრძოლის გზა მიდის.

---

1 „თეო", გვ. 43.
2 იქვე, გვ. 52.

„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღიდანვე პარტიამ მირზა აჭარაში გაგზავნა... მირზა ხელისუფლების სათავეში დგას და უკვე ლარიბთა უმწიკვლო ნდობა და სიყვარული მოიპოვა“[1],— გვამცნობს მწერალი და მოგვითხრობს მირზას პარტიულ საქმიანობასა და სოციალისტური სოფლის ზრდა-განვითარებაზე აჭარაში.

მირზა ახალი ტიპის ადამიანია. იგი დაიბადა და გამოიწრთო მკაცრ ბრძოლასა და შრომაში. მირზა ქედს კი არ იხრის, კი არ ეგუება, კი არ ემორჩილება ექსპლოატატორთა ბატონობას, არამედ დაუღალავად და თავდადებით იბრძვის სოციალური სინამდვილის გარდასაქმნელად ახალ, სამართლიან საფუძველზე.

მირზას მაგალითზე მწერალი გვიჩვენებს ახალი ცხოვრებისათვის თავდადებულ მებრძოლთა სულიერი სამყაროს გასაოცარ სიმდიდრეს. ფიდო ყოველ ნაბიჯზე მტრობდა მირზას, მირზამ კი „დიდი სამსახური გაუწია, ნამდვილ ჭირისუფალივით ᲛᲝᲣᲐᲠᲐ... რომ მირზა არა, მიწასაც არავინ აღირსებდა იმ საცოდავს!“[2]

რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობამ მირზას ხასიათი საბოლოოდ ჩამოაყალიბა, გააჯანსაღა და გააკაჟა იმის გამო, რომ იგი მჭიდროდ დაკავშირებულია მშრომელთა ფართო მასებთან და მათთან ერთად იბრძვის მტრის წინააღმდეგ. მისთვის უცხოა თავდაუჭერლობა, შურიანობა, წვრილმანი ეგოიზმი. მირზას ხასიათის

---

1 „თეო“, გვ. 86.
2 იქვე, გვ. 48.

სიმტკიცე კარგად ჩანს, მაგალითად, როცა იგი შეესწრო ყაფლანის თუთიასთან ბრძოლას (გაუპატიურების ცდა). რა თავდაჭერა გამოიჩინა მაშინ ახალგაზრდა მირზამ! ასე აკეთილშობილებს რევოლუციურ ბრძოლაში მონაწილეობა ადამიანს.

მირზას ხასიათში ყურადღებას იქცევს ისიც, რომ იგი არ არის მშრალი ადამიანი, ასკეტი, როგორადაც ხშირად ხატავენ თავისუფლებისათვის მებრძოლს. მას შეუძლია გატაცებით სიყვარული, თუმცა ეს გრძნობა მაინც დამორჩილებულია. მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა ამ გრძნობამ საზოგადოებრივზე და მაშინაც სანანებლად გაუხდა მირზას: „პარტია მენდო, პარტიის საქმეზე ჩამოვედი და მე—კი თეო ვეძებე. რა მომივიდა ეს, ეს რა ჩავიდინე!—ტუქსავდა თავს მირზა“.1

ახალი ადამიანის, საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, უპირველეს ყოვლისა, მკაფიოდ მოჩანს სამშობლოს საკეთილდღეო საზოგადოებრივ შრომაში, მის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „მირზა გაათმაგებული ენერგიით მუშაობდა:

აკეთებდა გზებს, ხიდეებს. ანაწილებდა მიწებს. მიყრუებულ სოფელში ააარსებდა საექიმო პუნქტებს. გაყავდა არხები. აწესრიგებდა საძოვრებისათვის ატეხილ დავას. ხალხს უნერგავდა სისხლისაღებისა და სხვა საადათო წესების მავნებლობას“.2

---

1 „თეო“, გვ. 62.
2 იქვე, გვ. 87.

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ ფართო გზაზე მირზა საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიყვანა. ასეთი სიჩქარეფით გამოდიან ცხოვრების მოწინავე ხაზზე ახალი ცხოვრების მშენებელნი და მესაჭენი. აშკარაა, რომ მწერლის სიმპათია ხალხისა და მისი წარმომადგენლის მირზას მხარეზეა.

რაც შეეხება თეოს მხატვრულ სახეს, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები მის სახელს ატარებს, მას უთუოდ აკლია ფსიქოლიგიური დამაჯერებლობა. უპირველეს ყოვლისა, ბუნდოვანია თეოს მსოფლმხედველობა. იგი ხან ხალხის მხარეზეა და მას თანაუგრძნობს, ხან კი ხალხისა და რევოლუციისადმი მტრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და არც ერთ შემთხვევაში მისი ასეთი ქცევა არ არის სათანადოდ მოტივირებული.

ბავშვობაში თეოს ახასიათებდა ერთგვარი დემოკრატიზმი. ნაცვლად თავადური ამპარტავნობისა და მიუკარებლობისა, თეო შინამოსამსახურეებთან მეგობრულ და კეთილ დამოკიდებულებას იჩენდა. თბილისიდან დაბრუნებული თეო „მამას გაექცა. მორიდებით შემოსული მოახლე ქალებიც სათითაოდ გადაკოცნა, ხოლო შინაკაცებს ალერსით ჩამოართვა ხელი და გულთბილად მოიკითხა“.[1]

თეო სიმპათიურად არის განწყობილი ხალხის საერთო, რევოლუციური საქმისადმი. როცა მან მოახლე თუთიასაგან გაიგო, რომ „მირზა სახელმწიფო სააუგო საქმეზე დადის, აკრძალულ კრებებსაც ესწრება,“[2]

1 „თეო“, გვ. 35.
2 იქვე, გვ. 40.

არა თუ არ შეიძულა ამისათვის, არამედ „უკვირდა, თან უხაროდა მირზაზე გაგონილი“.[1]

თვითმპყრობელობა დაემხო. მშრომელების სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. თეო იზიარებს ხალხის ამ დიდ სიხარულს. იგი ხალხთანაა: „კუნთებიან მუშების მჭექარე ხმებს თან ერთვოდა მოწაფე ახალგაზრდობის წკრიალა და დაუცხრომელი ყიჟინი. თეო მათ შორის იყო. ფრთები ესხა. ყინვისაგან ღაწვები დაწითლებოდა. თვალებიდან ცინცხლები ცვიოდა და სხვებთან ერთად გაჰკიოდა: „ციხეს რაად უნდა რკინის კარები“.[2]

ასე იქცეოდა თეო, მაგრამ გაუგებარია მისი დემოკრატიზმის გენეზისი. ისე გამოდის, თითქოს, იგი მირზასთან ერთად შეზრდამ აღმოაცენა. თუ ეს სწორია, დასაბუთება მაინც აკლია. ბევრი თავადი გაზრდილა გლეხის ოჯახში, მაგრამ დემოკრატი არ გამხდარა. მაშასადამე, საჭიროა რაღაც კიდევ სხვა მიზეზი, რაც ნაწარმოებში არა ჩანს.

მოულოდნელად მწერალი მკვეთრად ცვლის სიტუაციას. თეოს განწყობილება სხვა გზით, სხვა სახით მიიმართება. მენშევიკების ბატონობის ხანაში იგი ერთბაშად ხდება ქარაფშუტა: „მეგობრებს უკვირდათ თეოში მომხდარი ცვლილება, რაც თვითონ მას უჩვეულო სიამეს გვრიდა. სურვილი ჰქონდა, ყველა კაცი თავის წინ დაჩოქილი ენახა...“[3] კიდევ მეტი: თეო უკავშირდება

1 „თეო“, გვ. 40.
2 იქვე, გვ. 52.
3 იქვე, გვ. 64.

რეაქციის ბნელ ძალებს, მენშევიკ კედიას და მის საზოგადოებას, ეწევა მეშჩანურ ცხოვრებას. „თეო სხვად იქცა. უნივერსიტეტი აღარ უძებნია. ლექციებს გართობა არჩია...“[1] ამგვარმა ცხოვრებამ, ბუნებრივია, თეოში ყველა ჯანსაღი ტენდენცია მოსპო და იგი ხალხის ინტერესებს ჩამოაცილა. თეო უკვე თავისი კლასის პოზიციებიდან უცქერის რევოლუციას, რომლის თანდათანობითი გაძლიერება როგორც თეოს, ისე მისი კლასის „მყუდრო“ ცხოვრებას განადგურებას უქადდა.

„გაიმარჯვა მირზამ... თეომ იგრძნო, რომ მამამისი უძლური იყო. ყაფლანს არ შეეძლო მირზასათვის სამაგიერო გადაეხადა. „მე გავცემ პასუხს, — გაიფიქრა შურით აღსავსემ“.[2] მირზასადმი თეოს მტრული დამოკიდებულება ცხადია. ამასთან ეს მტრობა კანონზომიერია. მას კლასობრივი საფუძველი აქვს. თეო მემამულე-ექსპლოატატორული კლასის შვილია. რევოლუციის გამარჯვების შედეგად კი ამ კლასმა დაკნინება და სრული განადგურება განიცადა. თეო და ყაფლანი, ისე როგორც მთელი მათი კლასი, გარიყული აღმოჩნდნენ. ბუნებრივია, თეოსა და მირზას შორისაც უფსკრული გაითხარა. პირველი მიდიოდა და მეორე მოდიოდა. მაგრამ აი გზაჯვარედინზე ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვდნენ და სამუდამოდ დაკავშირდნენ. თეო, მამის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, ცოლად

---

1 „თეო“, გვ. 64.
2 იქვე, გვ. 67.

მიჰყვება მირზას — კლასობრივად და სოციალურად მისთვის უცხო პიროვნებას.

ისმება კითხვა: რამდენად გამართლებული და დამაჯერებელია თეოსა და მირზას ქორწინება? იქნებ სიყვარულმა დააკავშირა ისინი ერთმანეთთან, სიყვარულმა გადალახა წოდებრივი ზღუდეები და ამოავსო მათ შორის არსებული უფსკრული? ასეთ შემთხვევაში თეო წარმოგვიდგება მოწინავე, პროგრესულ ქალიშვილად, რომელიც ამაღლდა თავის კლასზე, გადალახა ვიწრო წოდებრივი ზღუდეები და მშრომელი ხალხის სასიცოცხლო იდეები იწამა და შეითვისა.

სამწუხაროდ, ასე არ არის. მწერალი ვერ ამართლებს, ვერ ასაბუთებს თეოს სიყვარულს. ნაწარმოებში არ ჩანს, რომ თეოს მირზა ნამდვილი, მტკიცე სიყვარულით უყვარდეს, მასთან აზრთა და გრძნობათა ერთიანობა აკავშირებდეს, რომ მათ ცხოვრების საერთო მიზანი და ინტერესები ჰქონდეთ. მართალია, თეო მირზათი გატაცებული იყო, მაგრამ ეს გატაცება უფრო ბავშვობის წლებს ეკუთვნის. შემდეგ, როცა თეო გაიზარდა და მისი აზრები ჩამოყალიბდა, მირზათი გატაცება თანდათან შენელდა და თითქოს გაქრა.

„ხანდახან, საწოლში ადრე გამოღვიძებული, დაფიქრდებოდა თავის ცხოვრებაზე, მომავალზე, ბედზე.

ასეთ შემთხვევაში მირზა უთუოდ უნდა გახსენებოდა. **სადღაც გულის კუნჭულში მდუღარება ჩნდებოდა, მაგრამ ეს იყო წუთით.**

მალე თეოს სიანჩხლე იპყრობდა:

რა დამრჩენია იმ უთვისტომოსთან. არ კმარა, რაც თავი ვაქელვინე უსახლკაროსა და მამაჩემის კარზე საბოწყალოდ აღზრდილს? როგორ აბუჩად ამიგდო! მე უსუსური, თვეობით ველოდებოდი მის ხილვას, მაგრამ ორი სიტყვაც არ მაღირსა. ფუ, ამაზე მეტი დამცირება წარმოუდგენელია, **მე და მირზა! ისიც ბოლშევიკი... სხვა რა უნდა ყოფილიყო — უჯიშო!"**[1]

საკმარისია მირზას ოდნავი წინააღმდეგობა, ოდნავი დაბრკოლება მათი სიყვარულის გზაზე, რომ თეოში თავს იჩენს წოდებრივი სიამაყე. თავის უპირატესობაში ღრმად დარწმუნებული თეო თავის თავს ტუქსავს მირზას „სიყვარულისათვის", იმ სისუსტისათვის, რომელიც მან მირზასთან ორჯერ შეხვედრის დროს გამოამჟღავნა.

თეოს არასოდეს სჯეროდა თავისი სიყვარულისა. „მიყვარს? არა, არც მიყვარს... მაგრამ არც მძულს..." რომ არ უყვარდა, რომ არ სწამდა ეს სიყვარული, იქედანაც ჩანს, რომ იგი დიდი გულმოდგინებით ცდილობდა სხვების მოხიბლვას, სწადდა მამაკაცები თავის წინაშე დაჩოქილი ენახა.

თეოსა და მირზას არა აქვთ საერთო მიზანი ცხოვრებაში. მირზა მოწოდებულია საერთო, სახალხო საქმის სამსახურისათვის და გულმოდგინედ იბრძვის პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა განხორციელებისათვის, ახალი, სოციალისტური ცხოვრების შექმნისათვის. თეოსთვის კი უცხოა ყოველივე ეს. ამას მოწმობს მისი ხასიათი. ასეთ შემთხვევაში როგორღა შექმნიან ისინი თანა-

---

[1] „თეო", გვ. 64-65. (ხაზგასმა ჩემია — ნ. დ.).

მედროვე კომუნისტურ ოჯახს? ცხადია, რომ მათი ინტერესები ერთმანეთს კვლავ შეეჯახება და, მაშასადამე, მირზასა და თეოს შეუღლებას პერსპექტივა არა აქვს. მწერალმა ვერ შეძლო ახალი ოჯახის შექმნის საფუძვლის დამაჯერებლად ჩვენება და ვერც კომუნისტური ოჯახის პრინციპულ თავისებურებებზე მიგვითითა.

კიდევ ერთი დეტალი: გათხოვების შემდეგ თეოს ერთბაშად გაუქრა მამის სიყვარული. იგი ერთხელაც არ დაინტერესებულა მამის ბედით, სად წავიდა, რას აკეთებს, მოკვდა თუ გადარჩა? ყველაფერი ეს ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას ართმევს მხატვრულ სახეს. ამგვარი გამოურკვეველი ხასიათის, შინაგანად ღატაკ ადამიანებზე მშვენივრად ამბობდა დიდი რუსი მწერალი გოგოლი — ვერ გაიგებ რა ხალხია, არც ბოგდანია ქალაქში და არც სელიფანი სოფელშიო.

ზოგიერთი მოქმედი პირი ნაწარმოებში იკარგება, როგორც, მაგალითად, თანდილა. იგი უთუოდ სიმპათიური მხატვრული სახეა, მაგრამ ვერ პოულობს განვითარებას. რა ბედი ეწია მას? რატომ გახდა მენშევიკი, რას აკეთებდა, სად იყო, რატომ დააყენა მწერალმა ეჭვის ქვეშ მისი იდეოლოგიური სახე? მკითხველს აინტერესებს თანდილას ბედი, პასუხს კი ვერ იღებს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, „თეოს“ ძირითადი კონფლიქტი—ბრძოლა ძველსა და ახალს შორის მოთხრობაში ასახულია რეალისტურად და მთავრდება ახლის — პროგრესული ძალების სრული გამარჯვებით.

„როგორც ვხედავთ, ნაწარმოები ღრმად არის გამსჭვალული ძველი, რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულების რწმენით, ახალი ქვეყნის, ახალი ცხოვრების და მის შემოქმედ ადამიანთა ძლევამოსილების იდეით. ამ იდეას მწერალმა ხორცი შეასხა ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან აღებული კონკრეტული ყოფითი მასალით“.1

დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, იმერეთის ერთი სოფლის — ძმუისის ყოფაცხოვრებითი მასალების განზოგადებას ახდენს მწერალი თავის მეორე ბელეტრისტულ ნაწარმოებში „ჭიაკოკონა“, რომელიც 1930 წლიდან იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ და ცალკე წიგნად გამოვიდა 1932 წელს.

ამ მოთხრობაში მწერალი ცდილობს მოგვცეს მე-19 საუკუნის ქართული სოფლის სურათი კონკრეტული, ტიპობრივი მასალების განზოგადებით. ამ ხერხს იყენებდნენ მე-19 საუკუნის ჩვენი კლასიკოსი მწერლები. შორს რომ არ წავიდეთ, გასული საუკუნის 90-იანი წლების კრიტიკული რეალიზმის შესანიშნავი წარმომადგენელი დავით კლდიაშვილი კაპიტალიზმის ეპოქის ქართული სოფლის სინამდვილეს საქართველოს ერთი კუთხის — იმერეთის ყოფაცხოვრებითი მასალების განზოგადებით ასახავდა, ე. ნინოშვილი — გურიისა და ა. შ. რაჟდენ გვეტაძე ამ შემთხვევაში სახელოვანი წინაპრების რეალისტურ სტილს მიჰყვება და იცავს.

---

1 ბ. ჟღენტი, „რაჟდენ გვეტაძის მხატვრული პროზა“, „მნათობი“ № 10, 1947 წ., გვ. 117.

ამბავი იწყება უბრალოდ:

„ირმას მამას — თეოფილეს დღე და ღამე გაერთიანებული ჰქონდა, მაგრამ ოჯახის რჩენა მაინც უჭირდა.

ხელისგულის ოდენა ვენახში არასოდეს მოუკრეფია ერთ საწნახელზე მეტი ყურძენი. დიდი ხნის წინათ გაშენებული, ნაცრისაგან დაკნინებული ზვარი კიმპლა-კიმპლა ისხამდა, ღვინო ყოველწელს მჟავე დგებოდა.

მიუხედავად ამისა, თეოფილეს დედას, ანუსის, ჭიაკოკონაზე ვენახის თავში ცეცხლის დანთებას ვერავინ მოასწრებდა“.1

ანუსიმ და ირმამ გააჩაღეს ჭიაკოკონა. პატარა ირმა ხალისით დარბოდა ცეცხლის ირგვლივ და ტრადიციულ არულს გაჰკიოდა. მის ხმაურზე ხოსროსა და კესოს (ბიძა, ბიცოლა) შურით აევსო გული. მათ შვილი არ ჰყავდათ: „რა შავქვათ მინდა ეს სიმდიდრე, თუ კაცი ვერ გაიგებს ჩემს არსებობას! ´ან ვის უნდა დავუტოვო ამდენი ქონება!“ — ამბობდა ხოსრო, რომლის „ახლადაგებული წაბლის ოთხთვალიანი მშვენიერი ოდა ბექობზე იდგა, საიდანაც ყველაფერი თვალნათლივ მოჩანდა“.2

ირმას ხმაურმა ქათმებიც დააფრთხო და კესოს ერთი დედალი ხიდან ძირს ჩამოვარდა. ამ შემთხვევის გამო რძლები — კესო და ეფროსინე ერთმანეთს წაეკიდნენ. მათ ჩხუბში მონაწილეობა მიიღეს ქმრებმაც — თეო-

---

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 101, ციტირებულია წიგნიდან რ. გვეტაძე, პროზა.

2 იქვე, გვ. 103.

ფილემ და ხოსრომ. ძმებმა კინაღამ ერთმანეთი დახოცეს. მეზობლებმა ძლივს გააშველეს ისინი.

„რას მოვესწარი ამას, ასე რავა უნდა შეჭამონ ერთმანეთი ძმებმა, ვის გაუგონია ამნაირი რამე!“[1] — კვნესოდა ანუსი, რომელსაც არა ერთხელ უნახავს შვილების სამკვდრო-საციცოცხლო ჩხუბი და თავი მობეზრებული ჰქონდა.

ასე უბრალოდ და საყოფაცხოვრებო ფონზე იშლება რაჟდენ გვეტაძის „ჭიაკოკონა“. ამ ეპიზოდში მკაფიოდ მოჩანს მოთხრობის ძირითადი კონფლიქტი — კლასობრივი ბრძოლა სოფლად. ძმების — თეოფილესა და ხოსროს უთანხმოებას ერთი შეხედვით თითქოს ოჯახური წვრილმანი ინტრიგები უდევს საფუძვლად. ნამდვილად კი მათ ურთიერთობაში თავს იჩენს წინააღმდეგობანი, რომლებიც სოფლის ბურჟუაზიასა და უღარიბეს გლეხობას შორის არსებობდა.

ცნობილია, რომ კაპიტალიზმის განვითარება სოფლად გლეხობის შეუჩერებელ დიფერენციაციას იწვევს. მისი ერთი ნაწილი მდიდრდება და ქმნის კულაკობას, მეორე ნაწილი კი უკიდურესად ღარიბდება. მისი მეურნეობა პარტახდება, ნადგურდება. კაპიტალიზმი განსაკუთრებით წვრილგლეხურ მეურნეობას აჩანაგებს. ხოსრო გლეხობის კულაკური ფენის წარმომადგენელია, რაც განსაზღვრავს მის მსოფლმხედველობას, ხასიათსა და ფსიქოლოგიას. კულაკ ხოსროსა და ღარიბ თეოფილეს შორის დიამეტრული სხვაობაა. „თქვენ

---

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 107.

არაფერში გეტყობათ ერთი დედ-მამის შვილობა, — ეუბნებიან გლეხები თეოფილეს. ხოსროს კი ასე ახასიათებენ, — ძაან მსუნაგი და ხარბი გახდა. მასეთი ბილწი კაცი მეორე არ დადის ოკრიბაში, წურბელასავით გვწოვს სისხლს.“[1]

ხოსრო ის ახალი ძალაა, რომელიც კაპიტალიზმმა წარმოშვა სოფლად. იგი კაპიტალისტური სოფლის ნამდვილი ბატონ-პატრონია. მას ხელთა აქვს ახალი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა — ფული. ხოსრო, ისე როგორც ე. ნინოშვილის დავით დროიძე, კაპიტალიზმის განსახიერებაა. მათ წინაშე ქედს იხრიან არა მარტო გლეხები, არამედ ძველი დროის ბატონები — თავადებიც. ეს მომენტი დიდი რეალისტური ძალით გააშუქა ჯერ კიდევ ნინოშვილმა, რომელმაც გვიჩვენა, რომ არწივაძეებისა და მკლავაძეების გვერდით ცხოვრებამ წარმოშვა ახალი ძალა — გლეხის ქოხიდან გამოსული, მაგრამ გამდიდრებული დროიძეები, რომლებიც გუშინდელი თანამოძმეების — ღარიბი გლეხების ულმობელი მჩაგვრელები ხდებიან. ისინი იმორჩილებენ ყველას, მხოლოდ ძალაძეებს არ სურთ შეურიგდნენ მათ ბატონობას და ამ ნიადაგზე ჩაღდება მძაფრი კლასობრივი ბრძოლა სოფლის ახალფეხადგმულ ბურჟუაზიასა და ღარიბ გლეხობას შორის. სწორედ ეს მომენტი — სოფლად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა უდევს საფუძვლად რაჟდენ გვეტაძის „ჭიაკოკონას“.

---

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 147.

როგორც აღვნიშნეთ, მოთხრობა იწყება ძმების მტრული განწყობილების ჩვენებით. „თეოფილესა და ხოსროს ბავშვობაშიაც არ ჰქონდათ ძმური განწყობილება.“[1] მშობლები განსაკუთრებით ხოსროს უფრთხილდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თეოფილე მასთან შედარებით გამრჯე და გულკეთილი ბავშვი იყო. ხოსრო ქუთაისში წაიყვანა მამამ ხელობის შესასწავლად. თეოფილე ოჯახში მომხმარედ დაიტოვეს. ასე გაიყო ჯერ კიდევ ბავშვობისას ძმების გზები.

ხოსრომ ქუთაისში მიკიტნობა დაიწყო. „მალე სამიკიტნო რესტორნად აქცია და საკმაოდ დაიგეშა — ყველა წრეში გაიჩინა ახლო ნაცნობები.“[2] ვაჭრობამ გაიტაცა ხოსრო და მალე ფულიანი კაცი გახდა. ქუთაისში „ააგო ეკლარის ნათალი ქვით და მარსელის კრამიტით დახურული ორსართულიანი სახლი.“[3] ხოსრო ხშირად ესტუმრებოდა დედ-მამას და მთელ სოფელს თვალი მასზე რჩებოდა; მდიდრულად მორთულ-მოკაზმული ხოსრო გლეხობის გაკვირვებას და აზნაურების შურს იწვევდა:

„შეხედე ერთი ამ მიქელას ბიჭს... ეს ჩვენი კუჭგამხმარი აზნაურები სულ არ დაჩრდილა?“[4] — ამბობდნენ მასზე ღარიბი გლეხები. თავისი მდგომარეობით ხოსრო ყველას ჩრდილავდა — გლეხსაც და აზნაურსაც. უსაფუძვლო არც გლეხების გაკვირვება იყო და არც

---

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 107.
2 იქვე, გვ. 118.
3 იქვე, გვ. 138.
4 იქვე, გვ. 121.

აზნაურების შურიანობა. გუშინდელი ბოგანო გლეხის გამდიდრება მართლა სასწაულს ჰგავდა. გამოჩენილმა მარქსისტმა რევოლუციონერმა ალ. წულუკიძემ ასეთ გამდიდრებულ გლეხს „ახალი დროის მერცხალი“ უწოდა. ლალიონის „ფირალი დავლაძის“ გამო დაწერილ კრიტიკულ წერილში „ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში“ იგი აღნიშნავდა: „ნიკო (გამდიდრებული გლეხი... — ნ. დ.) კაპიტალისტური წყობილების მომასწავებელია, იგი ახალი დროის მერცხალია.“[1]

ხოსრო კანლაძე (ლალიონის „ფირალი დავლაძე“), სამადაძე (დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვება“), დავით დროიძე (ე. ნინოშვილის „სიმონა“) და სხვ. წარმოიშვნენ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად და შექმნეს სოფლის ახალი სოციალური ფენა — გლეხური ბურჟუაზია, რომელიც ვ. ი. ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა: „გლეხურ ბურჟუაზიას უეჭველად უპირატესი ადგილი უჭირავს. ის თანამედროვე სოფლის ბატონია.“[2]

ხოსროც მთელ სოფელზე გაბატონდა: „ხოსრომ ჩარჩობასთან ერთად მევახშეობას მიჰყო ხელი. მალე სოფელი მუჭში მოიმწყვდია... ფულს ესესხებოდნენ შორეული სოფლებიდანაც. ოქროებს გარდა მას თამასუქები ზანდუკში დასტა-დასტა ეწყო... ბევრი მოსახლე დააჩაჩანაკა და აყარა მან, საუკეთესო ნოყიერი მიწები დაისაკუთრა...“[3]

---

1 ალ. წულუკიძე, თხზულებანი, გვ. 70.
2 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. მე-3, 191.
3 „ჭიაკოკონა“, გვ. 144-145.

ეკონომიურად ძლიერ და სიმდიდრით თავგასულ ხოსროს ადგილობრივი მთავრობაც ყოველგვარ ბნელ საქმეებში უწყობდა ხელს. „მამასახლისმა ექვთიმემ იცოდა, რასაც ჩადიოდა ხოსრო, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა."[1]—ხაზგასმით აღნიშნავს მწერალი.

ძველი (ფეოდალური ხანის — ნ. დ.). მებატონისაგან ხოსრო მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ხალხის ჩაგვრისა და დამონების იარაღად კაპიტალისტური ცხოვრების კერპს — ფულს იყენებს. „ფულითაა ქალბატონივით რომ ზიხარ, თორემ შენც სხვებივით იქნებოდი ჩითის კაბის მონატრული",[2] — ეტყოდა ხოლმე იგი ცოლს. ბურჟუაზიას არასოდეს არ ჰქონდა ადამიანის ღირსების რწმენა. იგი ადამიანად თვლიდა და თვლის კაპიტალისტურ კონკურენციაში გამარჯვებულ მდიდარს. „ფული გაქვს, კაცი ხარ, ფული არა გაქვს, ნაგავი ხარ". ბურჟუაზიული კლასის მორალური სიმახინჯე გამოხატულებას პოულობს ჯუნგლის კანონში — „ადამიანი ადამიანის მიმართ მგელია". ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნი ბატონობენ და მეორენი ემორჩილებიან. ძლიერი სპობს სუსტს, ხოლო ძლიერია ის, ვინც მდიდარია, ვისაც შეუძლია სინდისის უქენჯნელად მიმართოს ღალატს, გაიძვერობას, შანტაჟს, ჩაწიხლოს ყველა. ვინც კი გზად შეხვდება. ამის გამო ამბობენ გლეხები ხოსროზე: „მასეთი ბილწი კაცი მეორე არ დადის ოკრიბაში, წურბელასავით გვწოვს სისხლსო."

---

1 „ჭიაკოკონა", გვ. 144.
2 იქვე, გვ. 145.

ხოსრო უკიდურესი ინდივიდუალისტია. საკუთარ ბედნიერებას იგი აშენებს სხვა ადამიანების ხარჯზე. ხოსრო ებრძვის ყველას. მზად არის ყველა ჩაწიხლოს და მოსპოს, ოღონდ მოიპოვოს ვიწრო პირადული ბედნიერება: „თეოფილემ დროზე ვალი ვერ გადაუხადა, ხოსრომ ვალში დაწინდებული მისი ეზოს ნახევარი თავის ეზოს მიაკერა და ღობე ზედ სახლის ყურესთან გაუვლო ძმას“.[1] ხოსრო უსინდისოდ ატყუებს მშობლებს, ძარცვავს საკუთარ ძმას, ნათესავს, მოყვარეს, ერთი სიტყვით ყველას, ვინც კი გაშდიდრების გზაზე, ძარცვისა და ექსპლოატაციის გზაზე შეხვდება. ეს გზა ყაჩაღური, ბანდიტურია, მაგრამ ხოსროსათვის კანონზომიერია. იგი დამახასიათებელია ბურჟუაზიისათვის კერძოდ და ექსპლოატატორული კლასებისათვის საერთოდ.

ბუნებრივი და ისტორიული განვითარების აუცილებლობით გამოწვეული ფეოდალური მეურნეობის რღვევა და თავადაზნაურობის გაჩანაგება არაერთგზის ასახულა მე-19 საუკუნის რეალისტურ ქართულ მხატვრულ მწერლობაში. რაჟდენ გვეტაძე „ჭიაკოკონაში“ კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და „თეოსაგან“ განსხვავებით მოგვცა აზნაურთა გაღარიბებისა და დაკნინების კოლორიტული სურათები. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მწერალი ამ შემთხვევაში დამოუკიდებლობას ვერ ამჟღავნებს. მხედველობაში გვაქვს მსგავსება ლალიონის მოთხრობასთან „ეფემიას ოცნება“. ორივე მოთხრობა-

---

[1] „ჭიაკოკონა“, გვ. 145.

ში („ჰიაკოკონა“ და „ეფემიას ოცნება“) გამდიდრებული გლეხის „კუჭგამხმარი“ აზნაურის წინაშე უპირატესობისა და ამ უკანასკნელის გამდიდრებულ გლეხთა დამოყვრების გამომხატველი ეპიზოდები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ხოსრო და გიორგი ლიპარტიანი (ლალიონის „ეფემიას ოცნებიდან“) ერთნაირად „გადაპრანჭული“ მიდიან ეკლესიაზე ვითომდა წირვის მოსასმენად. ნამდვილად კი თავიანთი გალაღებული მდგომარეობის გამოსამზეურებლად. ეკლესიაში ორივე აზნაური ტრადიციულ ადგილს იკავებს და განსაკუთრებით გულუხვობს შესაწირავი ფულის გადახდისას, რითაც გლეხების გაკვირვებასა და გაღარიბებული აზნაურების შურიანობას იწვევს. მღვდელი, დიაკვანი, გლეხი და აზნაურიც დიდ მოკრძალებას ამჟღავნებენ „ფულიანი“ პიროვნებისადმი. ორივეს უმზითვობის გამო გაუთხოვარი, ხანგადასული აზნაურის ქალები მოეწონებათ — გიორგის — ეფემია, ხოსროს — კესო. პირველთ სახელი, წოდებრივი უპირატესობა აკლიათ და ამიტომ ისწრაფვიან დაუმოყვრდნენ აზნაურებს, აზნაურები კი გამდიდრებული გლეხისაგან შესუსტებული ლუკმის გაძლიერებას მოელიან. გლეხისა და აზნაურის დამოყვრების საფუძველი შიშველი ანგარებაა. ასეთია კაპიტალისტური ცხოვრების მკაცრი სინამდვილე.

გაღატაკებულმა აზნაურმა მირიან მხეიძემ ანგარებით მიათხოვა თავისი ქალიშვილი ხოსროს. ანგარებითვე დაიმოყვრა ხოსრომ მენშევიკური გვარდიის შტაბის უფროსი ოქროპირი და თავისი ბანაკი გააძლიერა. ამით

მწერალი ხაზს უსვამს იმ ფაქტს. რომ „ბურჟუაზიული ქორწინება უკვე დიდი ხანია გადაიქცა სავაჭრო საქმედ, ოჯახურმა ურთიერთობამ დიდი ხანია დაჰკარგა ინტიმიურობისა და გულახდილობის ხასიათი.“[1]

ხოსროს გარშემო თავს იყრიან რეაქციული ძალები, რომლებიც უპირისპირდებიან სოფლის ღარიბ მშრომელ მოსახლეობას.

„ჭიაკოკონაში“ ღარიბი მშრომელი გლეხების წარმომადგენლები არიან ხოსროს ძმა თეოფილე, როინ ზაუტაშვილი და თადეოზ მორჩაძე.

თეოფილე მშრომელი, მაგრამ ღარიბი გლეხია. იგი დღე და ღამე შრომობს, ოჯახის რჩენა კი მაინც უჭირს. ცხოვრების მწარე გამოცდილებამ თეოფილე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „მიწაში არაფერი ხეირია“ და „ძალე ტყიბულის მაღაროში დაიწყო მუშაობა“.[2] მაგრამ სიღარიბე მაინც ვერ მოიცილა. პირიქით, მაღაროში მუშაობისას ფეხი დაიშავა და „ფეხის მოკვეთის შემდეგ თეოფილეს კიდევ უფრო გაძნელებული ცხოვრება ჰქონდა“.[3]

თეოფილეს ცხოვრება ცხადად გვიჩვენებს, რომ შრომას კაპიტალიზმის პირობებში გლეხისათვის არ მოაქვს ცხოვრების არავითარი გაუმჯობესება. რამდენიც არ უნდა იშრომოს, წელებზე ფეხიც რომ დაიდგას, ვიდრე კაპიტალიზმი არსებობს, გლეხს არ შეუძლია თავი დააღწიოს სიღატაკესა და შიმშილს.

---

1 ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 77.
2 „ჭიაკოკონა“, გვ. 128.
3 იქვე, გვ. 181.

ცხოვრებამ თეოფილე აიძულა ღვიძლ ძმას დაპირისპირებოდა და ძმები ერთმანეთს გადაჰკიდა. მაშასადამე, არა პიროვნული, არამედ სოციალური მოტივი უდევს საფუძვლად მათ მტრობას, რომელიც უთუოდ გამოხატავს მწვავე კლასობრივ ბრძოლას კაპიტალისტური სოფლის სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის. მაგრამ, სამწუხაროდ, მოთხრობაში კონფლიქტი არ ვითარდება. მწერალი ვერ ახერხებს ბოლომდე სწორად გააშუქოს კლასობრივი ბრძოლა სოფლად. ცხოვრების კანონზომიერების შესაბამისად თეოფილესა და ხოსროს შორის წინააღმდეგობა სულ უფრო უნდა გაიზარდოს, გამწვავდეს და — ბოლოს, პროგრესული ძალის გამარჯვებით დამთავრდეს. რაკი მწერალი ვერ გაერკვა მოვლენის არსში, მოთხრობის სიუჟეტიც არაბუნებრივად წარმართა. თეოფილე და ხოსრო შერიგდნენ. ხოსრომ თეოფილეს ქალიშვილი ირმა მენშევიკ ოქროპირს მიათხოვა, რისი წინააღმდეგი არც თეოფილე იყო: „ბედნიერი გამყოფოთ, შვილებო, ღმერთმა“,[1] — მიულოცა სიძე-ქალიშვილს თეოფილემ.

თეოფილე არ არის მებრძოლი გლეხი. მის მსოფლმხედველობაში ჭარბობს წვრილბურჟუაზიული შეხედულებები. იგი მერყევია, ბედთან შერიგებული და ამის შედეგია, რომ რეაქციონერთა ბანაკისაკენ იხრება. სიღარიბისაგან თავდასაღწევ გზად თეოფილეს არ მიაჩნია ექსპლოატატორების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, იგი რაღაც „სხვა“ გამოსავალს ეძებს. ვა-

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 193.

ჟიშვილის გაჩენის მოლოდინით გახარებული და ოცნებაში გართული თეოფილე ფიქრობდა: „მიწიდან არაფერი ხეირია. რაც დრო გავა, უსწავლელი კაცისათვის ცხოვრება უფრო გაჭირდება. ან მღვდლად გავხდი (შვილს — ნ. დ.), ან სუდიად, ორივეს კაი გამორჩენა აქვს.“[1]

თეოფილესათვის საერთოდ უცნობია რევოლუციური ბრძოლის გზა. უკიდურესი საშუალება, რომლის გამოყენებასაც იგი ფიქრობს კლასობრივი მტრის წინააღმდეგ, ეს არის ბოიკოტის გამოცხადება: „ჩვენი ბრალია ცხვრებივით ჩავუცვინდით ხელში და ახლა როგორც მოეპრიანება, ისე გვკრეჭს. პირი უნდა შეკრას სოფელმა, რომ არც ჭირში და არც ლხინში არავინ გაეკაროს, არც ვინმემ გაიკაროს და მაშინ ვნახავთ, როგორ იფარფაშებს“,[2]—ამბობდა თეოფილე ხოსროს შესახებ.

თეოფილე არა თუ არ მონაწილეობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, არამედ უთანხმდება კიდეც რევოლუციის მტრებს, კერძოდ მენშევიკებს: „თეოფილე ხშირად თხოვდა მას (ოქროპირს — ნ. დ.), როგორც ტყიბულის მუშებში, ისე რამდენიმე ხნის წინათ დაარსებულ გლეხების წრეში **სახელმძღვანელო მოხსენებების** გაკეთებას.“[3] ჩანს იგი იზიარებს მენშევიკ ოქროპირის შეხედულებებს, მის მხარეზეა. წინააღმდეგ შემ-

---

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 111.
2 იქვე, გვ. 147-148.
3 იქვე, გვ. 153. (ხაზგასმა ჩემია. — ნ. დ.).

თხვევაში არ სთხოვდა **სახელმძღვანელო** მოხსენებები ჩაეტარებინა მუშებისა და გლეხების ფართო მასებში.

საგულისხმო ფაქტია. ეს ხდებოდა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინ, კლასობრივი ბრძოლის მძაფრი გამწვავების პერიოდში, როცა 1913 წლის 15 ივნისიდან 30 ივლისამდე — მთელი 45 დღის განმავლობაში ჭიათურის მაღაროებში გრანდიოზული გაფიცვები მიმდინარეობდა. მაღაროელთა ამ გაფიცვას შეუერთდნენ ზესტაფონის სატვირთო წარმოებისა და ფოთის ნავსადგურის მუშები. მოძრაობამ მთლიანად მოიცვა შავი ქვის წარმოება. მასში შვიდი ათასი მუშა მონაწილეობდა. ამავე დროს უკიდურესი სიღარიბე, შიმშილი, ეპიდემიები, აუტანელი გადასახადები და მოქალაქის უფლებების ფეხქვეშ გათელვა გლეხების უკმაყოფილებას კოლოსალურად ზრდიდა.

ითვალისწინებდა რა მასების მზარდ რევოლუციურ მოძრაობას, თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობითა და მითითებებით მუშებსა და გლეხებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, პირდაპირ უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერალი ზოგჯერ ვერ იძლევა სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების სწორ ანალიზს, კერძოდ, „ჭიაკოკონა“ სწორად ვერ აშუქებს გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიას. ეს ეხება თვითმპყრობელობის, განსაკუთრებით კი მენშევიკების ბატონობის პერიოდს.

მენშევიკების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან ცნობილია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში ჩვეულებრივი მოვლენა იყო შეიარაღებული აჯანყებები. ბოლშევიკების ხელმძღვანელობით გლეხები გამოდიოდნენ მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ. და ხშირ შემთხვევაში გამარჯვებასაც აღწევდნენ. ამის შესახებ პროფესორი გ. ხაჭაპურიძე წერს: „გლეხთა აჯანყებამ იფეთქა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში — ზუგდიდის, ლეჩხუმის, სენაკის, ქუთაისის, დუშეთისა და გორის მაზრებში. აჯანყებულმა გლეხებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით დუშეთის მაზრაში ბოლო მოუღეს მენშევიკური ხელისუფლების ორგანოებს, დაიკავეს საქართველოს სამხედრო გზა მცხეთიდან ვიდრე ყაზბეგამდე, გამოაცხადეს საბჭოების ხელისუფლება“.[1]

„ჭიაკოკონაში“ გლეხების რევოლუციურ მოძრაობას, მათს ბრძოლას მენშევიკური მოავრობის წინააღმდეგ შემთხვევითი და ვიწრო ბუნტარული ხასიათი აქვს. ყაჩაღების რაზმს, რომელსაც თადეოზ •მორჩაძე ხელმძღვანელობს, არავითარი პოლიტიკური მიზნები არ ჰქონდა. რაზმელებს შორის გამეფებულია შური, მტრობა და უდისციპლინობა. ყაჩაღების რაზმის უიდეობა, მთელი მათი საქმიანობის ავანტიურისტული ხასიათი და უდისციპლინობა მშვენივრად ჩანს ერთ-ერთი რაზმელის საყვედურიდან: „— ჩვენ რანი ვართ! ჩვენ ვინ რას

---

1 გ. ხაჭაპურიძე, •საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. გვ. 97, 1951 წ. (მეორე რუსული გამოცემა).

გვკითხავს, სითაც მოესურვება (ლაპარაკია მორჩაძეზე — **ნ. დ.**), იქით გვიკრავს თავს და მთელი რაზმის სიცოცხლე ჩირადაც არ უღირს... დავშიშვლდით და ჭადის ნატეხი გვენატრება... ყველაფერ სასახელოს თვითონ იმისებს და ჩვენ არც კი გვიცნობს ვინმე... სულ ნადირებად გვაქცია".[1] რაზმის „სასახელო" ბრძოლა ექსპლოატატორული კლასის წინააღმდეგ იმით გამოიხატება, რომ „მორჩაძე თავისი ამალით ხშირად შუაღამისას ეწვეოდა მას (ხოსროს — **ნ. დ.**) და ხარკს ართმევდა."[2] ხოსროც თავის მხრივ დაინტერესებული იყო თავიდან მოეცილებინა ყაჩაღი მორჩაძე და ადვილადაც მოახერხა ეს: მოისყიდა რაზმელი რაჟდენ ძოწენიძე და მოაკვლევინა რაზმის ხელმძღვანელი.

მორჩაძის რაზმი მოწყვეტილია ხალხის ფართო მასებს. მას არა აქვს კავშირი მუშათა კლასთან, ბოლშევიკების პარტიასთან. დაუჯერებელია მწერლის განცხადება, რომ „მორჩაძემ ქუთაისს თითქმის სავსებით მოსწყვიტა ოკრიბის მხარე და მალე ტყიბულის მაღაროსაც დაეუფლა."[3]

ვისი დავალებით მოქმედებდა? რა მიზანი ჰქონდა მორჩაძის რაზმის ბრძოლას? ეს გაურკვეველია. ცხადია, რომ მორჩაძეს და მის რაზმს განშათავისუფლებელ მოძრაობასთან საერთო არაფერი აქვთ.

თვითონ მორჩაძე უნებისყოფო და პირად გრძნობებს აყოლილი პიროვნებაა. როგორც კი გაიგო საცო-

---

1 „ჭიაკოკონა", გვ. 174
2 იქვე, გვ. 167.
3 იქვე, გვ. 172.

ლეს — ეკას სიკვდილი, მორჩაძე ამ უბედურებამ მოტეხა და დაიმორჩილა: „ამ დღიდან მოყოლებული მორჩაძე ხალისიანი აღარავის უნახავს“. კიდევ მეტი: მან ხელი აიღო ბრძოლაზე: „ის თითქოს ახლა მიხვდა თავისი ბრძოლის უმიზნობას და იმას, რომ ამაოდ დაეხეტება ამ ტყე-ღრეში, უბრალოდ ღვრის სისხლს და რომ მისი გულისათვის მთავრობა კიდევ უფრო ავიწროებს ხალხს.“[1]

საერთო-სახალხო მიზნებს მოკლებულია როინ ზაუტაშვილის ბრძოლაც ხოსროს წინააღმდეგ. მოსალოდნელი იყო კი პირიქით. მწერალი გვპირდება, რომ როინის ბრძოლა ფართო რევოლუციურ ხასიათს მიიღებს, როინი გახდება განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი შეგნებული მონაწილე, თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი.

ამ აზრს გვინერგავს როინის ოცნება. ირმამ როინს დაავალა მორჩაძისათვის ტანსაცმელი წაეღო. როინმა გადაწყვიტა ესარგებლა შემთხვევით, შეერთებოდა მორჩაძის რაზმს და ოცნებას მისცა თავი: „როინი თითქო უკუნეთში იყო, ვეღარაფერს არჩევდა. სადღაც შორს აშუქებდა ირმას მიერ დანთებული ჭიაკოკონა. რომელიც თანდათან ხანძარივით მძაფრდებოდა და შიგ შავწვერიანი თადეოზი იდგა. უეცრად შავწვერიანი კაცი გაქრა, მის მაგიერ ცეცხლის ალში **როინი გაეხვია. მაგრამ მას ცეცხლი არ ეკიდებოდა და ხანძარი მთელ ქვეყანას ანათებდა.“**[2]

---

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 175.
2 იქვე, გვ. 171. (ხაზგასმა ჩემია. — ნ. დ.).

როინის ეს ოცნება გამომდინარეობს სინამდვილის და ცხოვრების რეალური მონაცემებიდან, განაზოგადებს მათ, ხელს უწყობს პროგრესულ ტენდენციებს, წინ უბიძგებს განვითარებას და მომავალს ემსახურება. ასეთი ოცნება სასარგებლოა და აუცილებელიც. იგი ახასიათებს რევოლუციურ კლასს, თანმიმდევარ რევოლუციონერს და ეპოქის მოწინავე ადამიანს. ამგვარი სასარგებლო და აუცილებელი ოცნების შესახებ ფ. პისარევი წერდა: „ჩემს ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას... მას შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდეც მშრომელი ადამიანის ენერგია...“ პისარევის აზრით, ამგვარი ოცნების შესრულებას მხოლოდ მაშინ შესძლებს ადამიანი, „თუ კი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით უკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას ადარებს თავის საოცნებო კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსახორციელებლად“.[1]

შეძლო თუ არა როინმა თავისი ოცნების განხორციელება?

როინის ოცნება ოცნებადვე დარჩა. როგორც მორჩაძის, ისე როინის ბრძოლაც ექსპლოატატორული კლასის წინააღმდეგ ვიწროპიროვნული ხასიათისაა. მართალია, როინმა მოჰკლა ხოსრო, სახლ-კარიც გადაუწვა მას, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხოსრომ საყვარელი ირმა დააცილა, ოქროპირზე გაათხოვა. როინი შუ-

1 პისარევის ეს ციტატი დამოწმებული აქვს ვ. ი. ლენინს წიგნში „რა ვაკეთოთ?“, ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. მე-5, გვ. 619-650.

რისმაძიებელია: „მორჩაძეზე ნაკლები არ ვარ და შემიძლია მამის შეურაცხყოფისათვის შურიც ვიძიო“,[1] — ამ გადაწყვეტილებით შეუერთდა როინი მორჩაძის რაზმს. შემდეგ კი მისი შურისძიება გააძლიერა ხოსროს ჩარევამ ირმასა და ოქროპირის ქორწინებაში და როინმაც შური იძია: „იჭექა ბუჩქებში ჩასაფრებულ როინის თოფმა და... კესოს ფეხებთან ხოსრო უსულო დაეცა“.[2] ამით დამთავრდა როინის ბრძოლის მთელი ისტორია. ამრიგად, მწერალმა ვერც ამჯერად მოგვცა მებრძოლი რევოლუციონერი გლეხის მხატვრული სახე.

როინის ბრძოლის გზა ინდივიდუალური, ტერორისტული ბრძოლის გზაა. მოთხრობაში არ ჩანს როინის მონაწილეობა საერთო-სახალხო რევოლუციურ ბრძოლებში, რაც იმ ეპოქის დამახასიათებელი და ტიპობრივი მოვლენა იყო. როინი, ისე როგორც მორჩაძის რაზმი, მოწყვეტილია მასებს, კოლექტივის მხარდაჭერას, ამიტომაც მშიშარა და გაუბედავია. როინს არ შეუძლია გადალახოს დაბრკოლება, დაძლიოს წინააღმდეგობანი და იპოვოს სიძნელეებიდან გამოსასვლელი გზა. მართალია, როინმა ოქროპირს ირმა მოსტაცა და გვირაბს ზეაფარა თავი, მაგრამ შემდეგ როგორ მოიქცეს, აღარ იცის: „მოსალოდნელი საფრთხე როინს მთელი თავისი საშინელებით გამოეხატა ახლა თვალწინ... რა ვქნა. რა? — ამოიგმინა მან, სიმწარისაგან თითზე იკბინა.“[3] აქ

---

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 170.
2 იქვე, გვ. 209.
3 იქვე, გვ. 200.

აშკარად ჩანს როინის სისუსტე, უმწეობა, რაც უცხოა მებრძოლისათვის.

როინს რომ სცოდნოდა — არის მხოლოდ ერთი ბედნიერება — საერთო-სახალხო ბედნიერება, პირადი ბედნიერება კი მისი ნაწილია, მაშინ იგი მთელ თავის ძალასა და ენერგიას მოახმარდა საერთო-სახალხო საქმეს — განმათავისუფლებელ ბრძოლას და არა კოლექტივისაგან მოწყვეტილი პირადი ბედნიერების შექმნას. როინმა თავისი პირადი ბედნიერება მოსწყვიტა მთელი ხალხის ინტერესებს, ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას, ამიტომაც ვერ იპოვა გზა და სასტიკად დამარცხდა. ირმასა და როინის გზა სამუდამოდ გაიყარა. ეს გაყრა ბუნებრივია. მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია გამოსჭედოს თავისი პირადი ბედნიერება, ვინც ხალხის კეთილდღეობისათვის იბრძვის და პირველ რიგში საერთო-სახალხო ბედნიერების მოპოვებას ცდილობს. ეს იცოდა ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის ეპოქის გლეხმა ტარიელ გოლუამ: „გახსოვდეს ლევან,— არიგებს ტარიელი შვილს,— საზოგადო საქმე უანგაროდ და წმინდად უნდა კეთდებოდეს. კერძო ინტერესი — სიყვარულიც რომ იყოს — შიგ არ უნდა გარიო!.. საჭიროა პირადი ბედნიერება საზოგადო თანაგრძნობაზე იყოს დამყარებული, თორემ ბედნიერება — ბედნიერება არ იქნება.“[1]

როინი არ არის თავისი ეპოქის რევოლუციურად განწყობილი გლეხობის წარმომადგენელი. იგი ჩამორჩენილი, ვიწრო პიროვნულ გრძნობებს დამორჩილებუ-

1 ლეო ქიაჩელი, „ტარიელ გოლუა“, 1944 წ., გვ. 37.

ლი გლეხია. ასეთივეა თადეოზ მორჩაძე და თეოფილე. ამ უკანასკნელთაგან როინი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ციხეში ყოფნისას ბოლშევიკებისაგან გაიგო: „სიყვარულზე უფრო ძვირფასი სურვილი ეს იყო ბრძოლა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, ბრძოლა უკეთესი მერმისისათვის“.[1] აქედან როინმა თითქოს გარკვეული დასკვნაც გამოიტანა: „ვიდრე ოქროპირები განაგებენ ჩვენს ბედს, შეუძლებელია თავისუფლად ისუნთქოს ადამიანმა. ჯერ საჭიროა მათი მოსპობა.“[2] მაგრამ ეს აზრი დარჩა აზრად თავისთავად. მოთხრობაში აღარ ჩანს როინის ბრძოლა ექსპლოატატორული კლასის წინააღმდეგ, რაც მწერალს უნდა მოეცა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის საერთო რევოლუციური ბრძოლის ფონზე. როინი ჩაუსაფრდა ხოსროს და მოჰკლა. ერთი ხოსროს სიკვდილი, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ხოსროების მოსპობას, ცხოვრების რადიკალურად შეცვლას. რაც შეეხება „ოქროპირებს“ (ოქროპირი მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელია. — **ნ. დ.**), მათ წინააღმდეგ ხალხის ბრძოლას მოთხრობა თითქმის სრულებით არ ასახავს. მწერალი რატომღაც გვერდს უვლის ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს ჩვენი ისტორიიდან, როგორიც არის ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის ბრძოლა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ 1917—1921 წლებში. ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი მოვლენებისა გაშუქებულია არა მიზეზ-შედეგობრივ

1 „ჭიაკოკონა“. გვ. 201.
2 იქვე.

კავშირში, არამედ ცალმხრივად, მინიშნებულია მხოლოდ შედეგები. მაგალითად, მოთხრობაში ვრცლად არის აღწერილი მენშევიკური გვარდიის შტაბის უფროსის ოქროპირის მზადება ბოლშევიკების წინააღმდეგ. შემდეგ თბილისიდან ლტოლვილი მენშევიკური მთავრობის ქუთაისში ჩასვლა და ადგილობრივი მენშევიკური მთავრობისაგან „საპატიო“ სტუმრების მიღება-მასპინძლობა. ბოლო: მენშევიკებისაგან ქუთაისის დატოვება და გაქცევის თადარიგი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი ეს თავისთავად ხდებოდა, რაკი არ ჩანს ის წინააღმდეგობა და ბრძოლა, რამაც მენშევიკები აიძულა გაქცეულიყვნენ. ერთი სიტყვით, მწერალმა ვერ გვიჩვენა ბოლშევიკების ხელმძღვანელი როლი ქართველი ხალხის ბრძოლაში საზიზღარი მენშევიკების წინააღმდეგ.

მოთხრობაში არც ერთი ბოლშევიკი არ მონაწილეობს. მწერალი იმით კმაყოფილდება, რომ ბოლშევიკების ბრძოლის შესახებ მთელი მოთხრობის მანძილზე ორჯერ თუ სამჯერ ძუნწ ცნობას გვაწვდის. ერთხელ ნათქვამია: როინმა მოიგონა „ციხეში ტუსაღი ბოლშევიკებისაგან გულში ჩანერგილი სიტყვები“.[1] მეორე შემთხვევა: ოქროპირმა თბილისიდან მიიღო დეპეშა „ბოლშევიკები აჯანყებისათვის ემზადებიან“.[2] ბოლშევიკებისა და მშრომელი ხალხის თავგანწირული ბრძოლა მენშევიკების წინააღმდეგ კი გადმოცემულია ერთი წინადადებით: „აჯანყებამ იფეთქა რაჭა-ლეჩხუმში, ოკრი-

1 „ჭიაკოკონა“, გვ. 201.
2 იქვე, გვ. 219.

ბაში, საჩხერეში, სენაკში, ხონში...“[1] ასევე ზერელედ, მოთხრობის ეპილოგში, მწერალი ინფორმაციის სახით გვაწვდის ცნობებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განახლებულ სოციალისტურ ეპოქაში ნაწარმოების მოქმედ პირთა შემდგომი ცხოვრების შესახებ: „ზაუტაშვილი რიონჰესის დირექტორია.“[2] ოქროპირი მენშევიკებთან ერთად გაიქცა საქართველოდან და სხვ.

მართალია, „ჭიაკოკონაში“ მწერალი მიზნად არ ისახავდა მოეცა საბჭოთა სინამდვილის მხატვრული სურათი, მაგრამ მოთხრობის ძირითადი კონფლიქტი — წინააღმდეგობანი სოფლის სხვადასხვა სოციალურ ფენათა შორის უნდა განვითარებულიყო კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ვითარებაში. მწერალს უნდა ეჩვენებინა პროგრესული და რეაქციული ძალების ჭიდილი და ამ უკანასკნელის დამარცხება. ეს, რა თქმა უნდა, მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მწერალი ბოლომდე გაჰყვებოდა რეალისტურ გზას. მაგრამ ეს, სამწუხაროდ, არ მოხდა. მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში კონფლიქტი თითქოს იზრდება, მაგრამ შემდეგ გამწვავების ნაცვლად, წინააღმდეგ ცხოვრების კანონზომიერებისა, ნელ-ნელა ქრება. რევოლუციური გლეხების ნაცვლად მწერალი ქმნის წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის მატარებელი გლეხების მხატვრულ სახეებს, ხოლო ფართო სახალხო მოძრაობის ნაცვლად გვიჩვენებს პიროვნულ შეტაკებებს რეაქციის ძალების ცალკეულ წარმომადგენლებთან. ხოსრო მოჰკლეს, ოქროპირი გაი-

1 „ჭიაკოკონა“. გვ. 223.
2 იქვე, გვ. 231.

ქცა, მაგრამ განა ეს საკმარისია იმისათვის, რომ გადმოსცე თვითმპყრობელობისა და მენშევიკების წინააღმდეგ მუშათა კლასთან ერთად მშრომელი გლეხების თავგანწირული რევოლუციური ბრძოლის სიდიადე? არც თეოფილე, თადეოზი და როინი შეიძლება ჩაითვალონ რევოლუციამდელი გლეხების ტიპობრივ წარმომადგენლებად, რადგან ისინი ვერც მსოფლმხედველობით და ვერც პრაქტიკული საქმიანობით ვერ გამოხატავენ რევოლუციური გლეხობის სასიცოცხლო ინტერესებს. ტიპობრივია ის, როგორც გ. მალენკოვი ამბობს, „რაც ყველაზე მეტი სისრულითა და სიმახვილით გამოხატავს მოცემული სოციალური ძალის არსს.“[1]

ამიტომ ვერ დავეთანხმებით ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში აღიარებულ აზრს თითქოს „თეოფილეს ოჯახთან დაკავშირებული არიან **მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილები** თადეოზ მორჩაძე, როინ ზაუტაშვილი, ბოჩი გვეტაძე და სხვ.“[2] თეოფილე, თადეოზი, როინი და სხვ., მართალია, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოვიდნენ, მაგრამ ვერ ამაღლდნენ ეპოქის მოწინავე იდეებამდე და ამიტომაც ვერ გამოხატავენ ხალხის ინტერესებს. მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილები — ესენი არიან ეპოქის შეგნებული, მოწინავე, პროგრესული ადამიანები, ხალხის სისხლი სისხლთაგანი

---

1 გ. მალენკოვი, „საანგარიშო მოხსენება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“, 1953 წ., გვ. 89.

2 ბ. ჟღენტი, „რაუდენ გვეტაძის პროზა“, ჟ. „მნათობი“, № 10, 1947 წ., გვ. 103, (ხაზგასმა ჩემია. — ნ. დ.).

და ხორცი ხორცთაგანი. თეოფილე, თადეოზი, როინი კი თავიანთი ჩამორჩენილი მსოფლმხედველობით, პატარა მიზნებითა და მათი შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობით ვერ გამოხატავენ ხალხის ინტერესებსა და მისწრაფებებს და ვერც მე-20 საუკუნის ოციანი წლების მის სამაგალითო ბრძოლებს.

მართებულად არ მიგვაჩნია აგრეთვე აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს „ჭიაკოკონაში" ფართოდ იყოს ასახული „მენშევიკური დიქტატურის დასამხობად ჩვენი ხალხის მიერ წარმოებული თავდადებული ბრძოლა..."[1] მოთხრობაში არ არიან ნამდვილი რევოლუციონერები და არც რევოლუციური ბრძოლა შეიძლებოდა ყოფილიყო. „ჭიაკოკონას" ძირითადი ნაკლი სწორედ ის არის, რომ მწერალმა სრულად ვერ გვიჩვენა ეპოქის პროგრესული ძალები და ვერ ასახა მათი რევოლუციური ბრძოლები. მოთხრობის ამ ნაკლს თვითონ მწერალიც აღიარებს. მოთხრობის ეპილოგში რაჟდენ გვეტაძე წერს: „ჭიაკოკონაში" ვერაა პოლიტიკური მოვლენები სათანადოდ გაშუქებულიო."[2]

მწერლის ეს გულწრფელი განცხადება ჩვენ ასე გვესმის: მართალია, „ჭიაკოკონაში" მორჩაძე და მისი რაზმი სტიქიური პარტიზანები, მენშევიკური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლები არიან, მაგრამ მათი ბრძოლის მიზანი ნათლად არ ჩანს. სოციალური და პოლიტიკური ბრძოლების ნაცვლად მწერალი ყურადღებას ამახვილებს მორჩაძის რომანტიკულ თავგადა-

1 ბ. ჟღენტი, „რაჟდენ გვეტაძის პროზა", ჟ. „მნათობი", № 10, 1947 წ., გვ. 103.
2 „ჭიაკოკონა", გვ. 235.

საკალზე. შეიძლებოდა თუ არა მორჩაძის რაზმის ბრძოლა რ. გვეტაძეს ბოლშევიზმთან დაეკავშირებინა და ეჩვენებინა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ მშრომელი ხალხის ბრძოლას ისტორიული აუცილებლობა იწვევდა, ისე როგორც ეს ნაჩვენები აქვს ლ. ქიაჩელს „ტარიელ გოლუაში“, მით უმეტეს, რომ 1913—1915 წლებში ხალხის ბრძოლას ჰქონდა მკაფიო პოლიტიკური მიზანი, გამსჭვალული იყო მომავლის რწმენით და მის რევოლუციურ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ორგანიზებული მუშათა კლასი, სახელოვანი კომუნისტური პარტია, არათუ შეიძლებოდა, არამედ სწორედ ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ რაკდენ გვეტაძემ ეს ღირსშესანიშნავი მოვლენები ზერელედ დახატა და უპირატესობა რომანტიკულ მომენტს მისცა, რამაც შეანელა ნაწარმოების ზემოქმედების ძალა, მისი სოციალური ჟღერადობა.

რ. გვეტაძის „თეო“ და „ჭიაკოკონა“ როგორც თემატიკით, ისე იდეური მიზანდასახულობით დიდად უახლოვდება ერთმანეთს. ორივე მოთხრობაში მწერალი ყურადღებას ამახვილებს ექსპლოატატორული კლასების განწირულებაზე, ამ კლასების ტიპობრივი წარმომადგენლების (თავადი ყაფლანი, კულაკი ხოსრო და სხვ.) ცხოვრება და ფსიქოლოგია გაშუქებულია ტიპობრივ გარემოში და დიდი მხატვრული დამაჯერებლობით. ამ შემთხვევაში მწერალი მიჰყვება ენგელსის მითითებას იმის შესახებ, რომ აუცილებელია ტიპობრივი ხასიათების ტიპობრივ გარემოში ჩვენება.

საღი რეალიზმი, სოციალური მოვლენების მძაფრი ასახვა რაჟდენ გვეტაძემ საგრძნობლად შეანელა მომდევნო ნაწარმოებში „ლაშაური საღამოები“, რომლის ბეჭდვა დაიწყო 1935 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 4, № 5, № 6, № 7-8, № 9 და № 10) და ცალკე წიგნად გამოვიდა 1936 წელს (გამომცემლობა „ფედერაცია“, თბილისი).

ახალი მოთხრობის თემად მწერალმა აიღო საბჭოთა ეპოქა და მიზნად დაისახა საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხატვრული ასახვა.

„ლაშაური საღამოების“ ძირითად სიუჟეტურ ხაზს ქმნის „უცნობი ქალის დღიური“, რომელშიც მოთხრობილია ზეინაბის თავგადასავალი. ამავე დროს მოთხრობაში აღწერილია პოეტების სერობა; მეგობრები იკრიბებიან ერთად და ერთმანეთს უამბობენ სხვადასხვა თავგადასავალსა და შემთხვევებს, რაც წარმოდგენილია დამოუკიდებელი ნოველების სახით.

მთავარი მოქმედი პირი ზეინაბი ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტია. მთელი მისი საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ მოთხრობაში ნათქვამია: „მეგობრები გაოცებულნი დარჩნენ, როცა გაიგეს, რომ ის ინჟინერია და უკვე რამდენიმე წელიწადი იქნება, რაც რიონჰესის მშენებლობაზე მუშაობს.

მერე და როგორი სიყვარულით და ექსტაზით ყვება ამ სადგურის აგების ეპიზოდებს, რა ხატოვანი სიტყვებით აგვიწერს მომავალი ქუთაისის გარემოს!“[1]

---

1 „ლაშაური საღამოები“, გვ. 245. ციტირებულია წიგნიდან, „რაჟდენ გვეტაძის პროზა“.

როგორც ვხედავთ, მწერალი ზეინაბის საქმიანობას კი არ გვიჩვენებს, არამედ რეპორტიორის სტილით გვაუწყებს ამის შესახებ, რაც სრულიად ვერ შველის საქმეს, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ შეიქმნას დამაჯერებელი მხატვრული სახე.

თუ ზეინაბი მართლაც ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელი ქალია, მას უნდა ჰქონდეს შესატყვისი თვისებებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს თვისებები ზეინაბს ნაკლებად გააჩნია. ზეინაბმა გამოიარა ცხოვრების საბედისწერო გზა, გაჭირვება, შეურაცხყოფა, ტანჯვა, ბოლოს სწავლაც მიიღო, მაგრამ ამ მძიმე გზაზე თვითმკვლელობის განზრახვას მაინც ვერ აცდა. ზეინაბმა სცადა თავი მოეკლა, მაგრამ ამხანაგმა გადაარჩინა, თუმცა ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ სამუდამოდ დააჩინა კვალი მის სულს. ზეინაბი არ არის მებრძოლი, მტკიცე ნებისყოფის ქალი, შეუპოვარი თავისი მიზნის განხორციელებისათვის ბრძოლაში. მართალია, იგი დამოუკიდებელი ადამიანი გახდა, ისწავლა, შეიძინა სპეციალობა და შეუძლია თავისი შრომით იცხოვროს, იყოს ბედნიერი, მაგრამ წარსული ისევ ჩაგრავს მას. „მეც არ მინდა დავიჯერო, რომ ვიღაც დამთხვეული გენერლისაგან მყავს შვილი, რადგან ეს დედურ გრძნობას მიშხამავს. მიშლის შვილის სიყვარულს, მიშლის ცხოვრებას, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევი... წადით. დამტოვეთ მტკივანი სულით... დამივიწყეთ. დავივიწყეთ საწყალი ქალი, რომელმაც ამდენი ტანჯვა გამოიარა, ამდენი

იბრძოლა, წვალებით გაიკვლია გზა... ვერ გაიხარა... მაგრამ ახლა იბრძვის იმისათვის, რომ სხვებმა გაიხარონ".[1]

ჩანს, რომ ზეინაბი უბედურია. როცა ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავისათვის ცხოვრობს, ცხოვრების ყოველ განსაცდელს შეუძლია კატასტროფის წინაშე დააყენოს მისი პირადი ბედნიერება. ვერ გავიხარეო, ამბობს ზეინაბი და ამავე დროს სხვების ბედნიერების მოპოვებისათვის ზრუნვას გვპირდება, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს.

მ. ი. კალინინის ბრძნული დარიგების თანახმად, ყველა, ვისაც სურს შეიქმნას ინდივიდუალური ბედნიერება, უნდა იყოს ყველა მუშისა და გლეხის ბედნიერების მჭედელი. მაშინ იგი იქნება საკუთარი ბედნიერების მჭედელიც. ასე ერწყმის, ავსებს ერთმანეთს საბჭოთა ადამიანის პირადი და საზოგადოებრივი ბედნიერება. მარტო ის ფაქტი, რომ ზეინაბი საბჭოთა გარემოში თავს უბედურად თვლის, იმაზე მიუთითებს, რომ მან ვერ მოახერხა პირადი გრძნობები დაექვემდებარებინა საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, რითაც მოიპოვებდა პირად ბედნიერებასა და სიხარულს. „როცა მართლაც აქტიურად იმუშავებს, — გვასწავლის მ. ი. კალინინი, — აქტიურ მონაწილეობას მიიღებს მთელ მშენებლობაში, მაშინ ხშირად ვერც კი შენიშნავ, როგორი კაბა აცვია თეკლეს, და დაივიწყებ საყოფაცხოვრებო წვრილმანებსა და პირად უსიამოვნებებს."[2]

---

1 „ლაშაური საღამოები", გვ. 332.

2 მ. კალინინი, „კომუნისტური აღზრდის შესახებ", 1953 წ., გვ. 26.

საბჭოთა ადამიანის საზრუნავია არა მარტო თავისი საკუთარი ბედი, არამედ მთელი საზოგადოების მომავალი — კომუნიზმის დიადი საქმე. ამიტომ მას არ შეუძლია, მისთვის ორგანულად უცხოა და მიუღებელი პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დაპირისპირება და გათიშვა. ზეინაბის წარმოდგენით კი პირად და საზოგადოებრივ ბედნიერებას ჩინური კედელი ჰყოფს. მაშასადამე, მწერალმა ზეინაბის სახით ვერ მოგვცა საბჭოთა ქალის მხატვრული სახე.

მოთხრობის დანარჩენი პერსონაჟები — ლაშა, გულბათ, გივი და რაიბული საზოგადოებრივ საქმიანობას მოწყვეტილი, აპოლიტიკური ადამიანები არიან. ისინი ოთახში ჩაკეტილ მეოცნებე რომანტიკოსებს წარმოადგენენ. როგორც მწერალი ამბობს, „მზისა და სიხარულის, სილამაზისა და სიყვარულის“ პოეტების საზრუნავია გართობა, მოწყენილობის გაფანტვა. ამ მიზნით მეგობრები იკრიბებიან ერთად და „ბაასობენ პოლიტიკაზე, ქვეყნის ჭირვარამზე, პოეზიაზე, ქალებზე, ახალ ოჯახზე და ვინ იცის კიდევ რაზე“.[1]

ამ საუბრებიდან აშკარად ჩანს მათი იდეოლოგია, მათი მისწრაფებანი, ფიქრები და განცდები. თავი რომ დავანებოთ ამ ხალხის წარსულს, მათს რომანტიკულ თავგადასავლებს, საკითხავია, რა მიზნებით ცხოვრობენ ისინი საბჭოთა ეპოქაში, რა აწუხებთ მათ? საითკენ ისწრაფვიან? „ახალგაზრდობამ არც ერთი წამი არ უნდა დაკარგოს ტყუილად, უსიყვარულოდ,“[2], — აცხადებს

1 „ლაშაური საღამოები“, გვ. 240.
2 იქვე, გვ. 241.

ერთ-ერთი მათგანი და ამ აზრს ეთანხმებიან დანარჩენებიც. საგულისხმოა, რომ ყველა მათგანს მოსწონს ზეინაბი და ისწრაფვის დაისაკუთროს იგი, მაგრამ, როცა მიზანს ვერ აღწევენ, ერთმანეთის მიმართ სიძულვილითა და მტრობით იმსჭვალებიან: „ზეინაბს მიეცა ჩვენი ცოდვა, — ამბობს რაიბული, — აქამდე ერთ თხილის გულსაც ვიყოფდით, ახლა, მისი თილისმით გათარანებულნი, მტრებივით ვუცქერით ერთმანეთს.“[1] ასეთია იმ სიყვარულის შედეგი, რომლითაც ზეინაბი უყვართ სერობის მონაწილე მეგობრებს.

მათი აზრით, სიყვარული მარტოოდენ შიშველი ვნებაა, „სქესი მისი პირველი წყაროა...“[2] ეს არის სიყვარულის კეთილშობილური გრძნობის ვულგარიზაცია. როგორც ჩანს, „ლაშაური საღამოების“ მოქმედ პირთა შეგნებაში ჯერ კიდევ ფეხგადგმულია წყეული წარსულის, კაპიტალისტური შეგნების ნაშთები. მათთვის სიყვარული არის ერთადერთი გრძნობა, თვითმიზანი, რომლითაც იწყება და მთავრდება ცხოვრება. მას, ამ სიყვარულს, საერთო არა აქვს რა საზოგადოებრივ ინტერესებთან და მხოლოდ გულის დაუწერელ და შეუსწავლელ კანონებს ემორჩილება. ამიტომაც არის, რომ ზეინაბზე შეყვარებული „რაინდები“ ერთმანეთის მტრები გახდნენ. თვითმიზნური, ბიოლოგიურ გრძნობასთან გათანასწორებული სიყვარული მათ ხდის წვრილმან, შურიან და ეგოისტ ადამიანებად. რაიბულმა გაიგო, რომ ზეინაბს ლაშას სიყვარულის გამოწვევა არ

1 „ლაშაური საღამოები“, გვ. 309.
2 იქვე, გვ. 246.

მიულია, უარი უთქვამს. „სადღაც გულის კუნჭულში მიამა, რომ ლაშაც პირშიჩალაგამოვლებული დარჩენილა“,[1]—ამბობს იგი. მას ჭეშმარიტ სიხარულს ჰგვრის სხვისი დაჩაგვრა, სხვისი უბედურება. „საოცარია, — განმარტავს იგი.— რატომ გაახარებს ადამიანს ზოგჯერ სხვისი უბედურება. მაგალითად მე ახლა ისეთ ხასიათზე ვარ, გაფრენა რომ მოვისურვო, მარტო ხელების გაშლა-ღა დამჭირდებოდა, ლაშა—კი მიწაზედაც ძლივს მიათრევს ტანს.“[2] ასეთ ეგოისტებს, რომლებიც მარტოოდენ თავისთვის ზრუნავენ, რომელთათვის სიყვარული არის გრძნობის წუთიერი აფეთქება, ან უბრალო თავშექცევა მოწყენილობის გასაქარვებლად, არაფერი საერთო არა აქვთ საბჭოთა ადამიანებთან, კომუნიზმის მშენებელ ახალ ადამიანებთან.

ლაშა, გულბათი და მათი მსგავსი ადამიანები ჰყავდა მხედველობაში ცნობილ საბჭოთა მწერალს, სამოქალაქო ომის გმირს ნიკოლოზ ოსტროვსკის, როცა წერდა: „იცხოვრო მხოლოდ ოჯახისათვის — პირუტყვული ეგოიზმია, იცხოვრო მხოლოდ ერთი ადამიანისათვის — სიმდაბლეა, იცხოვრო მხოლოდ საკუთარი თავისათვის— სირცხვილია.“

ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოფხვრის პროცესი გვიჩვენა მწერალმა „ლაშაური საღამოების“ ერთ-ერთ ნოველაში „ოქროს მამალი“.

---

1 „ლაშაური საღამოები“, გვ. 324.
2 იქვე, 325.

წყეულმა წარსულმა ლეღენდარას სიზარმაცე დაუტოვა. მას სძულს შრომა, გაურბის კოლექტივს, ცხოვრობს საზოგადოებისაგან გამოთიშული და ნახევრად მხეცურ ყოფაში. ლეღენდარას სიმდიდრე ერთადერთი მამალია და ისიც თვალისჩინივით უფრთხილდება მას. კოლმეურნეობას, რომელმაც მამალი საჯიშედ სთხოვა, სასტიკი უარით უმასპინძლდება. ლეღენდარა უფრო იოლად დასთმობს თავის სიცოცხლეს, ვიდრე მამალს. მამლისადმი მის ავადმყოფურ სიყვარულში ჩანს აგრეთვე წვრილმესაკუთრული ინსტინქტი, რომელიც შრომისადმი სიძულვილთან ერთად წარსულის გადმონაშთია.

მაგრამ, აი, მოხდა „სასწაული". ლეღენდარა კოლექტივის წევრად მიიღეს, იგი გატაცებით ჩაება საკოლმეურნეო შრომის ფერხულში, რის შედეგად მისი ჩამქრალი კერა გაჩაღდა. კოლექტივის დახმარებით ლეღენდარამ დაიდგა ახალი სახლი, ჩაიცვა, დაიხურა, დაიწყო წერა-კითხვის შესწავლა და კაცობაში შედგა ფეხი — გაუჩნდა ცხოვრების მიზანი და მისწრაფება.

ეს „სასწაული" მოახდინა კოლმეურნე გლახუნამ. მან ჯერ გაჰკილა ლეღენდარა ზარმაცობისა და მცონარობისათვის: „ოჯო, არ ვარგა, რომ ჯეელობას ცუდ-ყოფაში ატარებ", [1]— უთხრა ერთხელ გლახუნამ ლეღენდარას. შემდეგ კი თავისუფალი შრომის საამური შედეგი დაუხატა და თან საკუთარი თავის რწმენა ჩაუნერგა: „პირდაპირ გული მტკივა, რომ გიცქერი ასე უქ-

1 „ლაშაური სიტამოები", გვ. 304.

მად მოხეტიალეს,— დამაჯერებლად და თანაგრძნობით ეუბნებოდა გლახუნა. — აბა რა კაცობაა მუდამ სხვის ჯიბეში ცქერა, საკუთარი ოფლით ნაშოვნ ლუკმას, დამიჯერე, არაფერი ჯობია. არც ის მომწონს სულ ელდანაკრავივით რომ ხარ, ამოიღე, ოჯო, ენა, იშრომე, სუფთად ჩაიცვი, ხალხში გაერიე და შენისთანა ვაჟკაცი მეორე არ იქნება ჩვენს სოფელში.“[1]

გლახუნას სიტყვები მალამოსავით მოეცხო ლეღენდარას დაბეჩავებულ, დასაწყლებულ გულს. მას სჯეროდა გლახუნას სიტყვებისა. ამ სიტყვებს ამბობდა ადამიანი, რომელიც მთელ სოფელში განთქმული იყო შრომისმოყვარეობითა და სიმართლით. ლეღენდარა მიჰყვა გლახუნას, რომელმაც უთავდება ლეღენდარას კოლექტივის წინაშე და წევრად მიაღებინა. ასე გარდაქმნა, ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა საბჭოთა სინამდვილემ ბეჩავი ლეღენდარა.

მკრთალად, მაგრამ სიმპათიურად ხატავს მწერალი გლახუნას. ეს არის კოლმეურნე, რომელიც მარტო თავისი წარმატებებით კი არ კმაყოფილდება, არამედ ცდილობს სხვებიც აქტიურად ჩააბას ახალ, საკოლმეურნეო ცხოვრებაში. საბჭოთა ადამიანის ეს კეთილშობილური თვისება დამაჯერებლად ჩანს ლეღენდარასადმი გლახუნას უანგარო, მეგობრულ დამოკიდებულებაში.

ასეთია რაჟდენ გვეტაძის მხატვრული პროდუქცია ოცდაათიანი წლების დამდეგსა და პირველ ნახევარში, როცა მწერალი სოციალისტური რეალიზმის სათავეებ-

---

1 „ლაშაური საღამოები“, გვ. 304.

თან იდგა. მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დაუფლებამ, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირმა მწერალს შესაძლებლობა მისცა დიდად გაეფართოებინა და გაემდიდრებინა თავისი შემოქმედების თემატიკა, შეექმნა მთელი გალერეა საინტერესო მხატვრული სახეებისა. სწორად აესახა და გადაეწყვიტა ეპოქის მთელი რიგი მნიშვნელოვანი პრობლემები. რ. გვეტაძე სულ უფრო სრულად ეუფლებოდა სოციალისტური რეალიზმის მეთოდს და მთელ რიგ შემთხვევებში უნარიანად, მარჯვედ იყენებდა მას. მაგრამ ამასთან ერთად მწერალი ჯერ კიდევ ვერ ახერხებდა ბოლომდე გარკვეულიყო ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს სოციალურ საკითხში, სწორად აეხსნა მისი არსი. მწერლის შემდგომი ზრდა, მისი შემოქმედების შემდგომი განვითარება დამოკიდებული იყო იმაზე, შეძლებდა თუ არა იგი უფრო სრულად, ღრმად, შემოქმედებითად აეთვისებინა მარქსისტულ-ლენინური თეორია, უფრო ღრმად და ყოველმხრივად შეესწავლა საბჭოთა სინამდვილე.

* * *

საბჭოთა ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების გიგანტურ ზრდასთან ერთად ოცდაათიანი წლებიდან განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული ქართული კულტურა, რომელსაც კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინური ბრძნული ეროვნული პოლიტიკის მტკიცედ

განხორციელების შედეგად წინსვლის ფართო ასპარეზი შეექმნა და რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხების კულტურის დიდ საგანძურში.

საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგი, ისევე როგორც მხატვრული ლიტერატურა, ასახავს სინამდვილეს, ემსახურება ხალხს, უჩვენებს წინსვლისა და ბედნიერი ცხოვრების გზას, ეხმარება სიძნელეთა გადალახვაში, ზრდის მასებს კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა თვალსაჩინო ნაწარმოები, ჩერნიშევსკის სიტყვით რომ ვთქვათ, „ცხოვრების სახელმძღვანელო“ გახდა მილიონობით მკითხველთათვის. თავისთავად ცხადია, ლიტერატურა ჩვენი პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის გარეშე ვერ ავიდოდა ასეთ სიმაღლეზე და ვერ გახდებოდა ყველაზე მოწინავე ლიტერატურა.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში ახალი ეტაპი შექმნა საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის აპრილის ცნობილმა დადგენილებამ, რომელმაც ბოლო მოუღო ჯგუფობრიობას ლიტერატურაში, ლიკვიდირებულ იქნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია და შეიქმნა ერთი საერთო საბჭოთა მწერლების კავშირი. დიდი როლი შეასრულეს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში აგრეთვე საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ომისშემდგომმა დადგენილებებმა იდეოლოგიურ საკითხებზე. კომუნის-

ტური პარტია მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სახელმძღვანელო პრინციპებითა და დებულებებით, რომელთაც საფუძვლად უდევთ მარქსისა და ენგელსის ესთეტიკური შეხედულებანი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით საბჭოთა ლიტერატურულ კადრებს ყველა პირობა აქვთ შექმნან ისეთი მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც სისრულით ასახავენ ცხოვრებას და ეხმარებიან მასებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების პირნათლად განხორციელებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ლიტერატურის ცუძემდებელი მ. გორკი მხატვრული სიტყვის ოსტატებს მოუწოდებდა: „ასახონ, დახატონ შრომითი ცხოვრების სურათები და გამოაქანდაკონ ადამიანთა ხასიათებად, ტიპებად“.[1]

ასრულებდნენ რა პარტიის მითითებებს, მოწინავე საბჭოთა მწერლებთან ერთად, ქართველმა მწერლებმა მიაღწიეს ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს ოცდაათიან წლებში, სოციალიზმის აშენების წლებში. განსაკუთრებით აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობდნენ მწერლები გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ლ. ქიაჩელი, კ. ლორთქიფანიძე, შ. დადიანი, პ. ჩხიკვაძე, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, ა. ქუთათელაძე, ა. მირცხულავა, ა. ჭეიშვილი, რ. გვეტაძე და სხვ., რომელთა თემატიკურად მრავალფეროვან, იდეურად და მხატვრულად გამართულ

---

1 М. Горький, Избранные лит.-критические статьи, 1946 г., стр. 281.

ნაწარმოებებში რეალისტურად არის ასახული ჩვენი ეპოქისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესები.

მოწინავე ქართველმა მწერლებმა თავიანთ შემოქმედებაში ასახეს განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, პარტიისა და მისი ბელადების რევოლუციური საქმიანობა, ინდუსტრიული და საკოლმეურნეო მშენებლობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და სოლიდარობა, ახალი ადამიანის შემოქმედებითი შრომა და მისი შედეგები.

ოცდაათიანი წლების მიწურულსა და ორმოციანი წლების დასაწყისში რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში აისახა ახალი თემები. მწერლის შემოქმედებაში მკვიდრდება სოციალისტური რეალიზმი.

1935 წელს რაჟდენ გვეტაძემ გამოაქვეყნა „ბელორუსიული ნოველები", რომელიც მწერალმა ბელორუსიაში ყოფნის შედეგად დაწერა. ნოველის ეპიგრაფში ნათქვამია:

„რამდენიმე მწერალთან ერთად საშუალება მომეცა ბელორუსია მენახა.

ეს იყო 1935 წლის გაზაფხულზე. სამი თვე დავყავი იქ.

წარუშლელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი.

აქ მოთავსებულ ორ ნოველაში შევეცადე დამეხატა ბელორუსიის ხალხის გმირული ბრძოლის ერთი ეპიზოდი და მისი შორეული წარსულის პატარა, მაგრამ დამახასიათებელი სურათი."[1]

---

1 „ბელორუსიული ნოველები", გვ. 387 (წიგნიდან „პროზა").

ერთი წლის შემდეგ რ. გვეტაძე წერს ლექსების ციკლს საბჭოთა ბელორუსიის შესახებ. ლექსებში „სიმღერები ბელორუსიაზე“ პოეტი გადმოგვცემს იმ წარუშლელ შთაბეჭდილებებს, რომლებიც გამარჯვებული ბელორუსი ხალხის ცხოვრებამ მოახდინა მასზე.

ლექსში „გამარჯვებულნი“ რაჟდენ გვეტაძე ასახავს ბელორუსი ხალხის მიღწევებს შემოქმედებით შრომაში და ამ მიღწევებით აღფრთოვანებული პოეტი მოძმე ბელორუს მშრომელებს ორბის ფრთებგამოსხმულ გმირებად სახავს:

გამოგსხმიათ ფრთები ორბის,
გაგიშლიათ წინ მზის კალო.

უხვი და ბედნიერი ცხოვრება, „მზის კალო“, რომელიც საკუთარი თვალებით ნახა პოეტმა, ბელორუსმა ხალხმა შექმნა შეუპოვარი დ გმირული ბრძოლის შედეგად:

თქვენ აქციეთ მადნად ტორფი,
იცით ბრძოლა, ლხინის ალოც.
გამოგსხმიათ ფრთები ორბის,
გაგიშლიათ შინ მზის კალო.1

ბელორუსმა ხალხმა, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, თავგანწირული ბრძოლით მოიპოვა თავისუფლება. თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნა უკვდავია. როგორც დიდი ილია ამბობდა: „არ არის მკვდარი ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია“.

---

1 რ. გვეტაძე, „სიმღერები ბელორუსიაზე“, ციტირებულია წიგნიდან. „ლექსები და პოემები“, 1940 წ., გვ. 19.

აი, ბალს ამშვენებს პარტიზანის ძეგლი. ბელორუსმა ხალხმა მარმარილოს ქვაში გამოკვეთა თავისი საამაყო შვილის სახე და ამით თავისუფლებისათვის ბრძოლის ველზე „ხმალდახმალ მატევარი“ პატრიოტისადმი თავისი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა:

ახლა ბაღში ქვად ქცეულხარ
ბრძოლით ღამის მათევარი
ბრძოლიდან არ გაქცეულხარ.1

1938 წელს რაჟდენ გვეტაძემ საბჭოთა უკრაინას მიუძღვნა ლექსი „უკრაინავ, უკრაინავ!“ მასში პოეტმა გადმოგვცა ის სიხარული და აღტაცება, რასაც საბჭოთა ადამიანებში იწვევს ბედნიერი და აყვავებული უკრაინის აწმყო და მომავალი.

პოეტს უხარია, რომ საბჭოთა უკრაინის გაშლილ ტრამალებზე

ჭარს არ დააქვს გლეგის ზარი...
თავისუფლად მღერის ახლა
მისი გული და კობზარი.2

ყველა საბჭოთა ხალხთან ერთად სტალინისა და რუსთაველის საქართველო ესალმება საბჭოთა უკრაინას, ულოცავს ბედნიერ აწმყოსა და უკეთეს მყოფადს.

უკრაინავ, უკრაინავ,
ის ქვეყანა, რუ და ველი
სალამს გიძღვნის, სადაც იშვენ
სტალინი და რუსთაველი.3

---

1 რ. გვეტაძე. „ლექსები და პოემები“, 1940 წ., პარტიზანელის ძეგლი, გვ. 31.
2 იქვე. უკრაინავ, უკრაინავ! გვ. 10.
3 იქვე.

რ. გვეტაძე კ. ლორთქიფანიძესთან, ი. მოსაშვილთან და ა. ქუთათელთან ერთად პირველი იყო, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში ასახა ბელორუსი ხალხის გმირული წარსული და მისი თავდადებული ბრძოლა ახალი სოციალისტური ცხოვრების განმტკიცებისათვის.

ბელორუსი ხალხის წარსული გმირული ბრძოლის ეპოზიდებს გადმოგვცემს რ. გვეტაძე ნოველებში „მახრა“ და „სკირგაილო“. ნოველაში „მახრა“ მწერალი ასახავს ბელორუსი ხალხის ბრძოლას პოლონელი პანების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში, როცა ლიტველთა ტომები შეერთდნენ და ლიტვა დიდ სახელმწიფოდ გადაიქცა, ბელორუსია დაიპყრო ლიტვის მთავარმა იაგაილომ, ხოლო როცა ამ უკანასკნელმა პოლონეთის დედოფალი შეირთო, ლიტვისა და პოლონეთის კავშირმა გააძლიერა ეს ორი სახელმწიფო. მძიმე იყო უკრაინელთა და ბელორუსთა, აგრეთვე რუსი მოსახლეობის ცხოვრება საკუთარი მებატონეების ხელში, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე გახდა იგი პოლონელ და ლიტველ დამპყრობთა ბატონობის ქვეშ. პოლონელი პანები ცდილობდნენ გაეპოლონელებინათ ბელორუსები და უკრაინელები, არ აძლევდნენ მათ ვაჭრობის, ხელოსნობის და მიწათმოქმედების ნებას. პანები ოცნებობდნენ მთელი მოსკოვის სამთავროს დამორჩილებაზე.

ბელორუსი ხალხი, ისევე როგორც უკრაინელები, არასოდეს შერიგებია უცხოელთა ბატონობას და არაერთხელ აჯანყებულა მათ წინააღმდეგ.

რაჟდენ გვეტაძის „ბელორუსიული ნოველები“ მხატვრული ზომიერებით ასახავს ბელორუსი ხალხის სწორედ ამ განმათავისუფლებელ ბრძოლას, დამპყრობთა სისასტიკეს, მშრომელთა გამარჯვების ნათელ პერსპექტივებს, მათს ძალასა და ოპტიმიზმს.

ნოველაში „მახრა“ მწერალი ისტორიული სიმართლით გადმოგვცემს პოლონელი პანების სიმხეცეს, მათ თავგასულობას, ბარბაროსობას:

„პანებმა მათრახის ცემით იძულებული გახადეს გლეხები ჯეჯილოვანი ყანები ხელახლა დაეხნათ. როცა ხოდაბუნები ბელტებად აქციეს, შეესივნენ სოფელს და ხორბალი წამლადაც არავის შეარჩინეს.

ბოლოს პირუტყვიც გარეკეს. სოფელი დარჩა ცისა და შიშველი მიწის ამარა.“1

პოლონელი პანების „სიკვდილის ასეული“, რომელიც მდინარე პტიჩის ნაპირზე იყო დაბანაკებული, დროდადრო შეიჭრებოდა სოფელში, აწამებდა და ყლეტდა ადგილობრივ მოსახლეობას, ხიშტებზე აგებდა უმწეო ბავშვებს, ნამუსს ხდიდა ქალებს.

დამახასიათებელი მხატვრული სახეა ნოველაში ახალგაზრდა ჰანა, რომელსაც პოლონელმა მხეცებმა ნამუსი ახადეს და სახლ-კარი დაუწვეს. ფიზიკურად ნაწამებ და მორალურად განადგურებულ ჰანას სულიერ განცდებს მწერალი შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ერთხელ, შიმშილით გასავათებული ჰანა ბარბაცით შივიდა ვაშლის ხესთან და დაიარებული თითებით ქერ-

1 რ. გვეტაძე, ნოველები, 1945 წ., გვ. 129.

ქის შემოცლა სცადა... დიდხანს ეწვალა. ფრჩხილებიდან ბალღამნარევი სისხლი წასცდა. ბოლოს. როგორც იქნა. თასმასავით ააძრო ხეს ტყავი და ღრღნა დაუწყო, მაგრამ დაჩლუნგებული. მტკივანი კბილებით დაღეღვა ვერ მოახერხა.

ჰანამ ქერქი გვერდზე ისროლა.

უაზროდ მაცქერალმა, უნებლიედ თვალი მოჰკრა უჭმელობით ბოსელთან ძილად მივარდნილ ბულბას. სიმსივნისაგან დაწვრილებულ თვალებში უცნაური შუქი ჩაუდგა. კარგახანს უცქირა გაშტერებით ლეკვს. შემდეგ მოდუნებულ სხეულში თანდათან ძალამომატებულმა ბოსლის კარი შეაღო და ნაჯახი გამოიტანა...“[1]

ჰანამ მოჰკლა თავისი საყვარელი ლეკვი და შიმშილისაგან თავი გადაირჩინა. ამ დეტალით, ჰანას ამ მოქმედებით მწერალი კარგად გადმოგვცემს, თუ რა აუტანელ პირობებში ცხოვრობდა ხალხი. ჰანას არ ჰქონდა სხვა გამოსავალი. იგი სუსტი ნებისყოფის პიროვნებაა, ვერ გაუმკლავდა გასაჭირს და სულიერი კატასტროფა განიცადა. მაგრამ მისი განწყობილება, მისი მოქმედება იძულებითია. ჯერ კიდევ შექსპირის მეფე ლირმა იცოდა, რომ „რაც საჭიროა მასზე მეტი რომ კაცს არ მიკცეთ,— ადამიანი ხომ პირუტყვად გადიქცეოდა.“[2]

თავისუფლებისათვის მებრძოლი ბელორუსი ხალხის ძალა და ენერგია, მისი ოპტიმიზმი, თავგანწირული ბრძოლა ნათელი მომავლისათვის ნოველაში მოცემულია პარტიზან იანკას მხატვრული სახით.

---

1 რ. გვეტაძე. ნოველები, გვ. 130.
2 შექსპირი, ტ. 1. 1927 წ., გვ. 87.

იანკა სამშობლოსათვის. ხალხისათვის თავდადებული გმირია. იგი ხელმძღვანელობს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმს. რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უმართავს „სიკვდილის ასეულს“, ამარცხებს მას და ანადგურებს მემამულე პან პოლიკის სასახლეს.

გაიმარჯვა იანკამ. გაიმარჯვა თავისუფლებისათვის მებრძოლთა რაზმმა. ხალხის ოცნებასა და იდეალს ხორცი შეესხა, მაგრამ ძვირად დაუჯდა ხალხს ეს გამარჯვება.

სამშობლოს საკეთილდღეოდ შეწირული ერთ-ერთი ზვარაკია ჰანა. მისი ახალგაზრდა სიცოცხლე. ოცნება. სიყვარული და სიხარული მტერმა ვერაგულად მოსპო. ეს დანაკლისი მთელი სიძლიერით იანკამ განიცადა, რომელსაც სიყვარული დაეღუპა. „იანკას გამარჯვებას აკლდა ჰანას ღიმილი“, მაგრამ ეს დანაკლისი ვერ აფერხებს ნათელი მომავლის ბრწყინვალე საქმეს: „გულის მკაწვრელი ფიქრებით შეპყრობილი სარდალი... ცხენს მოახტა. უკანა ტორებზე შემდგარი ცხენი რამდენჯერმე ბზრიალით გატრიალდა, შემდეგ მხედარს სადავე წაართვა და მერცხალივით მიწას გაეკრა.“[1]

იანკას სახით მწერალი ხატავს გმირს, რომელიც მოწოდებულია საზოგადოებრივი, სახალხო მოღვაწეობისათვის. ამის შედეგია, რომ იანკას პიროვნებაში საზოგადოებრივმა სძლია პირად უბედურებას, იგი ვაჟკაცურად გაუმკლავდა ინდივიდუალური ბედის მოღალატეობას და მისი გამარჯვების საწინდარიც ეს იყო.

---

1 რ. გვეტაძე. ნოველები, გვ. 133.

იანკა ბელორუსი ხალხის შესანიშნავი განზოგადებული მხატვრული სახეა.

თუ ნოველაში „მახრა“ რ. გვეტაძემ მხატვრული სისრულით აღწერა პოლონელ დამპყრობთა მხეცობა, ბელორუსი ხალხის მხეცური ჩაგვრა, „სკირგაილოში“ მწერალი გადმოგვცემს ადგილობრივი ბოიარების თავგასულობასა და მტარვალობას.

ისტორიიდან ცნობილია, რომ ბელორუსი ხალხების ბრძოლამ ბოიარების წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მე-17-18 საუკუნეებში. 1777—95 წლებში ბელორუსია შეუერთდა რუსეთის იმპერიას, რის შედეგადაც ბელორუსი ხალხი გათავისუფლდა პოლონელი პანების მხრივ ეროვნული და რელიგიური ჩაგვრისაგან და დაჩქარდა ბელორუსიის ეკონომიური და კულტურული განვითარება. ამავე დროს ბელორუსი ხალხის ბრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ შეუერთდა რუსი ხალხის საერთო ბრძოლას ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ.

„სკირგაილოში“ მწერალი გვიჩვენებს ბოიარებისა და მშრომელი გლეხობის ინტერესთა შეურიგებელ წინააღმდეგობებს, მწვავე კლასობრივ ბრძოლას. ნოველაში ეს ბრძოლა გაშლილია საყოფაცხოვრებო-რომანულ ფონზე.

მემამულე სკირგაილოს ასული ჰანრაია მარისია შეუყვარდა მოხუცი მელირე მიხასის რჩეულ შეგირდს, სკირგაილოს მეჯოგეს ალეს რაკაუს. ალესის მგზნებარე და წმინდა სიყვარულს მარისიამაც უთანაგრძნო, მაგრამ

მათ შორის აღმართულია წოდებრივი კედელი. რომლის გადალახვა ალესსა და მარისიას არ შეუძლიათ. მათ სიყვარულს ამსხვრევს მტარვალი სკირგაილო, რომელიც არა მარტო თავის მორჩილებაში მყოფთ, არამედ საკუთარ ქალიშვილებსაც მარისიას და ჰერას ისე უცქერის, როგორც ნივთს. ასეთია ექსპლოატატორული საზოგადოების მორალი. ამ მორალის მიხედვით ქალიშვილი მშობლის საკუთრებაა, იგი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი, რადგანაც სუსტს არავითარი უფლება არა აქვს იყოს პატივცემული და დამოუკიდებელი. სკირგაილოც ასე სჯის. იგი ცდილობს თავისი ასული მიათხოვოს პოლონელ პანს და ამით გააძლიეროს საკუთარი ბატონობა, რამდენადაც პოლონელ პანთან დამოყვრებით ბელორუსი და რუსი ხალხის მეგობრობის წინააღმდეგ თანამებრძოლს შეიძენდა. „რაძივალის მეოხებით მინდოდა ამეცდინა მოსკალთა კახპა დედოფლის ქვეშევრდომობა, განმევრცო ჩემი უფლებები, მაგრამ, აგერ, ვიღაც წუპაკი გადამეღობა წინ და ლამისაა ყველაფერი ჩამეშალოს“,[1] ბრაზით ამბობდა მტარვალი სკირგაილო.

სკირგაილომ ყელამდე მიწაში ჩააფლობინა ალესი, როგორც ხელისშემშლელი თავისი ბინძური მიზნის განხორციელების გზაზე. მიწაში ჩაფლულ ალესს ყორნებმა თვალები ამოკორტნეს, შემდეგ კი ნიაღვარმა დაახრჩო. მარისიამ ვერ გაუძლო ამ უბედურებას და ჭაობში დაიხრჩო. გულქვა სკირგაილომ ქორწილი მაინც

1 რ. გვეტაძე, ნოველები, გვ. 146.

არ ჩაშალა და რაძივალის დედოფლად უმცროსი ქალიშვილი მოამზადა. მიუხედავად ჰერას სასტიკი წინააღმდეგობისა.

სკირგაილო გაბატონებული. ექსპლოატატორული კლასის ტიპიური წარმომადგენელია. მისთვის მხოლოდ ერთი მიზანი არსებობს. მიზანი განდიდებისა და კარიერისა. ამ მიზნის მიღწევის გზა კი სისხლიანია. სკირგაილოც არავის ინდობს და არც შეუძლია სხვაგვარად მოიქცეს, რამდენადაც ექსპლოატატორულ საზოგადოებაში ერთი წინ ვერ წავა. თუ მეორე არ დასცა. ამრიგად. სკირგაილოსა და ალესს შორის ბრძოლას წმინდა კლასობრივი ხასიათი აქვს.

ალესისა და მარისიას ტრაგიკული სიკვდილისათვის შურს იძიებს მოხუცი მელირე მიხასი, რომელიც მწერლის მიერ შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მხატვრული სახეა. იგი გმირი ბელორუსი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. მას ახასიათებს პირდაპირობა, გაბედულება. მოწოდებულია დაიცვას სიმართლე. მიხასი ხალხის ქომაგია.

ჰანრაია ჰერას მოჩვენებითი ბედნიერების — ქორწინების დღეს სკირგაილოს ეწვია მიხასი და თავისი მგრძნობიარე ლირა ხალხის უბედური ყოფის გამომხატველ ჰანგებზე ააჟღერა და გაბედულად ამხილა სკირგაილოს მხეცობა. იგი მღეროდა:

სკირგაილო, სკირგაილო
შენი თასი მინანქარის
ხალხის სისხლით სავსე არის...

და ეს კოშკიც, ბინა შენი,
ხალხის ძვლებით გაქვს ნაშენი.1

მიხასი წყევლის სკირგაილოს. ეს წყევლა ხალხის გულისწყრომის გამოხატულებაა:

არ გეღირსოს თვალზე რული
და ცხოვრება გქონდეს კრული.2

სკირგაილომ მოხუცი მიხასი ცეცხლზე დააწვევინა. ამასთან დაკავშირებით ნოველის სიუჟეტურ განვითარებაში მწერალს შეაქვს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი. იწვოდა მიხასი. მას ლირა მაღლა ეჭირა. მიხასის უმცროსმა შეგირდმა, ალესის ძმამ მიკოლამ მოხუცს ლირა ხელიდან გამოსტაცა და მტარვალი სკირგაილო მოჰკლა.

ეს ეპიზოდი იდეურად შესანიშნავად არის გააზრებული. უპირველეს ყოვლისა, ლირა — პოეტური შემოქმედების სიმბოლო — გამოყენებულია სიმართლისა და თავისუფლების სამსახურში. მართალია, ხალხისა და მომავლისათვის პოეტური შემოქმედების სამსახურის იდეა რაჟდენ გვეტაძეს არ ეკუთვნის, იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დანერგეს ჩვენმა სახელოვანმა რეალისტმა მწერლებმა. მაგრამ ამ ცხოველმყოფელ იდეას მწერალი არა მარტო ლამაზ მხატვრულ სამოსელში ხვევს, არამედ ამავე დროს კლასობრივი თვალსაზრისით განიხილავს. ჭეშმარიტი ხელოვანი მხოლოდ ის არის, რომელიც ხალხს,

---

1 რ. გვეტაძე. ნოველები. გვ. 149.
2 იქვე.

მის კეთილდღეობას, მის მომავალს ემსახურება, როგორიც მიხასის ლირა იყო. ამავე დროს ეშმარიტ ხელოვნებას ავითარებს და იცავს მხოლოდ ხალხი. ხალხია მემკვიდრე ხელოვნების ყოველი ნამდვილი ქმნილებისა. სიმბოლურად მწერალმა ეს აზრი იმით გამოხატა, რომ მიხასის ლირა ხალხის შვილმა, მომავლის გმირმა გადაარჩინა და იმავდროულად ამ ლირით მოჰკლა საზიზღარი მტარვალი.

„სკირგაილოს“ დედააზრი ის არის, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლთა საქმე გარდუვალად გაიმარჯვებს, რადგან იგი სამართლიანია. ხელოვნება და კერძოდ ლიტერატურა მოწოდებულია ემსახუროს ხალხს, იღწვოდეს მისი მომავლისათვის. მხოლოდ მაშინ შეიყვარებს და დააფასებს მას ხალხი.

ასე ახლობელია რაჟდენ გვეტაძისათვის ბელორუსი ხალხის ცხოვრება, მისი ბედი. მწერალი მას ისევე განიცდის, როგორც საკუთარი სამშობლოს ბედს, მშობლიური ხალხის ცხოვრებას. ამაში მკაფიო გამოხატულებას პოულობს ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი ლენინურ—სტალინური მეგობრობა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ რ. გვეტაძეს არ უცდია შეექმნა მხატვრული ნაწარმოები თანამედროვე საბჭოთა ბელორუსიაზე, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებდა მწერლის შემოქმედებას როგორც ახალი თემებით, ისე იდეებითა და სახეებით.

* * *

ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე ძლიერდება კომუნიზმის მშენებლობა, შენდება მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურები, სანაოსნო და სარწყავი არხები. ხორციელდება ბუნების გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა. მხოლოდ მშვიდობის დამცველ ქვეყანას, სადაც ფართო გასაქანი აქვს შემოქმედებით შრომას, შეუძლია მიაღწიოს ასეთ წარმატებებს, განვითარების ასეთ სწრაფ ტემპს და იქცეს გმირთა და საგმირო საქმეთა ქვეყნად.

ჩვენი ქვეყნის ძლიერების გამომხატველია ის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა, რომელსაც კომუნიზმის იდეებით შთაგონებული საბჭოთა ხალხი ეწევა ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო ყანებსა და ბაღ-ვენახებში, ახალ მშენებლობათა ხარაჩოებზე.

სოციალიზმის პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაში სოციალისტური მშენებლობის პროცესებისა და გმირი მშენებლების ტიპობრივი სახის ჩვენება განსაკუთრებულ ადგილს იჭერს.

სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილეობენ მუშები, კოლმეურნეები, ქალი და კაცი, ყველა საბჭოთა მოქალაქე.

რ. გვეტაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სოციალიზმის მშენებლობაში მონაწილე მშენებელი ქალის სახის ჩვენებას. შემოქმედებითი შრომის პროცესში ვლინდება მამაცი საბჭოთა ქალის მორალური სიმაღლე და კეთილშობილება. იგი აღარ ჰგავს ი. ევდოშვილის განკიცხულს, ყველასაგან გათელილსა და და-

ვიწყებულს, არც ნოე ჩხიკვაძის მონა ქალს, „სამოთხის ყვავილს“, რომელიც მდიდრებისათვის შრომობდა და თვითონ კი, როგორც პოეტი ამბობს, ტანჯვა-გასაჭირში კვდებოდა. საბჭოთა ქალი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ყოველგვარი პირობა აქვს აშენოს საზოგადო და პირადი ბედნიერება, დაეუფლოს მეცნიერების საფუძვლებს, იყოს მოწინავე. საბჭოთა ქალის შინაარსიან ცხოვრებას, მის შრომას, და წინსვლას მოხდენილად გადმოგვცემს პოეტი ლექსში „კალატოზი ქალი“.

ტურფა ხარ, გმირის ბადალო,
და როცა ცაში ამართულს
გმოსავს ლაჟვარდის ფათალო,
იმღერი ამხანაგურად
და ისევ აგაგავს სართული
თითქოს მზეს ხმარობ აგურად 1

თუ რამდენად ფართო ასპარეზია გადაშლილი საბჭოთა ქალის წინაშე, რამდენად ზრდის მას შემოქმედებითი შრომის პროცესში მონაწილეობა და ხდება ეპოქის გმირი, ნათლად ჩანს პოემაში „ოქროს ვერძი“. პოეტი სატავს საკოლმეურნეო ცხოვრების აქტიურ მშენებელ ქალს, ტრაქტორისტ ძუბას, რომელსაც „სურს კოლხეთი მზის სხივებით ნაქარგი, ჰგავდეს გაშლილ ფარშავანგის მარაოს“.2 სურვილი — კომუნიზმის მშენებლობაში თავისი წვლილი შეიტანოს და მთელი თავისი ძალღონე ამ დიად საქმეს მოახმაროს, საბჭოთა

1 „კალატოზი ქალი“, წიგნიდან „ლექსები და პოემები“, 1947 წ., გვ. 32.
2 „ოქროს ვერძი“.

ქალისათვის დამახასიათებელია. ეს არის ახალი ადამიანის თვისება. ადამიანის, რომელიც არის, უპირველეს ყოვლისა, იდეური მებრძოლი, პარტიის, ხალხის, კომუნიზმის საქმის უსაზღვრო ერთგული. განთავისუფლებული საბჭოთა ქალი თავის უპირველეს მოვალეობად თვლის თავისუფალ შრომაში მონაწილეობას და აქედან ღებულობს იგი ბედნიერებას და სიხარულსაც: მიზნის სიცხადე მას აძლევს ძალასა და ენერგიას დაბრკოლებათა გადასალახავად და გმირობის გამოსავლინებლად:

შრომობს ძუბა. აქვს იერი ვაჟური,
ექსკავატორს როგორც მერანს ატარებს...1

პოეტი ხაზს უსვამს საბჭოთა ადამიანის ახალ თვისებას — საზოგადოებრივი ბედნიერების მოპოვების გზით მოიპოვოს საკუთარი ბედნიერება და სიხარული:

ძუბაც ეძებს ხალხის ბედის არაონს...2

საბჭოთა ქალის ახალი თვისება მარტოოდენ საზოგადოებრივი შრომა და დაბრკოლებებთან შეუპოვარი ბრძოლა როდია. მან, ამ ახალმა ადამიანმა, სიყვარული და მეგობრობაც ახლებურად იცის. ეს სიყვარული „შრომაში ჩართული“ სიყვარულია.

წინათ მუდამ შხამით გათანგულები
ახლა ერთად ექსკავატორს მართავენ,
ერთად ძგერენ მათი ნორჩი გულებიც
და სიყვარულს შრომაშიაც ართავენ.
ერთად ეძებენ ხალხის ბედის არაონს.3

---

1 „ოქროს ვერძი“ გვ. 74.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 76.

შემოქმედებით შრომაში იქედება საბჭოთა ადამიანის ნებისყოფა, ყალიბდება გრძნობა, მაღლდება აზრი და ნათლდება გონება. პოემაში საბჭოთა ადამიანის ახალი ტიპობრივი თვისებები გადმოცემულია ტიპობრივ გარემოში. ჩვენი ქვეყნის მშენებელთა შრომის მედეგები წარმტაცია:

სად ციება სისხლს ძარღვებში ყინავდა,
სადაც იყო გაუვალი ჭაობი.
სად ყველაფერს ედვა ხავსი და ობი...
იქ ელვარებს ახლა მზეზე წალკოტი.1

განთავისუფლებული პიროვნების საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა დაფასებული და ნაყოფიერია:

ძუბას სამოსახლოდ
სახელმწიფომ მისცა
ზღვის ნაპირას ახლო
სულ ახალი მიწა.
ზედ დაუდგეს ოდა
ჩუქურთმიან თაღით,
რაც დრო გადიოდა
მშვენდებოდა ბაღიც.2

პოემა „ოქროს ვერძის“ მიხედვით ყველა პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის უპირველესი ამოცანაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს კომუნიზმის მშენებლობაში. საბჭოთა მოქალაქის საზოგადოებრივი და პირადი ბედნიერება განუყოფელია. ის, ვინც აქტიურად იმუშავებს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის გიგან-

1 „ოქროს ვერძი“. გვ. 75.
2 იქვე. გვ. 76-77.

ტური გეგმების შესრულებაში, ვინც მეოდამ წინ იყურება და დაბრკოლებებს არ უშინდება, იგი გაიმარჯვებს ისევე. როგორც გაიმარჯვა ძუბამ.

ძუბა ერთი ბევრთაგანი ბედნიერი საბჭოთა ქალიშვილია.

* * *

რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებაში, ისე როგორც მთელ საბჭოთა მხატვრულ ლიტერატურაში, საპატიო ადგილი უჭირავს სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ასახვას.

ჯერ კიდევ 1925 წელს დაწერილ ლექსში „ლენინ" რაჟდენ გვეტაძე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის უკვდავ სახეს ხატავს არა როგორც მითიურ პიროვნებას, რომელსაც ხალხი სასწაულებრივად აღმერთებს, არამედ მისი სახელის სიდიადეს სამართლიანად უკავშირებს მუშათა კლასის განმათავისუფლებელ მოძრაობას, მსოფლიოში პირველი საბჭოთა ქვეყნის მშენებლობას, მშრომელი ხალხის ისტორიულ ბედსა და მომავალს.

ისტორიულ-რევოლუციური თემისადმი მიძღვნილ ყველა ლექსსა და მოთხრობაში რაჟდენ გვეტაძე ხაზგასმით აღნიშნავს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ და წარმმართველ როლს განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ხოლო ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მოღვაწეობას განიხილავს როგორც პარტიის ბელადების მოღვაწეობას, რომელიც მთლიანად ემსახურება პრო-

ლეტარიატის მსოფლიო-ისტორიულ ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენების უკეთილშობილესი ამოცანის განხორციელებას.

მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლის უახლოესი ისტორია კონკრეტული მხატვრული სახეებით გადმოგვცა პოეტმა 1940 წელს დაწერილ ლექსში „სტალინი ბათუმში“. ამ ლექსში რაოდენ გვეტყობა ეხვად იყენებს იმ მხატვრულ სახეებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო მ. გორკის რევოლუციური ნაწარმოებებისათვის. ეს სახეები ქართულ პოეზიაში ფართოდ დანერგა ჯერ კიდევ ი. ევდოშვილმა. „ი. ევდოშვილის პოეზიაში ხშირად ვხვდებით სოციალისტური რეალიზმის ყალიბობის, მ. გორკის შემოქმედების დამახასიათებელ სახეებს. პოეტი, მაგალითად, უმღერის ქარიშხალს, როგორც რევოლუციური განთიადის მაუწყებელს“.[1] (ლაპარაკია ი. ევდოშვილის ლექსებზე „მეგობრებს“, „სიმღერა მაისის ღამეს“ და სხვ. — **ნ. დ.**).

წარმოიდგენდა რა რევოლუციას როგორც ქარიშხალს, გ. ტაბიძე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე პოეტებს მიმართავდა მოწოდებით:

> დადგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
> და სისხლიანი დგას ანგელოსი,
> ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს,
> ჩვენ, პოეტები, საქართველოსი![2]

---

1 გ. მერკვილაძე. სოციალისტური რეალიზმის შესახებ. 1954 წ., გვ. 97.

2 გალაკტიონ ტაბიძე. რჩეული, 1944 წ., გვ. 169.

ლექსში „სტალინი ბათუმში“ რაჟდენ გვეტაძე ხატავს ქარიშხლის სურათს, რომელშიც სიმბოლურად წარმოსახავს პროლეტარულ რევოლუციას საქართველოში. პირველი რევოლუციის მომზადება, რეაქციის გამძვინვარება და მშრომელთა გამარჯვება ლექსში ნაჩვენებია კონკრეტულ-ისტორიული ფაქტებით. ი. ბ. სტალინის ბათუმის პერიოდის მოღვაწეობა საფუძვლად უდევს ლექსის მთელ სიუჟეტურ განვითარებას.

უპირველეს ყოვლისა, პოეტი ხატავს 900-იანი წლების ბათუმის მუშათა მდგომარეობას. მუშათა რევოლუციური შეგნების დონე დაბალია, რეაქცია გააფთრებით იბრძვის რევოლუციონერთა წინააღმდეგ, მაგრამ იგრძნობა, რომ ასე აღარ შეიძლება გაგრძელდეს, რომ მასების დაგუბებული მრისხანება მალე ზვავივით გადმოხეთქს:

> მიწას კუპრი დასწოლია, ქარი ხეებს თელავს,
> ელვა აფრქვევს ნაპერწკალებს, ხან ხმალივით
> ელავს.1

მაგრამ მუშათა მოძრაობა ჯერ კიდევ სტიქიურია, მას არა აქვს ორგანიზებული ხასიათი, რადგან მშრომელებს არა ჰყავთ იდეური ხელმძღვანელი. ამიტომ მუშათა პირველი სტიქიური გამოსვლები მარცხით მთავრდება, რეაქცია კიდევ უფრო აძლიერებს რეპრესიებს.

> შეირყევა დედამიწა, ქარი გაშლის ფაფარს
> და კივილით მოედება ქალაქს ბნელით ნაფარს.2

---

1 „სტალინი ბათუმში“, წიგნიდან „ლექსები და პოემები“, 1947 წ., გვ. 18.

2 იქვე.

რევოლუციური მოძრაობის შემდგომი აზვირთება, ბათუმის მუშების შეგნების ზრდა, მათი ბრძოლების სოციალისტური გზით წარმართვა უშუალოდ დაკავშირებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებასთან. ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით დიდი ლენინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი იგზავნება ბათუმში, სადაც მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა მოწინავე მუშები და სათავეში ჩაუდგა 1901-1902 წლების ბათუმის ისტორიულ გამოსვლებს:

ამ დროს კაცი გამოჩნდება, გზას უნათებს ელვა,
თითქოს შობა ქარიშხალმა, ზღვის მქუხარე ღელვამ.1

1901-1902 წლების ბათუმის მუშათა გაფიცვები მიმდინარეობდა აღმავლობის გზით. გაფიცულთ შეგნებული ჰქონდათ მუშათა კლასის პოლიტიკური მიზანი და საბრძოლო ამოცანა:

რომ ხალხს ტანჯვით ღონემიხდილს, მტრებისაგან ნათელს,
მომავალში თავისუფლად მზე აფრქვევდეს ნათელს;
რომ მშრომელი ცხოვრების ხეს სხვებისთვის არ რგავდეს,
ქედი აღარ მოეხაროს. ადამიანს ჰგავდეს;
რომ სიცოცხლე უხაროდეს, ჰქონდეს გული ლაღი,
ეს ქვეყანა იყოს მარად ერთი დიდი ბაღი.2

მიზნის ეს სიცხადე და გარკვეულობა მუშებს აძლევს ძალასა და ენერგიას, ეხმარება დაბრკოლებათა გადალახვაში და გამარჯვების საწინდარია. პოეტს სწამს.

1 „სტალინი ბათუმში“, წიგნიდან „ლექსები და პოემები“, 1947 წ., გვ. 18.
2 იქვე.

რომ რწმენით მებრძოლი მუშათა კლასი სასწაულებს მოახდენს:

ცა და მიწა შეერთდება უთვალავი ძაფით,
მოვარდება ნიაღვარი, რაშზე უფრო სწრაფი.
გადალახავს მთებს და ბორცვებს, ბარსაც
დაჰკრავს ტორებს,
დაეცემა თავზე ბათქით გუბეებს და ტბორებს.1

რევოლუციის გამარჯვების ბრწყინვალე დღე აჭარის მშრომელებსაც მალე დაუდგათ:

ბოლოს შუქი აჭარის მთებს გაანათებს უცებ,
წვიმა წყდება, ზღვასაც გული ახლა მშვიდად უცემს.2

ასეთია კომუნისტური პარტიისა და პროლეტარიატის ბელადების ხელმძღვანელი, წარმმართველი როლის ძალა, მათი რევოლუციური მოღვაწეობის შედეგები.

ლექსებში „ვარსკვლავთმღრიცხველი“, „პრომეთეს ცეცხლი“ და სხვ. პოეტი გადმოგვცემს საბჭოთა ხალხის დიდ სიყვარულს და ერთგულებას კომუნისტური პარტიისა და მისი ხელმძღვანელებისადმი, რომლებმაც საუკუნოებით ჩაგრულ მშრომელებს გზა გაუკაფეს ბედნიერი და საამური ცხოვრებისაკენ.

ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან გამოირჩევა „სტალინის სურათს“. ორიგინალური მხატვრული მანერითა და უშუალო პოეტური გრძნობით ხატავს რ. გვეტაძე ბავშვების განწყობილებას მშობლიური სტალინისადმი. ბედნიერი ბავშვობის სამაგიეროდ პატარა მანა-

1 „სტალინი ბათუმში“ წიგნიდან „ლექსები და პოემები“, 1947 წ., გვ. 18.
2 იქვე.

ნას ფანტაზიამ ი. ბ. სტალინი ლენინის ორდენით დაჯილდოვა. მან თავისი ქორფა თითებით გამოსახა ვ. ი. ლენინის სახე.

შემდეგ გამოჭრა დახატული გულმოცახცახემ
მიიდგა სკამი და კედელზე სტალინის სურათს
მიაკრა მკერდზე მოწიწებით ლენინის სახე.1

ისტორიულ-რევოლუციური თემები, კერძოდ, ბათუმისა და ჭიათურის მუშების ბრძოლა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რ. გვეტაძემ ასახა აგრეთვე 1939 წელს დაწერილ თავის ცნობილ ნოველებში „სოუკ-სუ“ და „გზაზე“.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით ახალგაზრდა ი. ბ. სტალინი 1901—1904 წლებში დიდ რევოლუციურ მოძრაობას აჩაღებს ბათუმის მუშებს შორის. ამის შედეგად ბათუმის მუშათა გაფიცვებმა, რომლებიც უკვე მიმართული იყო არა მარტო მეფაბრიკეთა, არამედ ამასთან ერთად მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სისტემატური და ორგანიზებული ხასიათი მიიღო. მეფის მთავრობა ყოველგვარ ზომებს იღებდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად, მაგრამ არალეგალური მუშათა ორგანიზაციები ერთი წუთითაც არ ანელებდნენ მუშაობას, პირიქით, მუშათა რევოლუციური მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა.

ნოველაში „სოუკ-სუ“ რაჟდენ გვეტაძე ასახავს მუშათა მდგომარეობას 900-იან წლებში და გვიჩვენებს

1 „სტალინი ბათუმში“, წიგნიდან „ლექსები და პოემები“, 1947 წ., გვ. 20.

მათი რევოლუციური შეგნების ზრდა-განვითარებას. ისტორიულ პირებთან (ი. ბ. სტალინი და მოწინავე მუშა სილიბისტრო ლომჯარია) ერთად ნოველაში გამოყვანილია მესაფლავე ილარიონი.

ილარიონი სოუკ-სუს სასაფლაოს მესაფლავე და დარაჯია. წინა ღამით იქ ჩატარდა მუშათა კონსპირაციული კრება, რომელსაც „მოძღვარი" —ი. ბ. სტალინი ესწრებოდა. გაიგო რა ეს ამბავი, მეორე დღეს მეფის ოხრანკა გაფაციცებით დაეძებდა კრების მონაწილეებს. ილარიონმა წინასწარ საჭირო თადარიგი დაიჭირა: ადგილი, სადაც კრება ჩატარდა, ცოლს პაპიროსის ნამწვავებისაგან გააწმენდინა, თვითონ კი საფლავის თხრას შეუდგა. წელამდე მიწაში ჩამდგარ ილარიონს თავს ბოქაული წაადგა და ჰკითხა:

„— წუხელ აქ კრება ყოფილა, ვინ იყვნენ კრებაზე?

— არ ვიცი,— უპასუხა დინჯად ილარიონმა,—ჩემი საქმეა დღე სამარე ვთხარო, ღამით ვიძინო...

— შენ ხომ დარაჯი ხარ?

— კი მაგრამ რას უნდა ვუდარაჯო, სამარის ლოდები ვის რა ოხრად უნდა!

— მაშ, არაფერი გინახავს ღამით?..

— სიზმარი ვნახე, ისეთი სიზმარი, რომ შეიძლება მალე ცხადად იქცეს... მაშინ...

— ჯუღაშვილის გვარი მაინც არ გაგიგონია? მოძღვარს რომ ეძახიან, თურმე, იმის გვარი?

— ჩვენს მოძღვარს მე კი არა, მგონი, მთელი ქვეყანა იცნობს, სხვა მოძღვრის მე არც გვარი ვიცი და

არც სახელი,— ვითომდა გულუბრყვილოდ უთხრა ილარიონმა და მუშაობა განაგრძო.

— ნამდვილი ჩერჩეტია ეს ოჯახდაქცეული!"[1] — ჩაილაპარაკა ბოქაულმა, ილარიონს დაემუქრა და წავიდა.

ამ დიალოგში საინტერესოა არა ილარიონის ენამახვილობა, არამედ მისი სიდინჯე, წინდახედულება, რომლებსაც რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა აჩვევს ადამიანს. გარდა ამისა, აქ კარგად ჩანს ილარიონის ნებისყოფის სიმტკიცე, გამბედაობა, შეუპოვრობა და მუშათა კლასის გამარჯვების რწმენა. რწმენის სიმტკიცე აძლევს ილარიონს, ისე როგორც მილიონობით მუშას, ძალასა და ენერგიას ყოველგვარი დაბრკოლების გადასალახავად.

ილარიონი გამბედავი და პირდაპირია. მან არა თუ არ გასცა თავისი ამხანაგები, არამედ სასაცილოდაც აიღო მასთან ამბის გასაგებად მისული ბოქაული და ჩაფრები; ილარიონმა უკანვე მოაბრუნა ბოქაული, რომელსაც ეგონა საიდუმლო უნდა გამიმხილოსო და წაახალისა:

„— აგრე არ ჯობია? ისეთ ჯილდოს მიიღებ, ყველა შეგნატროდეს. აბა, გისმენ.

გურული ვარ, დიდიხანი არაა, რაც აქ ვცხოვრობ... თუ კაცი ხარ, ამიხსენი, ამ სასაფლაოს რატომ ჰქვია სოუკ-სუ?

---

1 „სოუკ-სუ", წიგნიდან რაჟდენ გვეტაძე „პროზა", 1946 წ., გვ. 352-353. „სოუკ-სუ" თურქული სიტყვაა და ნიშნავს — ცივი წყალი, სოუკ — ცივი, სუ — წყალი.

ბოქაული სიბრაზისაგან გაფითრდა.“[1]

ბოქაულისადმი ილარიონის ცინიკურ დამოკიდებულებაში ჩანს არა მარტო პირადად მისი, არამედ მთელი მუშათა კლასის ზიზღი და კლასობრივი სიძულვილი მეფისა და მისი ოხრანკისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ილარიონი არ არის წარმოების მუშა, იგი მესაფლავეა, მისი შეგნება რევოლუციურია. მან კარგად იცის განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზანი, სწორად აფასებს მოვლენებს და ასევე სწორად ერკვევა ვითარებაში. ილარიონმა იცის, რომ უთანასწორო ბრძოლაში შებმა უაზრობაა. სადაც არა ჯობს, გაცლა ჯობსო და ილარიონმაც მოხერხებულად მოიგერია მტერი, გააბიაბრუა იგი და ბოლოს დასცინა კიდეც უვიცობისა და თავხედობისათვის.

ნოველა „სოუკ-სუს“ ემოციური ძალა იმაშია, რომ მკითხველს სჯერა ილარიონის მსგავსი ადამიანების უნარი — ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე, სჯერა მისი მსგავსი ენერგიული, პრინციპული და გაბედული ადამიანების გამარჯვება.

ამ იდეებით არის გამსჭვალული მეორე ნოველაც „გზაზე“, რომელიც რევოლუციამდელი ჭიათურის მუშათა ცხოვრებას ასახავს.

პერევისელ მაღაროელს ზურგზე ტომარი აუკიდია და ტვირთისა და გზის სიძნელისაგან დაღლილი თავისთავს ესაუბრება: „რა ცხოვრებაა ჩვენი ცხოვრება! მთელ სიცოცხლეს თხუნელებივით ხვრელებში ვატა-

---

1 „სოუკ-სუ“, გვ. 363.

რებთ, გარეთ თუ რომელიმე ჩვენგანი გამოვა, მაშინაც იმიტომ, სიმწრით მოპოვებული ლუკმა ამ სიშორიდან სახედარივით ზურგით ზიდოს...“[1]

მაშასადამე, მაღაროელი მარტო თავის ბედზე კი არ ჩივის, არამედ აწუხებს საერთო მდგომარეობა, რითაც მწერალი გამოხატავს მუშის რევოლუციური შეგნების დონის ამაღლებას, იმას, რომ ჭეშმარიტი რევოლუციონერისათვის პირველი საზრუნავია საზოგადოებრივ უბედურებასთან ბრძოლა, შემდეგ კი პირადული.

ამიტომ პერევისელ მაღაროელს მიზნად დაუსახავს მაშინდელი წყობილების ძირფესვიანად შეცვლა, რასაც მისი რწმენით მოჰყვება ყველა მშრომელის ცხოვრების გაუმჯობესება, მათი განთავისუფლება შიმშილისა და სიღატაკისაგან.

შეკითხვაზე — ვინ ხარო, მაღაროელმა სანატრელი ოცნება გაამხილა: „ვინ უნდა ვიყო, პერევისის მაღაროს მუშა ვარ,... **ნეტავი სხვად მაქცევდეთ, მე მაგ არ მეწყინოს...**“[2]

„სხვად“ ქცევისათვის, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად ჭიათურის მუშებს, ისე როგორც ამიერკავკასიის მთელ მუშათა კლასს, რაზმავდა ახალგაზრდა კობა. ნოველა ასახავს ჭიათურის მუშებს შორის ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ერთ ეპიზოდს. აქვე ნაჩვენებია მეფის მთავრობის რეპრესიები, რევოლუციონერთა დევნა. მაგრამ მუშები მედგრად იცავდნენ საფრთხისაგან თავიანთ საყვარელ ბელადს. პერე-

1 „გზაზე“, გვ. 345, წიგნიდან რ. გვეტაძე, „პროზა“.
2 იქვე, გვ. 346. (ხაზგასმა ჩემია. — ნ. დ.).

ვისელი მუშა დაეხმარა კობას და გადაარჩინა იგი დაპატიმრებას. ისევე, როგორც ილარიონი, მაღაროელიც მოხერხებულად მოიგერიებს მტერს და გზას აუქცევს მას. მწერალი ხაზს უსვამს მუშის წინდახედულებას, რევოლუციურ სიდინჯეს, გამბედაობას.

ნოველების „სოუკ-სუსა“ და „გზაზე“ გმირებია 900-იანი წლების მუშები, რომლებიც თავიანთი შეგნებითა და მოწოდებით გამოხატავენ მუშათა კლასის რევოლოციური ბრძოლებისათვის თავდადებასა და მზადყოფნას.

ეს ისტორიულ-რევოლუციური ლექსები და ნოველები სრულიად ახალი თემებით, მხატვრული სახეებითა და იდეებით ამდიდრებენ არა მარტო რაჟდენ გვეტაძის შემოქმედებას, არამედ მთელ ქართულ ლიტერატურას. ხალხის ბრძოლა თავისუფლებისათვის, თვითმპყრობელობის, კაპიტალიზმისა და საზიზღარი მენშევიკების წინააღმდეგ კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლებს შთააგონებს ახალი შრომითი წარმატებისათვის, ბედნიერი ცხოვრების აყვავებისათვის ბრძოლაში, იგი დიდი მატერიალური ძალაა, რომელიც გვეხმარება ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში. სასიამოვნოა და სასიხარულო ვიცოდეთ, რომ ის სისხლი, რაც მშრომელებმა დაღვარეს, ის მსხვერპლი, რაც მათ გაიღეს თავისუფლებისათვის, ბედნიერი ცხოვრების შოპოვებისათვის ფუჭად არ დაღვრილა და ტყუილ-უბრალოდ არ დაღუპულა, რომ საქმე, რომელსაც ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყ-

ნად—სიცოცხლე შესწირა ათასობით მებრძოლმა, იმარ-ჯვებს და მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებს.

* * *

დაიწყო დიდი სამამულო ომი. კომუნისტური პარ-ტიის მოწოდებით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად გადაიქცა. კა-ცი და ქალი, ახალგაზრდა და მოხუცი, მუშა და კოლმე-ურნე, ინტელიგენცია — ყველანი ერთსულოვნად დაი-რაზმნენ საზიზღარი მტრის — გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. თავისი სისასტიკით კაცობრიო-ბის ისტორიაში უმაგალითო ომმა მოითხოვა საბჭოთა ხალხის მთელი მატერიალური და სულიერი ძალების მობილიზაცია.

ომში ჩვენი გამარჯვების ინტერესებს ემსახურებოდა მთელი ლიტერატურა და ხელოვნება. საბჭოთა მწერ-ლები თავიანთი ნაწარმოებებით მილიონობით მკი-თხველს ზრდიდნენ სამშობლოსადმი, მშობლიური კო-მუნისტური პარტიისადმი, ლენინ—სტალინის უკვდავი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ამხილებდნენ მტრის ვერაგულ ზრახვებს, ასახავდნენ საბჭოთა ადამიანების გაუგონარ სიმამაცესა და გმირო-ბას, განუმტკიცებდნენ მშრომელებს საბოლოო გამარჯ-ვების რწმენას. კიდევ უფრო ნათელი გახდა მაიაკოვს-კის სიტყვები იმის შესახებ, რომ კალამი ხიშტისათვის გაეტოლებინათ. საბჭოთა მწერლის ბასრი კალამი არა-

ნაკლებ საჭირო და აუცილებელი იყო, ვიდრე მეომრის ხიშტი.

რაჟდენ გვეტაძემაც, როგორც საბჭოთა სოციალისტური სამშობლოს ერთგულმა პატრიოტმა, მთელი თავისი შემოქმედება, მთელი თავისი მოღვაწეობა დაუკავშირა მტერზე გამარჯვების მოპოვებას. ჯერ კიდევ ომის დაწყების პირველ დღეებში, 1941 წელს იგი თავისი ლექსებით მკითხველებს განუმტკიცებდა მტერზე ჩვენი საბოლოო გამარჯვების რწმენას:

მაგრამ სულ მალე მტერს შესძრავს
კვლავ გამარჯვების ნაღარა.
მხნედ იყავ, ჩემს ჩამოსვლამდე
არ შეგემატოს ჭაღარა,1 —

წერს მამას ომში წასული შვილი, რომელსაც, ისე როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქეს, თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია სამშობლოს დაცვა. გამარჯვების ურყევ რწმენასთან ერთად პოეტი ხაზს უსვამს საბჭოთა მეომრების უშიშრობას ბრძოლაში, მათს სწორუპოვარ გმირობას. ლენინ—სტალინის ყოვლისმძლე იდეებზე აღზრდილმა მეომარმა არ იცის შიში და უკანდახევა:

შიში რა არი, არ ვიცი,
კლდედ ვიქეც სულით, ტანითა,
მინდა მტარვალებს ვეკვეთო
ამ დოსტაქარის დანითა.2

---

1 „შვილის წერილი", წიგნიდან „ლექსები და პოემები", 1947 წ., გვ. 10.
2 იქვე.

ასეთი ნათელი პოეტური სახეებით და უშუალო განცდით შექმნილ ლექსებს დიდი ემოციური, აღმზრდელობითი ძალა ჰქონდათ. მაშინ, როცა მუხანათი მტერი წინ მოიწევდა და დროებითი წარმატებით გათავხედებული ცეცხლითა და მახვილით არბევდა ოკუპირებულ ტერიტორიას, რაჟდენ გვეტაძის მგზნებარე პატრიოტული ლექსები ნერგავდა გამარჯვების მტკიცე რწმენას, ხელს უწყობდა სამშობლოსადმი ერთგულების, მისთვის თავდადების წმიდათა წმიდა იდეების მატერიალურ ძალად გადაქცევას.

მამაცი წითელარმიელების მტერთან სამკვდრო-სიცოცხლო შეტაკებების რეალისტურ სურათებს ხატავს პოეტი ლექსში „ნოდარის მეორე წერილი“ (1942 წელი), რომელსაც შთამაგონებელი პოეტური სტრიქონებით ამთავრებს:

ამ ურდოების ოცნება
სულ მალე დანახშირდება...
თენდება. უკვე თანდათან
ნამქერში სროლა ხშირდება.1

ამ ლექსმა არ შეიძლება არ მოგვაგონოს ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი ლექსი „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“, რომელიც ხასიათდება ამ დიდი პოეტისათვის-ჩვეული მაღალი მხატვრული ოსტატობით, ღრმა იდეურობით და რომელიც ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი უთუოდ უბრწყინვალესი შედევრია.

---

1 „შვილის წერილი“, წიგნიდან „ლექსები და პოემები“, 1947 წ., გვ. 14.

რ. გვეტაძე ლექსებით „შვილის წერილი“ და „ნოდარის მეორე წერილი“ აგრძელებს ქართული პატრიოტული ლირიკის ტრადიციას, მაგრამ ამასთან ერთად აევითარებს ამ ტრადიციებს, ახლებურად, საბჭოთა პატრიოტიზმის თვალთახედვით კონკრეტული მხატვრული მაგალითებით გადმოგვცემს საბჭოთა ადამიანების განცდებსა და მისწრაფებებს, რომლებიც სამამულო ომის დღეებში მთლიანად ექვემდებარებოდა კაცობრიობის ვერაგი მტრის — გერმანული ფაშიზმის მოსპობისა და განადგურების უდიადეს კეთილშობილურ საქმეს. მწერალმა ხაზგასმით აღნიშნა თვისობრივი განსხვავება, რაც ძველსა და ახალ, საბჭოთა პატრიოტიზმს შორის არსებობს. თუ წინათ ქართველი მშრომელი იცავდა სამშობლოს, არც ერთ შემთხვევაში ეს იმას არ ნიშნავდა, რომ მას ამავე დროს უყვარდა მაშინდელი სოციალური წყობილება. საბჭოთა პატრიოტიზმი კი წარმოუდგენელია ჩვენი სოციალისტური წყობილებისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების გარეშე. საბჭოთა მეომარი უპირველეს ყოვლისა იცავს სოციალიზმს, რევოლუციის დიად მონაპოვარს.

სოციალიზმის, კომუნიზმის იდეები აღაფრთოვანებდა მილიონობით მებრძოლს ფრონტებზე და ზურგში, მასობრივად წარმოშობდა გმირებს. ამხანაგი სტალინი ამბობდა: „სამამულო ომმა ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხს უნარი შესწევს სასწაულები მოახდინოს და გა-

მარჯვებული გამოვიდეს უაღრესად მძიმე განსაცდელიდან."[1]

ასეთი სასწაულებისათვის — მტერზე გამარჯვებისა და ვაჟკაცობისათვის ხალხმა დიდებით შემოსა საბჭოთა არმიის გმირი მებრძოლები, რომლებმაც გერმანული ფაშიზმის განადგურებით არა მარტო ჩვენი სამშობლო იხსნეს მომაკვდინებელი საფრთხისაგან, არამედ ამასთან ერთად გადაარჩინეს მსოფლიო ცივილიზაცია და უკვდავყვეს თავიანთი სახელი.

საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა არმიის გამოჩენილი გმირებისადმი ღრმა პოეტური ექსპრესით და უშუალობით გადმოგვცა რ. გვეტაძემ ლექსში „სიმღერა შალამბერიძეზე" (1942 წ.). ეს ლექსი, ისე როგორც ი. აბაშიძის „კაპიტანი ბუხაიძე" და სხვა, ხალხმა მაშინვე აიტაცა და მშვენიერი სიმღერა შექმნა. მამაცი მეომრის შალამბერიძისადმი მიმართვაში—

> გიგონებ როგორც ახლობელს,
> თითქო ვარ შენი მამაცა,[2]

რ. გვეტაძემ გამოხატა პროგრესული ადამიანების გრძნობები, ღრმა სიყვარული სახელოვანი მებრძოლისადმი. კაპიტანი ბუხაიძე, გასტელო, შალამბერიძე და ბრავალი სხვა საბჭოთა ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არიან. ისინი, მართალია, დაეცნენ

---

1 ი. ბ. სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ," 1949 წ., გვ. 152-153.

2 „ლექსები და პოემები", გვ. 19.

მტერთან ბრძოლაში, მაგრამ თავიანთი სახელი უკდავყვეს და მოიპოვეს დიდება. მათ არც შეეძლოთ ეცოცხლათ მტრის მონობაში. დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ამბობდა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“.

„უეჭველია,— ამბობდა ი. ბ. სტალინი მოხსენებაში მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1941 წლის 6 ნოემბერს, — რომ თავისი სამშობლოს დაცვის იდეამ, რისთვისაც ჩვენი ადამიანები ომობენ, უნდა წარმოშვას და ნამდვილად წარმოშობს კიდევაც ჩვენს არმიაში გმირებს...“[1]

სამამულო ომის მსვლელობამ ცხადყო ამ წინასწარმეტყველური სიტყვების ჭეშმარიტება. კომუნიზმის დიადი საქმის, სამშობლოს დაცვის წმიდათაწმიდა იდეებით შთაგონებულმა საბჭოთა მეომრებმა გმირობისა და სიმამაცის უჭკნობი მაგალითები გვიჩვენეს. ისინი იდეური მებრძოლები არიან და სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ კომუნიზმისათვის ბრძოლის გარეშე. მთელი ჩვენი სოციალისტური სინამდვილე სავსეა გმირობის კონკრეტული, რეალური ფაქტებით. „მე პარტიისათვის, ჩემი პარტიისათვის, მუშათა საქმისათვის მთელ სისხლს გავიღებ!... მთელ სისხლს უკანასკნელ წვეთამდე,“[2] — ამბობს მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირის“ ერთ-ერთი მოქმედი პირი დავიდოვი და ამით

1 ი. ბ. სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, 1949 წ., გვ. 24.

2 მ. შოლოხოვი, „გატეხილი ყამირი“, გვ. 93.

თვითეული საბჭოთა ადამიანის ცხოვრების უმაღლეს მიზანს გამოხატავს.

ეს დიდი მიზანი აღაფრთოვანებდა დიდი სამამულო ომის დღეებში მფრინავ წურწუმიასაც. ამ მომენტს რ. გვეტაძე ხაზგასმით გამოყოფს გმირი მფრინავისადმი მიძღვნილ ლექსში:

მიჰქრის, მიფრინავს, არ ენანება
იკაროსივით მზეზე დაიწვას,
ოღონდ მზე ისევ ხალხს უნათებდეს,
ოღონდ სამშობლო მტრისგან დაიცვას.1

სწორედ ეს ნათელი მიზანი აღაფრთოვანებს საბჭოთა ადამიანებს ახალ-ახალი გმირობისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

1943 წელს რაჟდენ გვეტაძემ გამოაქვეყნა ნოველების კრებული სათაურით „მართალი ნოველები", რომელშიც მოთხრობილია რეალურად არსებულ მებრძოლთა თავგადასავალი.

კრებული ასახავს სამამულო ომის 1941-1942 წლებს, როცა საბჭოთა არმია გააფთრებით ებრძოდა მოულოდნელად შემოჭრილ ვერაგსა და მძვინვარე მტერს, ღრმა ჭრილობებს აყენებდა მას, მაგრამ მტრის ჭარბი ძალები მაინც ახერხებდნენ წინსვლას და ხელთ იგდეს ჩვენი მშობლიური ტერიტორიის ერთი ნაწილი. საშინელმა საფრთხემ, რომელიც ხალხს დაემუქრა, ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად აქცია მთელი ჩვენი ქვეყანა.

1 რ. გვეტაძე, „ლექსები და პოემები", გვ. 16.

„წითელი არმიის წარუმატებლობამ არა თუ ვერ შეასუსტა არამედ პირიქით, კიდევ უფრო მეტად განამტკიცა როგორც მუშათა და გლეხთა კავშირი, ისე სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. უფრო მეტიც, – ამ წარუმატებლობამ სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან, ურღვევ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს“...[1]

„მართალი ნოველების“ ერთ-ერთ ეპიზოდში განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ზურგისა და ფრონტის ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა ერთიან, ურღვევ ბანაკად გაერთიანება, ხალხთა მეგობრობის, კერძოდ, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცება:

მტერი წინ მოიწევდა. ფაშისტთა ურდოები საბჭოთა სოფელში შეიჭრნენ და სახლში დარჩენილ მოხუცებს სიკვდილით ემუქრებიან. ტყვეობიდან გამოქცეულ საბჭოთა არმიელებს, რომლებიც ერთმა უკრაინელმა ოჯახმა შეიხიზნა, არც მოხუცი ჩამორჩა და მტრებზე საომრად მოემზადა. სამოქალაქო ომში ვასილ კიკვიძის ნაჩუქარი ხმალი ისევ ხელში დაიჭირა მოხუცმა და ახალგაზრდებს გვერდით დაუდგა: „აღარ მეგონა, თუ კიდევ მომიხდებოდა ამ ხმლის ხელში აღება. რა გაეწ-

1 ი. ბ. სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, გვ. 23.

ყობა. ვეცდები სამშობლოს დაცვაში ახალგაზრდებს არ ჩამოგივარდეთ.“[1]

სამოქალაქო ომში მონაწილე მოხუცის კვლავ საბრძოლო შემართება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ განსაცდელში მყოფი სამშობლოს დაცვა ყველა საბჭოთა მოქალაქის მოვალეობაა, ხოლო ჩვენი არმიის დროებითმა წარუმატებლობამ მტერთან საომრად მოხუციც კი ვაუკაცივით აამხედრა.

„მართალ ნოველებში“ რ. გვეტაძე დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენებს საბჭოთა არმიის მორალურ ძალას.

მამულისადმი მგზნებარე სიყვარულისა და თავდადების უწმინდესი შეგნებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირები ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც ომის წინ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა, ან აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომაში. სამამულო ომის ქარტეხილმა ისინი ერთმანეთს ბრძოლის ველზე შეახვედრა. სამშობლოს დაცვის დიდმა მოვალეობამ წარმართა მათი ნებისყოფა, ხოლო გამარჯვების ურყევმა რწმენამ უსაზღვროდ განამტკიცა ახალგაზრდობის სულიერი ენერგია. საზიზღარი მტრის გასრესის უდიადესმა მიზანმა მეგობრობის მტკიცე კავშირში შეჰკრა, ძმადნაფიცებად გახადა სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა მეომრები. ესენი არიან სამხედრო ექიმები ნოდარი და ალეკო ყიფიანი, ყოფი-

1 „მართალი ნოველები“, წიგნიდან „ცხოვრება იწყება თავიდან“ 1949 წ., გვ. 283.

ლი პარტიზანი სანიტარი ქალი მარინა რადუმცევა, მისი ძმა ლეიტენანტი პეტრო, სანიტარი კორენკო, კულუშკო-კამინსკი და სხვები. ყველა ისინი საბჭოთა ახალგაზრდობის ტიპობრივი წარმომადგენლები არიან და გამოხატავენ ჩვენი გმირი არმიის მორალურ სიმაღლეს, მის კეთილშობილურ მისწრაფებებს.

„მართალი ნოველების“ ახალგაზრდა მეომრების მეგობრობას განამტკიცებს საბჭოთა პატრიოტიზმი, რომლის „ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი და ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ეროვნული ტრადიციები და ყველა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები. საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას...“[1]

ეს დიდი გრძნობა, სამშობლოს სიყვარული და მისდამი უსაზღვრო ერთგულება რ. გვეტაძემ სამართლიანად გვიჩვენა, როგორც საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანული თვისება. „მართალი ნოველების“ გმირები გულწრფელი მეგობრობით არიან ერთმანეთთან შემტკიცებული. მათ აკავშირებთ ერთი საერთო მიზანი — სამშობლოს დაცვა:

---

1 ი. ბ. სტალინი, „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, გვ. 169.

„— წავიდეთ დაჭრილებს შველა უნდა! — უთხრა მშვიდად ნოდარმა კორენკოს.

— მესმის! მშვიდადვე უპასუხა მან უფროსს.

თავისი ხმის კილომ კორენკოს მეტი ძალა შემატა. იგი მტკიცე ნაბიჯით გაუვა ნოდარს.

მიწურიდან ამოსვლისას, როცა წელში გაიმართნენ, ერთმანეთს თვალებში ჩახედეს.

— კორენკო, ძმაო, მომეცი ხელი, — უთხრა ნოდარმა მის წინ გაჩერებულ კორენკოს.

— აი, ჩემი ხელი, ჩემი გულიც! — მტკიცედ უპასუხა მან.

ექიმი და სანიტარი ერთმანეთს გადაეხვივნენ.“[1]

ნაწარმოების მოქმედ პირთა ურთიერთ სიყვარული, პატივისცემა, ერთგულება შეპირობებულია მტერზე გამარჯვების დიად მიზანთან. ნოდარი ფრონტზე მიემგზავრება, მეგობრები მას ასაჩუქრებენ: „ამხანაგო ნოდარ!.. ჩემი ცხენი წაიყვანე. ჩვენი მეგობრობის სამახსოვროდ გყავდეს... არ გიღალატებს“.[2]—ეუბნება პეტრო. „ეს ახლა თქვენ უფრო გამოგადგებათ. ერთ გერმანელ ოფიცერს წავართვი. — ქალმა მხედარს რევოლვერი მიაწოდა.“[3]

საინტერესო და კეთილშობილურია ჯარისკაცების სოლოვიოვისა და დუმჩენკოს სიყვარული, მარინას რომანტიკული გატაცება და ნოდართან ერთად მზიური საქართველოს ნახვის ნატვრა.

---

1 „მართალი ნოველები“, გვ. 207.
2 იქვე, გვ. 196.
3 იქვე, გვ. 197.

ომი საბჭოთა ხალხის, მისი გმირი არმიის მატერიალური და სულიერი ძალების მკაცრი გამოცდა იყო. რაოდენ გვეტაძე დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ იწრთობოდა კრიტიკულ მომენტში საბჭოთა ადამიანების ნებისყოფა, რა სულიერ სიმტკიცეს იჩენდნენ ისინი განსაცდელის დღეებში. ეს განსაკუთრებით ცხადად ჩანს ისეთ ეპიზოდებში, როგორიცაა ტყვეობიდან თავდაღწევის მიზნით წითელარმიელთა თავის შეფარება ჭაობში, ნოდარის მიერ მდინარე დნეპრის გადაცურვა, მტრის მიერ მოცელილი პურის ყანიდან, რომელსაც მტერი ისევ აყრიდა ტყვიების სეტყვას, კორენკოსა და ნოდარის მიერ დაჭრილი მეომრების გამოყვანა და მრავალი სხვა.

„მართალი ნოველების" ავტორი განსაკუთრებული ზიზღით, მწვავე სიძულვილის გრძნობით წერს სულმოკლე ადამიანებზე, რომლებიც თავიანთი უბადრუკი სიცოცხლის გადასარჩენად მზად იყვნენ გაეყიდათ სამშობლო, მშობლიური ხალხი. ბუნებრივი და სამართლიანია საბჭოთა ადამიანების აღშფოთება და სიძულვილი ასეთი მშიშარა და უპრინციპო ადამიანებისადმი, იმისადმი, ვინც დაფრთხა და დაკარგა მტერზე გამარჯვების რწმენა, ვინც შიშით მტრის წინაშე ხოხვა დაიწყო. ერთ-ერთი ამგვარი კაცუნაა სავკა.

„როდესაც გერმანელები სოფელში შევიდნენ, სავკა, თურმე, მასპინძელივით შეეგება მათ.

— სალახანა! — ხმამაღლა წამოიძახა მარინამ...“[1] და გადაწყვიტა მოესპო სამშობლოსა და ხალხის საზიზღარი მოღალატე. პატრიოტმა ქალიშვილმა ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა, პირველი შემთხვევისთანავე პირისპირ ბრძოლაში მარინამ ბოლო მოუღო საძაგელ გამცემს.

ეს ეპიზოდი საბჭოთა ადამიანების მგზნებარე პატრიოტიზმის მკაფიო გამოხატულებაა. ხალხისა და სამშობლოს მოღალატე ნაძირალებს კეთილი ნების ადამიანები ყოველთვის ზიზღით, სიძულვილით ეკიდებოდნენ და შეუბრალებლად სპობდნენ. ხალხის მსჯავრი სავკას მსგავსთა მიმართ შესანიშნავად გამოხატა ჯერ კიდევ ვახტანგ VI თავის ცნობილ გამოთქმაში: „სამშობლოს მოღალატეს არავითარ სასჯელს არ ვუნიშნავ, ის ყველაფრის ღირსია.“ მტრისადმი სიძულვილის გრძნობა უკეთილშობილესი გრძნობაა. ვისაც სიძულვილი არ შეუძლია, მან არც სიყვარული იცის.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, რომ საბჭოთა ხალხს, მის გმირ არმიას არ დაეძაბათ ძალა და ენერგია, ყველაფერი არ დაემორჩილებინათ მტერზე გამარჯვებისათვის. ნოდარი, მარინა, კორენკო, პეტრო და სხვ. საბჭოთა სინამდვილეში აღზრდილი გმირული სულის ადამიანები არიან. „ასე შინაგანად თავმოყრილ, ასე შინაგანად გამთლიანებულ ადამიანებს ვერ იპოვით იქ, სადაც თვით ცხოვრებას ღრღნის ღრმა და შეურიგებელი წინააღმდეგობანი, სა-

---

1 „მართალი ნოველები“, გვ. 215.

დაც ჯუნგლების კანონი სუფევს და სადაც ადამიანთა ცხოვრების მთავარ იმპულსს ეგოიზმი შეადგენს.“[1]

* * *

საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მთავარ იმპულსს შეადგენს დიად სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა. საბჭოთა ადამიანის ხასიათის ძირითადი თვისებები — ნებისყოფის სიმტკიცე, მორალური ძალა, სულიერი სიდიადე, ბედზე გაბატონების უნარი კომუნისტურ მშენებლობაში მისი მონაწილეობის პროცესში მუშავდება.

თუ როგორ წარმართავს, როგორ ამდიდრებს და ამაღლებს ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა ადამიანის სულიერ სამყაროს, ნაჩვენებია რაჟდენ გვეტაძის სამამულო ომის თემაზე დაწერილ უკანასკნელ მოთხრობაში „ცხოვრება იწყება თავიდან“.[2]

პატრიოტიზმთან და პროლეტარულ ჰუმანიზმთან ერთად ამ მოთხრობაში მწერალი ყურადღებას ამახვილებს შრომის როლზე, მის უდიდეს გარდამქმნელ მნიშვნელობაზე. იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და შრომა განთავისუფლდა კაპიტალის ტყვეობისაგან, იგი — შრომა გახდა ადამიანის ცხოვრების, ადამიანის ხასიათის გამომუშავების ძირითადი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორი.

---

1 ლ. კალანდაძე, ბიბლიოგრაფია „მართალი ნოველები“, „მნათობი“, 1949 წ., № 7, გვ. 157.

2 გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, 1949 წ.

საბჭოთა ადამიანის სულიერ სახეს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს შრომისადმი მისი შეგნებული დამოკიდებულება. რ. გვეტაძე ასახავს შრომის არა ტექნიკურ მხარეებს, არამედ საბჭოთა ადამიანის დამოკიდებულებას შრომისადმი, მისი სულის ღელვასა და მოძრაობას, იმას, რასაც განიცდის იგი შრომის პროცესში, როგორ ხდება შრომა ახალი, საბჭოთა ადამიანის ღვიძლ, საკუთარ საქმედ და რა როლს ასრულებს შრომა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაში.

„შრომას ჩვენში, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, იგი ღირსებისა და სახელის საქმეს წარმოადგენს. მშრომელი ადამიანი ჩვენში თავს გრძნობს თავისი ქვეყნის თავისუფალ მოქალაქედ, ერთგვარ საზოგადოებრივ მოღვაწედ. და თუ იგი კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რის მიცემაც შეუძლია — ის შრომის გმირია, იგი დიდებითაა შემოსილი“.[1]

ამიტომ არის, რომ საბჭოთა მწერლები თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სოციალისტურ შრომას: ეს თემა ასახეს, მაგალითად, პ. პავლენკომ („ბედნიერება“), ა. ჭეიშვილმა („ლელო“), ლ. ქიაჩელმა („გვადი ბიგვა“) და სხვ.

რ. გვეტაძის მოთხრობა „ცხოვრება იწყება თავიდან“ როგორც თემატურად, ისე იდეური მიზანდასახულობით რამდენადმე ენათესავება პ. პავლენკოს რომანს „ბედნიერება“. ორივე ამ ნაწარმოების ძირითადი იდეა ის

1 ი. ბ. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 629 (1952 წლის გამოცემა).

არის, რომ იდეური ცხოვრება ადამიანს მტკიცედ აკავშირებს მშობლიურ ხალხთან, კოლექტივთან, ზრდის მასში საერთო-სახელმწიფოებრივი საქმისადმი პასუხისმგებლობის გრძნობას, შესაძლებლობას აძლევს სწორად შეახამოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები, დაიკავოს გარკვეული ადგილი ცხოვრებაში. საბჭოთა ადამიანის პირადი ბედნიერების წყაროა საზოგადოებრივი შრომა და სიყვარული. მისი პირადი ბედნიერება მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი ხალხის ბედნიერებასთან, კომუნიზმის მშენებლობასთან. სოციალისტურ შრომაში აქტიური მონაწილეობა ავიწყებს საბჭოთა ადამიანს „საყოფაცხოვრებო წვრილმანებსა და პირად უსიამოვნებას".[1]

მოთხრობის „ცხოვრება იწყება თავიდან" მთავარი მოქმედი პირი ბააკა მინდელი დემობილიზებულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებიდან ჯერ კიდევ მაშინ, როცა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ზარბაზნები გრიალებდა. ცალი თვალით დაბრმავებული ბააკა ფრონტზე ნაპოვნ უპატრონო ბავშვთან—ნათელასთან ერთად დაბრუნდა თბილისში, მაგრამ აქ მრავალჭირგამოვლილმა ახალი უბედურება შეიტყო. ბააკას ომში ყოფნის დროს დაეღუპა ერთადერთი შვილი ცაბუ, შვილის დარდს გადაჰყვა საყვარელი მეუღლეც. ამგვარად, საკუთარი კერა ჩამქრალი და გაცარცვეული დახვდა ბააკას. იგი იმდენად შეიპყრო მწუხარებამ, რომ „ნათელაზე გული

1 ვ. კალინინი, „კომუნისტური აღზრდის შესახებ", 1948 წ., გვ. 26.

აიყარა, თითქოს წყინდა, რომ ცაბუ მკვდარი იყო. ეს კი ცოცხალი."[1]

გავიდა დრო, ბააკამ ძალა მოიკრიბა, „ცაბუს სიყვარული შვილობილზე გადაიტანა და იგი ახლა უფრო ძვირფასი გახდა მისთვის, ვიდრე მანამდე იყო".[2] ნათელასათვის ზრუნვა იყო ერთადერთი ძაფი, რომელიც ბააკას ცხოვრებასთან აკავშირებდა. სხვა მხრივ კი საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოშორებული, საკუთარ დარდებთან ჩაკეტილი ბააკა ყველაფერს დაღუპულად და დამთავრებულად თვლიდა: „გადავრჩი. მაგრამ. ვაი ასეთ გადარჩენას, ცალი თვალი დავკარგე... ამას როდი ჩაეგდებდი რამედ, რომ..."[3] ამბობდა მწუხარებით სასოწარკვეთილი ბააკა.

ინდივიდუალური ბედის მოღალატეობამ ბააკა მინდელი აქცია უნებისყოფო, სუსტ და უძლურ ადამიანად. გაქრა წინანდელი ტრფობა სიცოცხლისადმი, სულიერი ძალა. ბააკას აშკარა დაღუპვა მოელოდა და იგი დაიღუპებოდა კიდეც, თუ არა საბჭოთა გარემო.

საბჭოთა სინამდვილე, საბჭოთა გარემო ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოსვლის დიდ სტიმულს უქმნის ახალგაზრდობას, ყველა საბჭოთა მოქალაქეს. ომამდე ბააკა მინდელი და მისი მეუღლე — ევდო ხალისითა და ენთუზიაზმით ემზადებოდნენ საბჭოთა ოჯახის შექმნისათვის. მათ ჯერ კიდევ სტუდენტობისას ჩაუყარეს საფუძველი შინაარსიან ლამაზ ოჯახს. დაამთავრებდნენ თუ

1 „ცხოვრება იწყება თავიდან", 1949 წ., გვ. 127.
2 იქვე. გვ. 128.
3 იქვე. გვ. 136.

არა სამედიცინო ინსტიტუტს, გადაწყვეტილი ჰქონდათ მაშინვე ჩაბმულიყვნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავიანთი წვლილი შეეტანათ კომუნიზმის დიად მშენებლობაში. მათ. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, მთელი თავიანთი არსებით უყვარდათ სამშობლო, ბედნიერი ცხოვრების პირველი სამკვიდლო. კანონიერი სიამაყის გრძნობით ეტრფოდა ევდო მშობლიურ ქალაქს: „ასეთი ლამაზი ქალაქი ნეტავი თუ კიდევ იქნება სადმე". — ამბობდა იგი ახალი თბილისის შესახებ.

მოულოდნელად დაიწყო ომი. ვერაგმა მტერმა დაარღვია მთელი საბჭოთა ხალხის, მათ შორის ბაკას ნორმალური ცხოვრებაც, მძიმე განსაცდელი და ენით გამოუთქმელი მწუხარება დაატეხა მას, შეუქმნა დაბრკოლებები, რომელთა გადალახვა დიდ სულიერ ენერგიას მოითხოვდა. ბაკამ გამოსცადა ფრონტის მძიმე ცხოვრება, თავი დააღწია ტყვეობას, გაუძლო შიმშილს, სიკვდილის განსაცდელს, დაჰკარგა ცალი თვალი, მაგრამ ნებისყოფას არ უღალატნია, ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა კრიტიკული მომენტებიდან. ახლა კი, როცა ოჯახის უბედურება თვალწინ გადაეშალა, ველარ შეძლო ბედს გამკლავებოდა, გადაელახა სიძნელე, გაეძლო მწუხარებისათვის, მოენახა ცხოვრების გზა, დაეწყო იგი თავიდან.

და აი მას დაეხმარა დედობილი ეკა. მან ბაკას ცხოვრების მიზანი — ხალხისათვის სასარგებლო მოღვაწეობა, ადამიანებისადმი გულისხმიერება და მზრუნველობა მოაგონა: „მართალი გითხრა, სათაკილოცაა,

რომ კუტიკით, ნიადაგ სახლში ზიხარ და ეზოს გადალმა ფეხის გადადგმა გეზარება. აგრე როგორ შეიძლება. ტყვილადმყოფ კაცს ისე შეეკამს დარდი, როგორც უქმად მიგდებულ რკინას ჟანგი. ჰოდა, რატომ უნდა გააცვეთინო გული მწუხარებას? ექიმი ხარ, საჭირო ხარ, მიეშველე ხალხს... ამოუდექი მხარში ქვეყანას.“[1]

ეკას პირით საბჭოთა ხალხი მეტყველებდა. იგი ეძახდა თავის შვილს, რომელიც დროებით მორალურ სიძაბუნეს შეეპყრო- და უქმად, საკუთარ დარდებთან ატარებდა დროს. როგორ შეეძლო ბააკას არ გაეგონა თავისი დედისმაგიერის ხმა. არ მიჰყოლოდა დიადი ცხოვრების მოწოდებას!

სამშობლოსა და ხალხის სამსახურის დიადი მიზნებით ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ კაცობრიობის პროგრესული ადამიანები. „ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი — ეს არის სიცოცხლე. იგი მას ერთხელ ენიჭება და უნდა გაატაროს ისე, რომ უაზროდ გავლილი წლებისათვის არ გრძნობდეს მტანჯველ ტკივილებს, რომ არ დასწვას სირცხვილმა საძაგელი და წვრილმანი წარსულისათვის და სიკვდილის ჟამს შეეძლოს თქვას: „მთელი სიცოცხლე და მთელი ძალები მოვახმარე მსოფლიოში ყველაზე მშვენიერს — კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.“ ასე ესმოდა ნიკოლოზ ოსტროვსკის ადამიანის მოწოდება და ეს აზრი შესანიშნავად გამოთქვა თავის რომანში „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

---

1 „ცხოვრება იწყება თავიდან“, 1949 წ., გვ. 136.

ეკას სახით საბჭოთა ხალხი, საბჭოთა გარემო ამ მაღალი მოწოდების შესრულებისაკენ უხმობდა ბააკას და ცდილობდა გამოეყვანა იგი სულიერი დაცემულობისა და აპათიის მდგომარეობიდან.

ამ მოწოდების ჭეშმარიტება კიდევ უფრო ნათელი გახდა ბააკასათვის ომის დამთავრების პირველსავე დილას, როცა იგი შეესწრო ლენინის მოედანზე გამართულ ხალხის საყოველთაო დღესასწაულს. უცქერდა თანამემამულეების უნაპირო სიხარულს ბააკა და ფიქრობდა: „დიდი მსხვერპლი გაიღო ხალხმა, მაგრამ ამ თავგანწირვის შედეგი ისეთი ბრწყინვალეა, რომ საკუთარი ტკივილიც უკვე აღარ გტკივა კაცს.“[1]

გამარჯვებული საბჭოთა ხალხის საყოველთაო დღესასწაულში ბააკამ დაინახა ცხოვრების უწყვეტი ძალა, საბჭოთა ადამიანების მაღალი პატრიოტული შეგნებისა და შემოქმედებითი სტიქიის ძალა. ამ ძალით შთაგონებული საბჭოთა ადამიანები გადაბუგული სოფლების აღდგენაზე ოცნებობდნენ მაშინ, როცა სოფლების განაპირას ჯერ კიდევ მტრის ზარბაზნები გრიალებდა. „ოღონდ მზე დაგვნათოდეს, მიწამ მოსავალი მოგვცეს და ჩვენი მშობლიური ხელისუფლება იყოს, ჩვენ ხუთიოდე წელიწადში კვლავ წელში გავიმართებით, კვლავ, ყველაფერს ავაშენებთ. სიცოცხლის უნარი გვაქვს.“[2] ამბობს სოფელ პლავნის მცხოვრები მოხუცი კოლმეურნე მიხეილი და საბჭოთა მფრინავს მერესიევს მომავალი სოფლის მისამართს აძლევს: ჰოსპიტალი-

1 „ცხოვრება იწყება თავიდან“, გვ. 144.
2 ბ. პოლევოი, „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, გვ. 129.

დან წერილი მოგვწერე!.. კალინინის ოლქი, ბოლოგოვსკის რაიონი, მომავალი სოფელი პლავნი. მომავალი, ჰა? არა უშავს რა, მივიღებთ, მისამართი სწორია!"[1]

საკუთარი ძალებისადმი ურყევი რწმენიდან მომდინარეობს საბჭოთა ადამიანების ოპტიმიზმი, მომავლის მტკიცე იმედი. ოჯახურმა უბედურებამ დაუკარგა ბაკა მინდელს როგორც საკუთარი ძალის რწმენა, ისე მომავლისაც. ახლა კი, როცა ომის დამთავრების პირველსავე დილას თვალნათლივ ნახა გამარჯვებულთა საყოველთაო ზეიმი, რომელიც ცხადად გამოხატავდა ხალხის ოპტიმიზმს, შემოქმედებითს პათოსს. სიხარულს, დიადი მომავლის ურყევ რწმენას, ბაკა კვლავ აენთო მშობლიური ხალხისადმი სპეტაკი და უანგარო სამსახურის ცეცხლით, ლენინის მოედნიდან პირდაპირ რუსთაველისაკენ გაეშურა და იქ, ინდუსტრიის ახალი კერის გაჩაღებაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა.

ისევე როგორც ყველა საბჭოთა მოქალაქეს, ბაკას სწამდა შრომის სიკეთე, ცხოვრების ძირითად მიზანს შრომაში ხედავდა: „ვისაც შრომა არ შეუძლია, მას სიყვარულიც არ შეუძლიაო",[2] — იტყოდა იგი ხოლმე და, აი, საბჭოთა გარემომ, საბჭოთა ხალხმა კვლავ გააღვიძა ბაკაში შრომისადმი სიყვარულის დროებით მიძინებული გრძნობა. ეს უკვე დასაწყისი იყო და უტყუარი პირობაც იმისა, რომ ბაკა მინდელი დაძლევდა ინდივიდუალური ბედის მოღალატეობით გამოწვეულ სისუს-

1 ბ. პოლევოი, „ამბავი ნამდვილი ადამიანისა", გვ. 129.
2 „ცხოვრება იწყება თავიდან". გვ. 147.

ტეს. თვითონ დაიმორჩილებდა ბედს და თავიდან დაიწყებდა ცხოვრებას.

მოთხრობის დასასრულს რ. გვეტაძე გვიჩვენებს ჩვენი ინდუსტრიული კერის — რუსთავის მშენებლობის დასაწყისს: „გარეჯისა და იალღუჯის მთებს შორის გაშლილ, ვრცელ ტაფობზე, ოდესღაც განთქმულ ბოსტანქალაქის, წალკოტოვანი რუსთავის ამ გაჩანაგებულ ფუძეზე, დღითი დღე ჩნდებოდნენ ახალი საძირკვლები, ახალი სართულები და იბადებოდა ახალი ცხოვრება“.[1]

ბაკა მინდელი მთელი გატაცებით ჰკიდებს ხელს რუსთავის მშენებელთა ჯანმრთელობის დაცვას. მას თანდათან ემატება ძალა და ენერგია, სიცოცხლის წყურვილი. ამასთან დაკავშირებით მწერალი ხაზს უსვამს საბჭოთა გარემოს დიდ აღმზრდელობით და შთამაგონებელ როლს: „რუსთავში მისვლისას, ბაკა მუდამ დაუშრეტელ ძალასა და სიცოცხლის წყურვილს გრძნობდა: მას აღაფრთოვანებდა ამ გავერანებულ ველზე ადამიანთა ნამოქმედარი და მათი დაუცხრომელი შრომის ნაყოფის ხილვა“.[2]

ადამიანის სულიერ გაჯანსაღებაზე ~~საბჭოთა~~ გარემოს გავლენა განსაკუთრებით კარგად გვიჩვენა პ. პავლენკომ რომანში „ბედნიერება“. დამსახურებულმა კომუნისტმა, გამოცდილმა პარტიულმა ხელმძღვანელმა პოლკოვნიკმა ვოროპაევმა ავადმყოფობისა და ინვალიდობის გამო გადაწყვიტა გამოთიშოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. იგი ოცნებობდა განმარ-

1 „ცხოვრება იწყება თავიდან“, გვ. 146.
2 იქვე.

ტოებულ ცხოვრებაზე. და, აი, ევროპაევი შეხვდა ყუ-ბანიდან ყირიმში დასასახლებლად ჩასულ კოლმეურნე-ებს, რომელთა შორის ინვალიდებიც იყვნენ. როცა დაი-ნახა, თუ როგორი ოპტიმიზმით, ენერგიითა და მომავ-ლის რწმენით სახლდებოდნენ ახალ ფუძეზე კოლმეურ-ნენი, ევროპაევს პირველად შერცხვა თავისი ჩამორ-ჩენილი, უსაფუძვლო, გაუმართლებელი ოცნებისა ობი-ვატელურ, პირად ბედნიერებაზე. ამ დღიდან ევრო-პაევმა სისულელედ მიიჩნია მისწრაფება განმარტოე-ბული ცხოვრებისაკენ და ენერგიულად ჩაება საზოგა-დოებრივ საქმიანობაში.

ასე ძლია და გაიმარჯვა ხასიათის საბჭოთა საწყისმა როგორც პოლკოვნიკ ევროპაევის, ისე ბაკა მინდელის შემთხვევითსა და ავადმყოფურ განწყობილებაზე. და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგანაც საბჭოთა ადამიანის სულში არის „პოტენციური მზადყოფნა"[1] სიძნელეთა გადასალახავად. ამავე დროს ადამიანის სულიერი გაჯან-საღება პირობადებულია საზოგადოებრივი ყოფის, საბ-ჭოთა გარემოს მიერ.

საბჭოთა გარემომ დაამსხვრია ბაკას კარჩაკეტილი ცხოვრება, იგი შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაება.

ეს ნიშნავდა, რომ ბაკამ ცხოვრება თავიდან დაიწ-ყო, მაგრამ მწერალმა საჭიროდ ჩათვალა შემოქმედებით შრომასთან ერთად ეჩვენებინა სიყვარულიც, თუმცა ამას მოთხრობის განვითარება არ მოითხოვდა. „ვისაც

1 მ. კალინინი, „კომუნისტური აღზრდის შესახებ", 1948 წ., გვ. 319.

შრომა არ შეუძლია, მას სიყვარულიც არ შეუძლია — ათქმევინებს იგი ბააკას. „უსიყვარულოდ სიცოცხლეს კი ბევრად ჯობია სიკვდილი,— დაასკვნა მან და... რატომღაც უცებ ეთერი მოაგონდა.“1

სწორედ იმის გამო, რომ არ გამომდინარეობს მოთხრობის განვითარებიდან, ეთერისა და ბააკას სიყვარული მოკლებულია დამაჯერებლობას. მწერალი არ იძლევა ამ სიყვარულის საფუძველს, ვერ მიგვითითებს მისი აღმოცენებისა და ზრდის წყაროებზე. ბააკას ეთერისადმი დამოკიდებულებაში არ ჩანს ადამიანის ბედნიერების მომნიჭებელი სიყვარული. მათ გული არ გადაუხსნიათ ერთმანეთისათვის, არაფერი გაუკეთებიათ სულიერი დაახლოებისათვის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეთერი სიბრალულის გამო გაჰყვა ბააკას. საერთოდ ეთერისა და ბააკას სამიჯნურო თავგადასავალში (მოთხრობაში ეს თავგადასავალი ძალიან მკრთალად არის წარმოდგენილი, ამავე დროს იგი ნაძალადევი და ხელოვნურად შეკოწიწებულია) მკითხველს არაფერი არ ხიბლავს.

მეტად საინტერესო მხატვრული სახეა ეკა. „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ეკა არის ქართველი დედის ერთ-ერთი მეტად ნათელი მხატვრული სახე... რაჟდენ გვეტაძემ შესძლო ქართველი საბჭოთა დედის შესანიშნავი მორალური თვისებების მხატვრული ჩვენება.“2

1 „ცხოვრება იწყება თავიდან“, გვ. 147.
2 ლ. კალანდაძე, ბიბლიოგრაფია, „ცხოვრება იწყება თავიდან“, „მნათობი“ № 7, 1949 წ., გვ. 154.

უპირველეს ყოვლისა ეკას პიროვნებაში ჩვენ გვხიბლავს დაბრკოლების გადალახვის უნარი, ქედუხრელობა გაჭირვებაში. მწერალი გვიამბობს ეკას რევოლუციამდელი ცხოვრების შესახებ. ახალგაზრდა ეკას პირველ მსოფლიო ომში დაეკარგა ქმარი. „იგი ვარამს მოერია და ქმრის ეზო-კარზე ჯარასავით იწყო ტრიალი. უდროოდ დაქვრივებული მუდამ იმის ცდაში იყო ოჯახს უკაცობა არ დატყობოდა, ბავშვს — უმამობა“,[1] თავის ვაჟიშვილს ეკამ უმაღლესი განათლება მიაღებინა და ცხოვრების ფართო შარაგზაზე გამოიყვანა.

ეკა არა მარტო თავისი, არამედ სხვისი გაჭირვების მკურნალიცაა. იგი ნამდვილ დედობას უწევს ბააკასა და ევდოს, ხოლო ბააკას ომში წასვლის შემდეგ პატარა ცაბუს მოვლა-პატრონობას მთლიანად თვითონ კისრულობს, რომ ამით ევდოს საშუალება მისცეს სამშობლოს წინაშე თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს.

დაიღუპნენ ცაბუ და ევდო. ეკამ კარგად იცის, რომ „დაჩაჩანაკებული ადამიანი არც ჭირში ვარგა და არც ლხინში“. იგი იწყებს ბააკასათვის ზრუნვას, ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ჭირი ადვილად გადაატანინოს. ჭირში ნაცადი ეკა უკან არასოდეს არ იხედება. იგი მომავალს შეჰხარის: „რაც მოხდა, მოხდა,— ამბობს ეკა ცაბუსა და ევდოს სიკვდილის გამო,—საჭიროა ცოცხლებზე ვიფიქროთ“. ოპტიმიზმი, მომავლისათვის ზრუნვა და სიცოცხლის სიყვარული, რომლებიც ეკას ახასიათებს,

1 „ცხოვრება იწყება თავიდან“, გვ. 56.

შედეგია იმისა, რომ იგი მიეჩვია ყველგან და ყველაფერში დაბრკოლებების დაძლევას და პირადი ინტერესების საერთო საქმის ინტერესებისადმი დამორჩილებას. იმის გამო, რომ ეკას გრძნობები დაქვემდებარებული ხასიათისაა, იგი მუდამ იმარჯვებს ცხოვრების უარყოფით ძალებზე.

ვაჟა-ფშაველას პატრიოტი ქალი სანათა, რომელმაც მტერთან ბრძოლაში შვიდი შვილი და ქმარი დაკარგა, ნატრობდა:

> თუ ამამყრიდით მტრის ჯავრსა,
> შვილთ არც-კი მოვიგონებდი,
> რალა მიჭირდა, თუ მტრისას
> გაჟლეტას გავიგონებდი.1

ის, რაც სანათასათვის იდეალია, ეკასათვის სინამდვილეა, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, ეკას სწამდა, რომ „საბჭოთა ქვეყნის მიწა-წყლის დასაცავად ამოწვდილი მახვილი დღეს თუ არა ხვალ მაინც უთუოდ გაიმარჯვებდა... მას სჯეროდა, რომ სიკეთე ძლევდა ბოროტებას“.2

ადამიანის ღირსების საქმედ ქართველ დედას ყოველთვის ქვეყნის წინაშე ვალის მოხდა მიაჩნდა. მაღალი პატრიოტული შეგნებით გამსჭვალული ქართველი დედა სიბერის ერთადერთ იმედს — შვილს მამულის დასაცავად ბრძოლაში გზავნიდა:

---

1 ვაჟა-ფშაველა, რჩეული ნაწერები, 1936 წ., გვ. 228.
2 „ცხოვრება იწყება თავიდან“, გვ. 95.

ჩემი სიბერის მისაყრდნობად ისღა მშთენია, —
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია.1

ამბობდა ილია ჭავჭავაძის ქართველი დედა.

გაჭირვებისაგან დაძაბუნებულ ბააკას ეკა სამშობლოსა და ხალხის სამსახურისაკენ მოუწოდებს: „მიეშველე ხალხს... ამოუდექი მხარში ქვეყანას“.

მოთხრობაში „ცხოვრება იწყება თავიდან“ კარგად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები საბჭოთა სინამდვილეში ადამიანის საზოგადოებრივი გრძნობების ზრდა-განვითარება. ბააკა და ეკა საკმაოდ სრულყოფილი, ტიპობრივი მხატვრული სახეებია.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მოთხრობის ზოგიერთი არსებითი ნაკლოვანება.

მოთხრობის ფაბულის ერთ-ერთ კვანძს, როგორც ეს სალიტერატურო კრიტიკაშიც აღინიშნა, უბედური შემთხვევა შეადგენს. ეს შემთხვევა მწერალმა ჯერ კიდევ ნაწარმოების ექსპოზიციაში შეამზადა. „კიბის პირველი საფეხურის ცალ მხარეს თოხის მსგავსი რკინა ესო ყუით... ბოლოხანებში მისი დანახვა ჟრუანტელს გვრიდა ევდოს. რატომღაც ეგონა ცელქი ცაბუ ერთხელაც იქნებოდა ზედ რამეს დაიშავებდა“.2 გამართლდა ევდოს შიში. ღამით განგაშის დროს ევდომ საბანში გახვეული ბავშვი გარეთ გაიტაცა, კიბეზე ფეხი დაუსხლტდა, ბავშვმა რკინას თავი დაჰკრა და მოკვდა. შვილის დარდს ევდოც ემსხვერპლა.

1 ი. ჭავჭავაძე, ტ. 1.
2 „ცხოვრება იწყება თავიდან“, გვ. 8-9.

ცაბუსა და ევდოს სიკვდილი ვერ გამოხატავს იმ დიდ ტრაგედიას, რომელიც ომმა თავს დაატეხა საბჭოთა ხალხს. ეს უბედური შემთხვევა არც სინამდვილის არსებითი და ძირითადი ტენდენციის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს. რადგანაც იგი ხასიათისა და ვითარების შინაგანი ლოგიკით არ არის შემზადებული, არამედ იგი საბედისწერო წინათგრძნობას უკავშირდება.

რაც შეეხება უბედური შემთხვევის წინათგრძნობას (ევდოს შიში, ან კიდევ ნოდარის სიზმარი ტყვედ ჩავარდნის წინ „მართალ ნოველებში") არაფრით არ არის გამართლებული. ამგვარი „წინასწარმეტყველება" ცრურწმენის შთაბეჭდილებას ქმნის და, რა თქმა უნდა, ადაბლებს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ დონეს.

მოთხრობაში „ცხოვრება იწყება თავიდან" ზოგიერთი სახე მკრთალი და სქემატურია, არ გამოხატავს ცხოვრების კანონზომიერებას. მხედველობაში გვაქვს ეთერი, ცაბუ და ევდო. ეს უკანასკნელი ეკასაგან განსხვავებით უნებისყოფო და ჯაბანი პიროვნებაა. მან ვერ აიტანა პირადი უბედურება — შვილის სიკვდილი და დარდით გარდაიცვალა. მოსალოდნელი იყო კი პირიქით.

* * *

სამამულო ომის პერიოდში რაჟდენ გვეტაძემ გამოაქვეყნა აგრეთვე რამდენიმე საბავშვო ლექსი. ეს ლექსები როგორც თემატურად, ისე იდეური მიზანდასახულობით უერთდება მწერლის იმ ნაწარმოებებს, რომ-

ლებიც გამსჭვალულია ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით — ხელი შეეწყო საბჭოთა ხალხის გამარჯვებისათვის დიდ სამამულო ომში.

რაჟდენ გვეტაძის საბავშვო ლექსებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა 1942 წელს ცალკე წიგნაკებად[1] გამოცემული ლექსები „სენკას თავგადასავალი“ და „პატარა გუშაგი“, რომლებიც გამსჭვალულია პატრიოტიზმისა და პროლეტარული ჰუმანიზმის გრძნობებით.

პოეტი განაზოგადებს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ბავშვების მონაწილეობის კონკრეტულ, ტიპობრივ ფაქტებს, მარტივი, გასაგები ენით მოგვითხრობს საბჭოთა ახალგაზრდების მზადყოფნაზე, მათს გამბედაობასა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულზე.

„ციდა მიშა“ გუშაგ სერგოს შვილიშვილია. ერთხელ რკინიგზის საგუშაგო უბნის დათვალიერებისას სერგომ შეამჩნია, რომ ლიანდაგი მტერს დაეზიანებინა და სასწრაფოდ გაეშურა საბჭოთა არმიელების ნაწილში, საგუშაგოზე კი პატარა მიშა დატოვა, თოფი ჩააბარა და უთხრა:

ჩემო ბიჭო,
დაიკავე შენ ეს თოფი
და იცოდე, არ მოუშვა
ახლოს მტერი დაუნდობი.[2]

---

1 წიგნაკები დასურათებულია, ტექსტი მოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე. სურათები ს. ნადარეიშვილის, თარგმანი ეკუთვნის ბ. სერებრიაკოვს, გამომცემლობა საბლიტგამი.

2 „პატარა გუშაგი“, გვ. 2.

დივერსანტი, რომელიც ხეს ეფარებოდა, სასწრაფოდ გამოძვრა და მიშას ვითომდა გულისტკივილით მიმართა:

და მოვიდა, გაიოცა:
— რა მომხდარა, ეს რა ვნახე! —
მაგრამ მიშას როდი მოსწონს
უცნობ კაცის ქცევა, სახე.1

მიშა არ დაიბნა. იცის რა თავისი მოვალეობა, პატარა გუშაგი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა:

დაუმიზნა მარჯვედ თოფი
და შესძახა: „ხარ წყეული,
არ გაინძრე და იდექი
მაღლა ხელებ აწეული!"2

ბაბუამ მალე საბჭოთა არმიელები მოიყვანა. მათ შეიპყრეს დივერსანტი.

ლექსი „პატარა გუშაგი" შთამაგონებელი და აღმზრდელობითი ძალისაა. მიშას გამბედაობა, გულისხმიერება და საზრიანობა სამშობლოსათვის თავდადების, საერთო სახალხო საქმეში საბჭოთა ბავშვების მონაწილეობის კარგი და ერთ-ერთი ტიპობრივი მაგალითია. პოეტი არ მიმართავს დარიგებას, მშრალ დიდაქტიზმს. ლექსის სიუჟეტური განვითარებიდან ნორჩი მკითხველი თავისთავად გამოიტანს დასკვნას, შეიგნებს მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

---

1 „პატარა გუშაგი", გვ. 2.
2 იქვე.

პატრიოტიზმი და პროლეტარული ჰუმანიზმი როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის, ისე კერძოდ ახალგაზრდობის წმიდათა წმიდა გრძნობაა. რ. გვეტაძე პატარა ეპიზოდით კარგად ხატავს ამ დიდი გრძნობის ძალას.

სენკა თავისი ერთგული ძაღლით ტყეში ხესთან დგას და „სურს სამშობლოს ემსახუროს, დღეს ჩავარდნილს დიდ საფრთხეში“.[1] ძაღლმა შეამჩნია დაჭრილი წითელარმიელი. ძაღლს სენკა დაედევნა:

ხედავს: ძირს წევს არმიელი,
დაჭკარგვია დაჭრილს გონი.[2]

და სენკამ არმიელის დახმარება გადაწყვიტა, უნდა წაიყვანოს, მაგრამ ძალა არ ეყო — „მძიმე ტვირთი ვეღარ ზიდა“. შემდეგ სხვა გზა მონახა, არმიელს ჩანთიდან ქაღალდი და ფანქარი ამოართვა, ქაღალდი მუხლებზე დაიდვა და ბებიას წერილი მისწერა. სენკამ წერილი ძაღლს გაატანა. ძაღლი უკან დაბრუნდა, თან მოიტანა ბებიას გამოგზავნილი ფუთა.

სენკამ დაჭრილს მზრუნველობით
წინ დაუწყო პური, ყველი,
როგორც კარგმა სანიტარმა
შეუხვია თანაც ხელი.[3]

ამ დროს საბჭოთა არმიელებიც გამოჩნდნენ, რომლებიც დაჭრილ მეომარს ეძებდნენ. მათ ერთის ნაცვლად სამი მეგობარი იპოვეს:

---

1 რ. გვეტაძე. „სენკას თავგადასავალი“, გვ. 2.
2 იქვე.
3 იქვე.

ამგვარად და ამ ყოფაში,
სადაც იყო მწვანე ბარი,
სამმა წითელარმიელმა
ნახა სამი მეგობარი.1

ასე მკაფიოდ გვიჩვენებს პოეტი, რომ ჩვენი ხალხის შეგობრობის ძალა ურთიერთგაგების, ურთიერთდახმარების, საერთო მტრისადმი სიძულვილისა და სამშობლოს წინაშე მოვალეობის შეგნებაშია. ეს ლექსიც, ისევე როგორც „პატარა გუშაგი“, გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ჰუმანიზმის იდეებით.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ამგვარი აღმზრდელობითი ხასიათის მხატვრული ლიტერატურის მნიშვნელობა გაცილებით უფრო დიდი იყო. სხვა საბჭოთა მწერლებთან ერთად რაჟდენ გვეტაძემ თავისი წვლილი შეიტანა საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარების კეთილშობილურ საქმეში.

* * *

ვერაგ მტერზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების ინტერესებს ემსახურებოდა რაჟდენ გვეტაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობაც, რომელიც ფართოდ გაიშალა სამამულო ომის წლებში.

ცნობილია, რომ მწერალი ჩვეულებრივ თარგმნის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც ესიტყვება თვით მის განწყობილებებს, იდეებს, მისწრაფებებს. ამიტომ იყო,

1 რ. გვეტაძე, „სენკას თავგადასავალი“, გვ. 2.

რომ რ. გვეტაძე თარგმნიდა საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც გამსჭვალულია პატრიოტული მოტივებით, ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია „სიმღერა როლანდზე"[1], რომელიც ღრმად ასახავს გმირობისა და პატრიოტიზმის დიად გრძნობას. მისი გმირები როლანდ და ოლივიე ტარიელივითა და ავთანდილივით ძმადნაფიცები არიან და სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირვით იბრძვიან.

პოემაში ხაზგასმულია ფრანგი მშრომელი ხალხის იდეალი პირდაპირობისა, გამბედაობისა, გმირობისა და სამშობლოს უანგარო სიყვარულისა. ამდენად, მისი თარგმნა სასარგებლო და მიზანშეწონილი იყო.

რ. გვეტაძემ თარგმნა აგრეთვე ინდური ეპოსი „რამაიანა", რომელიც პირველად 1943 წელს გამოსცა, ხოლო მეორედ — 1948 წელს.

„რამაიანა" დაიმღერა ინდოეთის პირველმა პოეტმა ვალმიკიმ. ლიტერატურის ისტორიას მიაჩნია, რომ ეპიური ჟანრის „ეს დიდი ეპოპეა წარმოშობილია III და IV საუკუნეებში ჩვენს ერამდე".[2]

ის ფაქტი, რომ ამ პოემამ საუკუნეებს გაუძლო, მოწმობს მის ღრმა იდეურობას, მაღალ მხატვრულ

---

1 „სიმღერა როლანდზე", ფრანგულიდან სიტყვა-სიტყვით თარგმნა ს. იორდანიშვილმა, თეთრი ლექსით გამართეს პოეტებმა რ. გვეტაძემ, ხ. ვარდოშვილმა და ალ. აბაშელმა.

2 К. Маркс, Хронологические выписки по истории Индии, 1947 წ., გვ. 52.

დონეს. „რამაიანა“ გამსჭვალულია სამშობლოს დაცვისა და ხალხის ერთგულების მარადიული გრძნობებით.

რაც შეეხება მის ქართულ თარგმანს, ს. იორდანიშვილის აზრით, „24 საუკუნის შემდეგ რამას გმირობისა და თავდადების ამბავი კიდევ უფრო მეტ სიმტკიცესა და მიმზიდველობას პოულობს ქართველი პოეტის რაჟდენ გვეტაძის მიერ ტკბილი ქართულით ამღერებულ რამას სადიდებელ ჰიმნებში“.[1]

უკრაინელი ხალხისა და მისი კულტურისადმი პოეტის დიდი სიყვარული უშუალო გამოძახილია უკრაინელი მწერლის ვასილ კოზაჩენკოს „ახალი ნაკადების“ თარგმანი.[2]

წიგნში „ახალი ნაკადები“ მოთავსებულია ვ. კოზაჩენკოს ორი მოთხრობა. პირველი — „ოქროს შემოდგომა“ ასახავს უკრაინელი ხალხის გმირულ პარტიზანულ ბრძოლას დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, ხოლო მეორე — „ახალი ნაკადები“ ქართველ მკითხველს აცნობს მოძმე უკრაინის ხალხის ცხოვრებას, მათს გმირულ შრომას ომისშემდგომ წლებში. ვ. კოზაჩენკოს მოთხრობებში ყურადღებას იპყრობს ახალი საბჭოთა ადამიანების მხატვრული სახეები, მათ შორის გმირი ქართველი პარტიზანი, აგრეთვე უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა დიადი მეგობრობა, რომელიც კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს მათ შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

---

1 წინასიტყვაობა „რამაიანა“, 1943 წლის გამოცემა.
2 რ. გვეტაძემ „ახალი ნაკადები“ თარგმნა 1951 წელს.

1950 წელს ა. მირცხულავასთან და გრ. ცეცხლაძესთან ერთად რ. გვეტაძემ თარგმნა XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის ნ. ა. ნეკრასოვის პოემა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“.

ნ. ნეკრასოვის ამ პოემის დიდი ისტორიული ღირებულება ის არის, რომ რომანტიკული პოემის საწინააღმდეგოდ, იგი ერთი რომელიმე გმირის ცხოვრებას როდი ასახავს. მისი გმირია დიდი რუსი ხალხი, რომლის ისტორიულად ჩამოყალიბებული ხასიათის ნიშანდობლივი თვისებები პერსონიფიცირებულია ცალკეულ მოქმედ პირებში.

ნეკრასოვის პოემა „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“ მკითხველს თვალწინ უყენებს მისი მთავარი გმირის — რუსი ხალხის დიდებულ სახეს თავისი გოლიათური ძალებით, მგზნებარე პატრიოტიზმით და გონების სინათლითა და ჭეშმარიტების უძლიერესი რწმენით. პოემის უკვდავებაც ამაშია.

„ეჭვი არ არის, რომ პოემის ქართულად თარგმნა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში“.[1]

თარგმანებს შორის აღსანიშნავია აგრეთვე ი. ვ. ფრანკოს პოემა „მოსე“[2], დიმიტრი გულიას „კამაჭიჭი“ (1951 წელი) და სხვ.

---

1 თარგმანის წინასიტყვაობა, „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად,“ 1950 წ.

2 თარგმნილია კ. ლორთქიფანიძისა და რ. გვეტაძის მიერ 1941 წელს.

1952 წელს რ. გვეტაძემ თარგმნა, ლიტერატურულად დაამუშავა და შენიშვნები დაურთო ნიკო ბაგრატიონის მოგონებების კრებულს „ბურებთან“, რომელიც ამხილებს ინგლისის იმპერიალიზმის მტაცებლობას, მის აღვირახსნილ ექსპანსიონიზმს.

* * *

რაჟდენ გვეტაძის მიერ გავლილი შემოქმედებითი გზა ნათლად მოწმობს, რომ მხოლოდ სოციალისტური სინამდვილე, ხალხის რევოლუციურ ცხოვრებასთან მჭიდრო იდეური კავშირი აძლევს მწერალს ძალას, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მის შემოქმედებას, ხდის მას ცხოვრების გარდაქმნის, ადამიანთა აღზრდის მძლავრ საშუალებად, სახელმძღვანელოდ ათასობით მკითხველისათვის.

რედაქტორი შ. ქურიძე

მხატვარი ალ. მესხი

ტექრედაქტორი თ. დიდიძე

კორექტორები: ი. კალანდაძე, შ. დარჩია

გადაეცა წარმოებას 1955 წლის 5 ნოემბერს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 14 დეკემბერს. ქაღალდის ზომა 70X92 1/32. 6,7 საავტორო, 7 სააღრიცხვო-საგამომცემლო და 9,6 საბეჭდი ფორმა. შეკვეთა № 6103, ემ00031, ტირაჟი 3000.

ფასი 4 მან.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია.
(ქ. ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Думбадзе Нелли Ивановна

Ражден Гветадзе

(на грузинском языке)

Государственное издательство
Батуми—1955